

ალფრედ ზნამიეროვსკი
ALFRED ZNAMIEROWSKI



ვექსილოლოგიისა და ჰერალდიკის
ძვანკუთხედი // THE CORNERSTONE OF
VEXILLOLOGY AND HERALDRY

3


მამუკა წურჭუშია
MAMUKA TSURTSUMIA



დროშები შუა საუკუნეების საქართველოში //
STANDARDS IN MEDIEVAL GEORGIA

30

საარქივო მასალა
ARCHIVAL MATERIAL



ერეკლე მეორის დიდ გეგმეზე გამოსახული
ტერიტორიული გერბების აღწერილობები //
DESCRIPTION OF TERRITORIAL COATS OF ARMS
DEPICTED ON EREKLE THE SECONDS GREAT SEAL

44

ზაქარია კიკნაძე
ZAKHARY KIKNADZE



როგორ იხატებოდა გერბი // HOW THE COAT
OF ARMS WAS DEPICTED

46

პატიმატ ტახნაევა
PATIMAT TAKHNAEVA



დაღესტანის ვექსილოლოგიის ისტორიიდან:
ავარეთის სახანოს დროშის საკითხისათვის //
TO THE HISTORY OF A HERALDIC SYMBOL
OF AVAR KHAGANATE

56

გიორგი ლობჯანიძე
GEORGE LOBZHANIDZE



1559 წლის დიოგო ომიმის პორტოლანი //
PORTOLAN CHART OF THE MEDITERRANEAN
BY DIOGO HOMEM, 1563

65

დავით ჩხეიძე
DAVID CHKHEIDZE



შუა საუკუნეების პორტოლანებზე დასავლეთ
შავი ზღვისპირეთის ქართულ ძალაქებზე
დატანილი დროშების შესახებ // ABOUT FLAGS
OF MEDIEVAL GEORGIAN SEA PORTS IN OLD
PORTOLAN CHARTS

69

გიორგი ლობჯანიძე
GEORGE LOBZHANIDZE



საქართველოსთან დაკავშირებული
ვაზის სიმბოლო სებასტიან მიუნსტერის
„კოსმოგრაფიის“ მიხედვით // SYMBOLIC
IMAGE OF VINE ATTRIBUTED TO GEORGIA,
ACCORDING TO SEBASTIAN MÜNSTER'S
COSMOGRAFIA

73

დავით კლდიაშვილი
DAVID KLDIASHVILI



ორთავიანი არწივი // DOUBLE-HEADED EAGLE 76

იოანე ბაგრათიონი
IOANE BAGRATIONI



სჯულდება: ნიშნებისათვის ანუ კავალერებისა
და სხვათა ჯილდოთათვის // STATUTE: TO THE
SIGNS OR TO THE AWARDS OF CAVALRY AND
OTHERS 80

ნიკო ჯავახიშვილი
NIKO JAVAKHISHVILI



ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკის ფულის ნიშნები (1923-1924 წწ.) //
THE CURRENCY OF THE TRANSCAUCASIAN SOVIET
FEDERATIVE SOCIALIST REPUBLIC (1923-1924) 81

ევგენი ჭანიშვილი
EUGENI CHANISHVILI



დღემდე უცნობი დადამკვის სახე თამარის
ახალმოჭრილ მონეტაზე // UNKNOWN
HALLMARKING ON THE COIN OF KING TAMAR 94

მოამზადა
ლევან პეტრიაშვილმა
PREPARED BY
LEVAN PETRIASHVILI



საქალაქო ჰერალდიკა და საფეხბურთო
კლუბების ემბლემები // MUNICIPAL HERALDRY
AND BADGES OF FOOTBALL CLUBS 96



თანამედროვე ქართული მუნიციპალური
სიმბოლიკა // CONTEMPORARY GEORGIAN
MUNICIPAL HERALDRY 103

მამუკა გონგაძე
DESIGNED BY
MAMUKA GONGADZE



საცირკულაციო და საიუბილეო მონეტები //
COMMEMORATIVE AND CIRCULATING COINS 107

პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი მამუკა გონგაძე
მთავარი რედაქტორი დავით ჩხეიძე
სარედაქციო კოლეგია: მირიან კიკნაძე, ზაქარია კიკნაძე, თამთა მელელაშვილი
ტექნიკური უზრუნველყოფა სანდრო რუხაძე; რედაქტორი ელენე სალარიძე
დიზაინი სოფო გოგოლაძე; არტრედაქტორი ირმა ჯიშკარიანი
გამომცემელი - საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო
www.heraldika.ge, E-mail: info@heraldika.ge

© საავტორო უფლებები დაცულია. სტატიებში განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.
ISSN 2298-0261

ვექსილოლოგიისა და ჰერალდიკის ქვაკუთხედი

ჩვენი თხრობის დასაწყებად საჭიროა ათას ცხრაასი წლით უკან დაბრუნება. იმ პერიოდში, ქრისტიანული ერის პირველი საუკუნის ბოლოს, ქრისტიანულ ტრადიციად ყალიბდებოდა პირველის მრავალგზის გამოსახვა. 204 წელს ნიგნში De Corona ტერტულიანე ამტკიცებდა, რომ პირველს დემონთა საწინააღმდეგო თილისმის მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა, სინამდვილეში, ჯვრის გამოსახვა ქრისტიანებს შეახსენებდა ღვთის მოწყალებასა და იმას, რომ ღვთის შვილს თავის შეწირვით უნდა ეხსნა კაცობრიობა. ამასთან ერთად, ჯვარი წარმოადგენდა ცოდვასა და სიკვდილზე გამარჯვებას, რამდენადაც იესომ, აღდგომით დათრგუნა სიკვდილი (სურ. 1).

გრაფიკული სახით ჯვარი გამოჩნდა IV საუკუნის დასაწყისში. სავარაუდოდ, მისი, როგორც ოფიციალურად მიღებული ნიშნის, უძველესი გამოსახულება დატანილია რომის იმპერატორ კონსტანტინე I დიდის მიერ 316 წელს გამოშვებულ მონეტაზე, ანუ მილანის ედიქტიდან სამი წლის შემდეგ. სწორედ

აღნიშნულ ედიქტზე, იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილის მმართველ ავგუსტუს ლიცინიუსთან ერთად მიიღეს რწმენის თავისუფლება. გადახდის ოფიციალურ საშუალებაზე ჯვრის გამოსახვის ფაქტი ადასტურებს, რომ უკვე მაშინ იმპერატორი კონსტანტინე I დიდი განწყობილი იყო ქრისტიანობის მისაღებად. ამის დადასტურებაა მის მიერ 325 წელს, კონსტანტინოპოლიდან 80 კილომეტრის მოშორებით, ნიკეაში პირველი ქრისტიანული კრების მოწვევა.

მონეტებზე ჯვარს კონსტანტინე I დიდის მემკვიდრეებიც გამოსახავდნენ. აქ ნაჩვენებია ვალენტინიანე I-ისა და ვალენტინიანე III-ის მიერ მოჭრილი, IV და V საუკუნეების მონეტები.

ყურადღება უნდა მიექცეს ჯვრის ფორმას, რომელიც მიახლოებულია ჰერალდიკაში ლათინურად წოდებულთან, ასევე, გასათვალისწინებელია ჯვრის ფრთები, რომლებიც დამახასიათებელია ბორბლის (ნიჩბის) ტიპისთვის. ჯვრის ეს სახეობა დომინირებდა VI საუკუნემდე არა მარტო მონეტებზე, არამედ დეკორა-



კონსტანტინე I
დიდი. 316 წ.




ვალენტინიანე I



ვალენტინიანე III



გალა პალჩიდიას
მავზოლეუმი, რავენა. V ს.



წმინდა აპოლინარეს ეკლესია, რავენა. VI ს.

სურ 1.

ტიულ ხელოვნებაშიც, რასაც ადასტურებს რავენას ტაძრების მოზაიკა და იმ პერიოდის ხელოვნების სხვა ნიმუშები.

VII საუკუნიდან ქრისტიანულ სიმბოლოდ საყოველთაოდ აღიარეს ბერძნული ჯვარი,



პარიზი. 641 წ.



ჰინდასვინტი. 642-653 წწ.



ვიტიზა. 702-710 წწ.



მილანი. 825 წ.



მაგდებურგი. 1180 წ.



საფრანგეთი. XII ს.



წმ. მარციალის სააბატო. XII-XIII სს.



გენუა. 1275 წ.



ანკონა. 130 წ.

სურ. 2

თანაბარი სიგრძის ფრთებით, შესაძლოა მსუბუქად შიგნით შეღუნულით. XVI საუკუნემდე ჯვარს უმთავრესად ფრთების ბოლოები სამკუთხედთან მიახლოებული ფორმისა ჰქონდა (სურ. 2).

თუმცა, VIII საუკუნეში გამოჩნდა ბერძნული ჯვრები ფრთების განსხვავებული დაბოლოებებით. პირველად, მომრგვალებული და ტამპლიერების ჯვრის (cross patée-ს) ფორმის, რომელსაც პოლონეთში კავალერულს უწოდებენ. დაბოლოს, XII საუკუნეში ყველაზე პრიორიტეტულ ჰერალდიკურ გამოსახულებად იქცა ბერძნული ჯვარი, ფრთების დაბოლოებათა ყოველგვარი მორთულობის გარეშე.


ასეთი სიმბოლიკის აღიარებამდე, კაროლინგების ეპოქიდან, ანუ IX საუკუნის დასაწყისიდან, ჯვრის გამოსახულება იყო მშვიდობისა და კეთილდღეობის სიმბოლო ვაჭრობაში. ამას ადასტურებს თუნდაც ნიდერლანდების მთავარ საპორტო ქალაქებში მოჭრილი მონეტები (4).

ისევე, როგორც მეფე კარლოს I დიდის მიერ დორსტადისთვის (ახლანდელი Wijk bij Dordrecht) Wijk bij Duurstede მოჭრილ მონეტაზე, ასევე, მისი შვილის, მეფე ლუდვიგ I ღვთისმოსავის მიერ კუნენტოვიკისთვის (ახლანდელი ეტაპლის) Étaples მოჭრილ მონეტაზე გამოსახულია ნავი დიდი ჯვრით დასრულებული ანძით. გემების მსგავს გამოსახულებებს ანძის თავზე ჯვრით ვხვდებით ახლანდელი საფრანგეთის, ჰოლანდიისა და გერმანიის ტერიტორიებზე, დიდ საპორტო ქალაქებში მოჭრილ მონეტებზე, ასევე ბეჭდვებზე XIII საუკუნის ბოლომდე. აქ მაგალითად მოყვანილია ბეჭედი ქალაქ ლა-როშელიდან (XII საუკუნის დასასრული).

სავაჭრო გემის ანძის წვერზე ჯვარი წარმოადგენდა მშვიდობის ნიშანს, ისევე, როგორც ის ჯვრები, რომელთაც აღმართავდნენ ვაჭრობის უფლებამინიჭებულ ქალაქებში (5).

ქალაქის ბაზრის მოედანზე ჯვრის აღმართვა ნიშნავდა იმას, რომ მმართველი გამორჩეულად პატრონობდა ადგილს, სადაც იმართებოდა სწორედ ბაზრობები და ვაჭრობა. დღემდე შუა საუკუნეების სავაჭრო მშვიდობის ჯვრები შემორჩენილია რამდენიმე ათეულ ქალაქში, ძირითადად ინგლისში, შოტლანდიასა და გერმანიაში. წარმოგიდგენთ ამ ქვეყნების, ასევე, საფრანგეთის XIV-XV საუკუნეთა მიწნით დათარიღებული ჯვრების რამდენიმე მაგალითს, დავუბრუნდეთ სავაჭრო გემების ჯვრებს.

XII საუკუნის ბოლოს ჯვრების ქვეშ, როგორც ნიმუშიდან ჩანს, ჩნდება ერთი ფერის ბესტი-



სურ. 3

არის ვექსილუმები გერბის გარეშე (6).

რამდენიმე საპორტო ქალაქის XIII საუკუნის ბეჭედზე, გემის ანძის ბოლოში ჩანს მხოლოდ ჯვარი,¹ მაგრამ მსგავსი ქალაქების უმრავლესობის ბეჭედზე გემის ანძის ბოლოში გამოსახულია რელიგიური დროშა, უმთავრესად სამენოვანი წარწერით. აქ წარმოდგენილი ლუბეკის, იფსვიჩისა და ვისმარის გარდა, მსგავსი ბეჭედები ჰქონდათ შემდეგ ქალაქებში: გერმანია – შტრალსუნდი (1278) და კიოლნი (1283); ინგლისი – ვინჩელსი (1272), პევენსი (1272), ბრისტოლი (1272) და ნიუ შორეჰემი (1295); ბელგია – დამე (1275); საფრანგეთი – პამიერი (1267) და ირლანდია – დუბლინი (1297).

XIII საუკუნის ბოლოს განხორციელდა შემდგომი ცვლილებები: (7) ანძის წვერში ჯვარი შეიცვალა ვექსილუმით, რომელსაც ჯვარი შუაში აქვს. ლუბეკის ბეჭედზე ოთხკუთხედი სიბრტყეა, ხოლო იფსვიჩის ბეჭედზე – სამ წამახვილებულკბილიანი ფორმის ბაირალი.

¹ ბეჭედები (ფრჩხილებში მოცემულია უძველესი საბუთის თარიღი): Damme (1237), Nieuport (1237), New Romney (1238), Staveren (1246), Bristol (1272).

ანძის თავზე ჯვარი, გამონაკლისის სახით, გამოსახულია ელბლონგის ბეჭედზე (XIV საუკუნის შუა ხანები), მაგრამ მის ქვეშ ბაირალზე დატანილია ერთ-ერთი ორი ჯვრიდან, რომლებიც იმ დროისთვის უკვე ქალაქის გერბს წარმოადგენდა.

აღნიშნული ცვლილებები მოიცავს სამეფოს ტერიტორიის საპორტო და ჰანზის კავშირის ქალაქებს, მაგრამ, როგორც ახლახან აღმოჩნდა, ჯვარი ვექსილუმზე გაჩნდა 300 წლით ადრე (8).

ვექსილუმში ვიკინგების დროშის დამახასიათებელი ფორმით თავის მონეტაზე მოათავსა ნორთუმბრიის მეფე ამლაიბ კუარანმა, 941-944 და 949-952 წლებში. ამ დროშაზე გერბი მომრგვალებული ფორმის ჯვარია და ასეთივე ჯვრით ბოლოვდება დროშის ტარი. თავად ჯვარი ჩანს ნორთუმბრიის მმართველთა ადრეულ მონეტებზე, VII საუკუნის ბოლოდან. ჯვრის შეცვლა ჯვრიანი ვიშპელით ადასტურებს, რომ ამ ქვეყანაში ვიკინგების მეფობის ბოლოს სახელმწიფოებრივი ნიშანი ბაირალის სახითაა მიღებული. ეს საკითხი შემდგომ გამოკვლევას საჭიროებს.



დორესტადტი. IX ს.



ლუი I ღვთისმომხმად



ლა-როშელი. XII ს-ის მე-2 ნახევარი

სურ. 4. ბეჰევი

ევროპის სხვადასხვა მხარეში ხმელეთზე ჯვრიანი ვიშპელები გაჩნდა XI საუკუნეში (9).

არსებითი მნიშვნელობა გააჩნია სამ იკონოგრაფიულ ნიმუშს, რომელზეც გამოსახულია ანალოგიური ვიშპელები. ამათგან უძველესია ბაიექსის ტილო, რომელზეც წარმოდგენილია ნორმანთა შემოსევა ინგლისში 1066 წელს, ვილჰელმ I დამპყრობლის მეთაურობით. ერთ-ერთ ამ საბრძოლო ვიშპელზე გამოსახულია ჯვარი. ყურადსაღებია ერთ-ერთი რაინდის გამოსახულება ფარზე ჯვრით. ვერ ვიტყვით, რომ ეს უკვე მისი გერბია, მაგრამ ამით დასტურდება, რომ ჯვარი რაინდობის ერთ-ერთ მთავარ ნიშანს წარმოადგენდა.

შემდეგი ისტორიული ძეგლი, რომელიც ინახება ვენეციის წმინდა მარკოზის ბაზილიკაში, ოქროს საკურთხეველია (Pala d'Oro), საიუველირო ხელოვნების 1102 წლის შედეგია. მინანქრის ბოლო ფილაზე, მარჯვენა მხარის ქვევით, წარმოდგენილია სცენა ბაირალებით, რომელზეც 1095 წელს ვენეციის დოჟი მეომრებს გადასცემს ბაირალებს ჯვაროსნული ომის წინ. ეს ბაირალი, ოქროს ჯვრით ცისფერ ფონზე, რომელსაც უწოდეს Vexillum triumphalis-ი (ანუ ტრიუმფალური ვექსილუმი), ვენეციამ



ტრიერი, გერმანია



ბაზრის ჯვრები ფრანგულ ფერწერაში. 1400 წ.



ინვერერი, შოტლანდია



ბიდელი, ინგლისი



ელნუიკი, ინგლისი




კოსფელდი, გერმანია

სურ. 5. ჯვარი ბაზრის მოედანზე

მიიღო და ამ ქალაქის სიმბოლოდ იქცა კიდეც XIV საუკუნის დასაწყისამდე. მესამე ნიმუში მომდინარეობს სამრეთ-აღმოსავლეთი ევროპიდან. ესაა დუნაის პროტობულგარელთა მონეტა, XI საუკუნის ბოლოდან. დროშა, რომელიც ხელში უჭირავს წინამძღოლს, ბაირალის ფორმისაა და ბოლოვდება ჯვრით. ამ დროშის ფერები უცნობია, აქ მოყვანილია მხოლოდ სავარაუდო ვარიანტი.


უკვე XI საუკუნიდან მმართველებს ჰქონდათ საკუთარი ვიმპლები, რომლებიც გამოფენილი იყო მათ მფლობელობაში არსებული ქა-



ბესტიარი. 1190 წ.
და იფსვიჩი. XIII ს.



ლუბეკი. 1226 წ.



ვისმარი. 1256 წ.

სურ. 6. გაემაზი

ლაქების კოშკებზე. ჰანს ჰორსტმანს, ადრეული ვექსილუმების გამოჩენილ მკვლევარს,² მოხსენიებული აქვს, რომ ვიმპლები იფინებოდა, ასევე, დაპყრობილი ქალაქებისა და სასახლეების კოშკებზე. მაგალითად, იგი აღნიშნავს,

² ჰანს ჰორსტმანი, Vor- und Frühgeschichte des europäischen Flaggenwesens, Die Rechtszeichen der europäischen. Schiffe im Mittelalter, Bremen 1971.



ლუბეკი. 1280 წ.

ელბინგი. 1350 წ.



იფსვიჩი. XIII ს.

სურ. 7. გაემაზი

რომ პირველი ჯვაროსნული ლაშქრობისას, 1099 წელს, ტულუზის გრაფმა რაიმუნდ IV-მ (Rajmund de Saint-Gilles) ტრიპოლთან მიახლოებისას უბრძანა ადგილობრივ ემირს საგრაფო ვიმპლების გამოფენა ქალაქის კოშკებზე.

ვექსილუმების ზემოთ მოყვანილი XI და XII საუკუნეებში ხმელეთსა და ზღვაზე გამოყენებული ნიმუშები ადასტურებს, რომ უკვე მაშინ თითქმის მთელ ევროპაში გავრცელებული იყო 3-4-კბილიანი ვიმპლები და რომ ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა ბაირალი. ეს



სურ. 8. X ს.


თეხისი დასტურდება შემდგომი XII საუკუნის მაგალითებით (10). ეს ბეჭდებითა და მონეტებით ცნობილი 1112-1137 წლების ტრიპოლის გრაფის, პონსის ვექსილუმია. ასევე, ცნობილია არქივებისკოპოების რუდოლფ ფონ კროპენშტედტისა (მაგდებურგი) და დიტრიხ ფონ




ბაიოს გობელენი



პალადორო



ნორმანები



ვენეცია



პროტობულგარელები



ბაიოს გობელენი



პორტუგალიური მონეტა

სურ. 9. XI ს.

ჰაინსბერგის (კიოლნი) ბაირალები, რომელთა ფერები უცნობია.

სამაგიეროდ, ცნობილია ვერონისა და მილანის ბაირალების წითელი ჯვარი თეთრ ფონზე. ყველაზე ძველი ვერონის ბაირალის გამოსახულებაა – 1138 წლის ბარელიეფი წმინდა ზენონის ბაზილიკის კარიბჭის თავზე (San Zeno Maggiore). წმინდა ზენონის გამოსახულების მარჯვენა მხარეს ხალხს მოაქვს ბაირალი, რომელიც მათ მისცა წმინდანმა. ოდნავ გვიანდელი 1117 წლის ბარელიეფი პორტა რომანოშია და ასახავს მილანელ მეომართა შინ დაბრუნების სცენას. მათ წინ მოუძღვის მეთაური ქალაქის ვიმპელით. ჯვრისგამოსახულებიანი ვიმპელი მილანის მაშინდელი არქიეპისკოპოსის, სან გალდინო დელა სალას სახელს უკავშირდება.

სხვა ფორმის თეთრი ვიმპელები წითელი ჯვრებით XII საუკუნეში წარმოადგენდა მეფე

ფრიდრიხ I ბარბაროსას (1155-1190) და მისი შვილის, ჰაინრიხ VI-ის (1191-1197) საბრძოლო დროშებს (11). ისინი ხოტბაშესხმულია ჰაინრიხ VI-ის კარის პოეტის, პეტრე ებოლელის (Pietro da Eboli) მიერ 1196 წელს წიგნში Liber ad honorem Augusti, sive de rebus Siculis.³ ჰაინრიხ VI-ის ვიმპელს, რომლითაც მან დალაშქრა სიცილია, უწოდეს ტაძრის ბაირალი, რამდენადაც 1196 წელს ეს ბაირალი სიცილიის პირველმა მეფემ, როჯერ II დე ჰაუტევილემ მიიღო რომის პაპის, ალექსანდრე II-ისგან.

უნდა აღინიშნოს, რომ ნამდვილი სამეფო ვექსილუმები (Vexillum roseo imperiali) იყო წითელი ბაირალი. მისი ფერი აღნიშნავდა მეფის უფლებას, გადაეწყვიტა ქვეშევრდომ-

³ იმპერატორის სახოტბო წიგნი ან სიცილიური საკითხებისთვის. ხელნაწერი ინახება ბერნის საქალაქო ბიბლიოთეკაში. *Carmen de motibus Siculis* (Poemat o sycylijskiej rewolcie).

თა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. მრავალ წყაროშია აღწერილი, რომ ჯვაროსნული ლაშქრობისას წითელ საბრძოლო დროშებზე გამოსახავდნენ თეთრ ჯვარს. ამის საპირისპირო ილუსტრაციებია წარმოდგენილი პეტრე ებოლელის წიგნში, სადაც ასახულია ჰაინრიხ VI-ის რომში კორონაციაზე შესვლისა და სალერნოს ალყის დროშები.

ეს საკითხი თითქოს კიდევ უფრო ბუნდოვანი ხდება მეფე კარლოს დიდის დროშით, რო-

დან ცნობილია, რომ XII საუკუნიდან მათი ბაირალი არის წითელ ფონზე გამოსახული თეთრი ჯვარი. ასევე, სარწმუნო წყაროებიდან ცნობილია ბაირალები, რომელთა ქვეშ გაერთიანებული ინგლისის, საფრანგეთისა და ფლანდრიის ჯარები მიემართებოდნენ მესამე ჯვაროსნულ ლაშქრობაში. ბენედიქტ აბასის მანუსკრიპტში *Gesta Regis Henrici Secundi* მოყვანილია 1188 წლის იანვარში დადგენილი ჯვრის ფერები, ინგლისელებისთვის დადგინდა წითელ ფონზე



პონსი, ტრიპოლის გრაფი. 1112-1137 წწ.



მაგდებურგის არქიეპისკოპოსი რუდოლფ კროპენშტედტი. 1192-1205 წწ.





კიოლნის არქიეპისკოპოსი დიტრიხ ფონ ჰაინსბერგი. 1208-1212 წწ.



ვერონა, წმ. ზენონის ბაზილიკა. 1138 წ.



მილანი, პორტა რომანო. 1171 წ.



სურ. 10. XII ს.

მელიც წარმოდგენილია ფრანგული საგმირო ეპოსის ძეგლის „სიმღერა როლანდზე“ (1150) ილუსტრაციებზე (12). ესაა თეთრი დროშა შავი ჯვრით, თუმცა, მხატვარს შესაძლოა, არც სცოდნოდა, როგორ გამოიყურებოდა 300 წლის წინანდელი მეფის დროშა. ხოლო ამ დარგში დანარჩენი ილუსტრაციები ემყარება წყაროებს. მართალია, მათეუმი პარიზიდან იწერდა იოანიტების ორდენის ბაირალებს XIII საუკუნის შუა ხანებში, მაგრამ სხვა წყაროები-

თეთრი ჯვარი, ფრანგებისთვის – წითელი თეთრზე, ხოლო ფლამანდიელებისთვის – მწვანე თეთრზე.⁴

ამ დროს უკვე ორ სხვა ქვეყანას ჰქონდა ბაირალი ჯვრის გამოსახულებით. თეთრ

4 Praedicti vero reges in susceptione crucis ad distinguendam gentem suam signum evidens providerunt. Nam rex Franciae et gens sua cruces rubeas susceperunt, et rex Angliae et gens sua cruces albas susceperunt, et comes Flandriae cum gente sua cruces virides suscepit




იმპერატორი ფრიდრიხ ბარბაროსა, მესამე ჯვაროსნული ლაშქრობა



იმპერატორი ჰაინრიხ VI, ნეაპოლის ალყა



იმპერატორი ჰაინრიხ VI, კორონაცია რომში



იმპერატორი ჰაინრიხ VI, სალერნოს ალყა

სურ. 11. XIII ს.


ფონზე შავი ჯვარი ჰქონდა ბრეტანს, ხოლო ორმაგი თეთრი ჯვარი წითელ ფონზე – უნგრეთს. ეს იყო ჰერალდიკური ბაირალი, ანუ ტილოზე გამოსახული უნგრეთის მეფე ბელა III-ის გერბი (1172-1196). ამ გერბის უძველესი გამოსახულება წარმოდგენილია ბელა III-ის მიერ მოჭრილ დინარზე.

ახლა გადავხედოთ XII საუკუნის სახმელეთო და საზღვაო ბაირალებს (13). ისინი ყველა გამოიყენებოდა ხმელთაშუა ზღვის ქალაქებსა და ქვეყნებში. მათი უმრავლესობა, ანუ შვიდი ბაირალი იყო დღევანდელი იტალიის ტერიტორიაზე არსებული ქალაქ-სახელმწიფოებისა. ხაზს ვუსვამ, რომ ლაპარაკია თანამედროვე იტალიაზე, რადგან იმ პერიოდში გენუა და მილანი, რომელთაც ჰქონდათ იდენტური თეთრი დროშები წითელი ჯვრით, წარმოადგენდნენ სხვადასხვა სახელმწიფოებრივ სუბიექტს. გენუა XI საუკუნიდან 1421 წლამდე იყო რესპუბლიკა, ხოლო მილანი – 1167 წლიდან ლომბარდიის ლიგის მთავარი ქალაქი, 1183 წლიდან კი – დამოუკიდებელი სათავადო. ასეთივე დროშები, წითელ ფონზე თეთრი ჯვრებით, ჰქონდა საბაუდიის საგრაფოს და, ასევე, იტალიის ქა-

ლაქებს, ასტისა და კრემონას. საბაუდია 1003-1416 წლებში იყო საგრაფო, ხოლო შემდეგ – სათავადო. ასტი 1095 წლიდან რესპუბლიკური წყობის ქალაქ-სახელმწიფოა, რომელიც გადაჭიმული იყო ალბენგიდან ზღვისპირა ალპებამდე. კრემონა იყო თავისუფალი ქალაქი, დროდადრო მჭიდროდ დაკავშირებული იმპერიასთან. მან თავისი ბაირალი მიიღო მეფე ჰაინრიხ VI-ისგან. 1195 წლის 6 ივნისის საბუთში აღნიშნულია მეფის მიერ კრემონის მმართველისთვის თავისი თეთრი ჯვრისგამოსახულებიანი წითელბაირალიანი შუბის გადაცემის შესახებ.⁵ აქ უნდა გავიხსენოთ, რომ XI საუკუნიდან სამეფო წეს-ჩვეულებით მეფე ქალაქის მმართველს ცნობდა ან ნიშნავდა მისთვის ბაირალიანი შუბის გადაცემით. ეს იყო სამეფო ძალაუფლების უცვლელი ატრიბუტი. ამის შესახებ გვამცნობს, მათ შორის, გნიეზნოს კრების (1000) საბუთები, ასევე, პიზაში ბაირალის გადაცემის აღმწერი საბუთები (1162).

იტალიის ორ სხვა ქალაქს – ალბენიასა და


⁵ Cum lancea et confano, quam in sua manu tenebat, investivit; confanus, cum quo eos investivit, erat rubeus, habens crucem albam intus.



იმპერატორი კარლოს დიდი,
მინიატურა „სიმღერა როლანდზე“



1250წ. წმ. იოანეს ორდენის
დროშა, მეთიუ პარიზელი.
Chronica Maiora




საფრანგეთი


ინგლისი

ფლანდრია

ჯვაროსნების ჯვრები. 1188 წ.



ბრეტანი



უნგრეთი

სურ. 12. XII ს.

ანკონას ჰერონდა განსხვავებული ბაირალები.
ალბენიის ბაირალი იყო ყვითელი, წითელი
ჯვრის, ხოლო ანკონას – წითელი, ყვითელი

ჯვრის გამოსახულებით. პორტუგალიის ბაი-
რალი თეთრი, ცისფერი ჯვრით, მიიღეს 1140-
1185 წლებში და წარმოადგენდა ორიდან ერთ-



გენუა



მილანი



სავოი



ასტი



კრემონა




ალბენია



ანკონა



პორტუგალია



იერუსალიმის
სამეფო



ტულუზა

სურ. 13. XII ს.


ერთ სახელმწიფო ბაირალს. მეორე ბაირალი იყო იერუსალიმის სამეფოსი (1099-1291), რომელიც მომდინარეობდა ბულიონელი გოტფრიდისგან, რომელმაც იგი მიიღო პირველი ჯვაროსნული ლაშქრობიდან. გოტფრიდი აირჩიეს იერუსალიმის მეფედ, მაგრამ არ მიიღო ეს ტიტული და საკუთარ თავს უწოდებდა მაცხოვრის საფლავის მცველს. მის ნიშნებსა და ბაირალზე პირველად ჩნდება ჯვრის ახალი

მოადგენს ქრისტეს, ხოლო მომცროები – სამყაროს ოთხ მხარეს. კიდევ ერთი ვერსიით, ხუთი ჯვარი გამოსახავს ქრისტეს ხუთ ჭრილობას.


ასევე, შეიცვალა ტულუზის ბაირალი და შემდეგ მასზე გამოსახული ჯვრის ტიპს უწოდებდნენ ტულუზურს. ეს ჰერალდიკური ბაირალი წარმოადგენდა ამ ქალაქის გერბის გამოსახულების შემადგენელ ნაწილს, მისი




ინგლისი




დანია




ტევტონთა ორდენი



რიგა



პავია




ნოლი



მესინა



ბიზანტიის
იმპერია



პიზა



მარსელი




პარმა



ტულონი



სარდინია




ამალფი

სურ. 14. XIV ს.

– იერუსალიმის ტიპი (cross potent). არსებობს აღნიშნული ჯვრის და მის ფრთებს შორის მოთავსებული ოთხი ბერძნული ტიპის ჯვრის რამდენიმე ინტერპრეტაცია. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, შუაში დიდი ჯვარი ქრისტეს სიმბოლოა, ხოლო ოთხი მომცრო – ოთხი მოციქულისა. მეორე ვერსიით, დიდი ჯვარი წარ-

ყველაზე ძველი გამოსახულება გრაფ რაიმუნდ VI-ის (1192-1222) ბეჭედზეა.


XIII საუკუნეში კიდევ უფრო მეტი ჯვრიანი ბაირალი გამოჩნდა (14). დღემდე გამოიყენება იმ პერიოდის ინგლისისა და დანიის ბაირალები. თავისი ბაირალი დააკანონა, ასევე, ბიზანტიის იმპერიამ, წითელ ფონზე ყვითელი ჯვრით, მის



ფრთებს შორის კი მოთავსებულია ყვითელი ასო B. ეს ასოები აღნიშნავდა პალეოლოგების დინასტიის ბერძნული დევიზის პირველ ასოებს და გამოხატავდა სამეფო ძალაუფლებას: Βασιλεὺς βασιλεὺς βασιλεὺς βασιλεὺς – Basileus Basileon, Basileuon Basileuonton. ასევე, XIII საუკუნეში შავჯვრიანი თეთრი ბაირალი მიიღო ჯვაროსანთა ორდენმა.⁶ 1226 წელს ჯვაროსნები მიიწვია მახოვეცკის თავადმა კონრადმა პრუსიელი წარმართებისგან სათავადოს დაცვის მიზნით და შექმნა სახელმწიფო, ცნობილი როგორც პრუსიული ორდენი ან ჯვაროსანი პრუსია. შემდგომში აღნიშნული სახელმწიფო არა მარტო პრუსიის გაქრისტიანებას ახდენდა, არამედ, ომებსაც აწარმოებდა პოლონეთთან და ლიტვასთან.

XIII საუკუნეში გამოჩნდა სამჯვრიანი ბაირალებიც, როგორებიც მანამდე ვექსილუმებზე არ ყოფილა გამოსახული. როგამ მიიღო კავალერიის ჯვარი, ხოლო ამაღლიმ – მალტიური ჯვარი, პიზამ კი – მოხრილფრთებიანი ჯვარი, რომლის ფრთებსაც აბოლოებდა სამი სფერო და მას უწოდეს პიზის ჯვარი. სხვა ოთხმა იტალიურმა ქალაქმაც მიიღო ჰერალდიკური ჯვრიანი გერბები და ბაირალები. ეს იყო საქალაქო დამოუკიდებელი კომუნები პავია და პარმა, ასევე დამოუკიდებელმა სახელმწიფო ნოლმა და სიცილიის სამეფოს დედაქალაქმა მესინამ. მესინას ბაირალი საგანგებოდ წარვადგინე ბიზანტიის ბაირალთან ერთად, რადგანაც სწორედ აქედან მომდინარეობს ნითელ ფონზე ყვითელი ჯვარი. მსგავსი გერ-

ბები და ბაირალები, მხოლოდ განსხვავებული ფერების, მიიღეს მეზობელი საფრანგეთის საპორტო ქალაქებში – მარსელსა და ტულონში. ჰერალდიკური დროშა აღიმართა სარდინიაში, რომელიც არაგონის მფლობელობაში იმყოფებოდა. სარდინიის უძველესი გერბი, რომელზეც გამოსახული იყო წმინდა გიორგი ჯვრით და



მავრების ოთხი თავით, დაიბეჭდა 1281 წელს. გერბისა და დროშის ისტორია უკავშირდება ლეგენდას 1096 წელს ალკორაცში არაგონიის

⁶ სრული სახელწოდება: იერუსალიმში გერმანული წმინდა ლავრისმშობლის ჰოსპიტლის ორდენი.


მეფის, პეტრე I-ის მავრებზე გამარჯვების შესახებ. გამარჯვება მეფეს მოუტანა წმინდა გიორგიმ, რომელიც გამოჩნდა ბრძოლის ველზე თეთრ წითელჯვრიან სამოსში და თავი მოჰკვეთა ოთხ მავრიტანელ თავადს.

რიგის გარდა ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ქალაქსა და ტერიტორიას დღემდე შენარჩუნებული აქვს იმ პერიოდში შემოღებული გერბები და დროშები. უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა სარდინია დღემდე იყენებს ისტორიულ დროშას, მაგრამ ავტონომიური რეგიონის სარდინიის დროშაზე 1999 წელს მავრების თავები ისე მოატრიალეს, რომ ისინი იყურება ჰერალდიკურად მარცხნივ.

სამეფო ჯვარი, რომელიც პირველად გაჩნდა რიგის ბაირალზე, XIV საუკუნეში მიიღო ჰანზის კავშირის ბალტიის საპორტო სხვა ქალაქებმა – ელბლონგმა, გდანსკმა და კენინგსბერგმა (15). ამავე დროს, ჯვრიანი ბაირალები

და გიორგის ჯვარი შეუთავსეს წინა ბაირალის სიმბოლიკას. კარტოგრაფი პეტრო ვისკონტი 1320 წელს ადასტურებს, რომ სალონიკსა და კონსტანტინოპოლს ჰქონდათ წითელი ვიშპელები ყვითელი ბიზანტიური ჯვრით. ერთადერთი განსხვავება იყო ოქროსფერი დიაგონალური ზოლების განთავსება სალონიკის ვიშპელზე. ძმები პიციგანების სხვა, 1367 წლის სანავიგაციო რუკაზე (პორტოლანზე) წარმოდგენილია ბაირალი – თეთრი, წმინდა გიორგის, ამ ქვეყნის მფარველის ჯვრით და მის ფრთებს შორის ოთხი წითელი ჯვრით. აღსანიშნავია, რომ ეს ბაირალი გახდა 2004 წლის 14 იანვარს მიღებული თანამედროვე საქართველოს დროშის ნიმუში.

შემდეგი ჯვრიანი ვექსილუმები გაჩნდა XVI საუკუნეში. ამ საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო დროშებზე წმინდა ანდრიას, ანუ დახრილი ჯვრის შემოტანა (16).




სურ. 17. XVII-XVIII სს.

მიიღო გერმანიის ქალაქებმა – კონსტანცამ, პადერბორნმა და სპირამ, ასევე, იტალიურმა ისტრიის საპორტო ქალაქმა როვიგნომ (დღეს იგი ხორვატიის საპორტო ქალაქია, როვინჯი). უნდა დავაზუსტოთ, XII-XIV საუკუნეებში მიღებული ბაირალები რატომღა მართკუთხედი, რომლის გვერდებიც (hoist) ზედა და ქვედა ნაწილებზე უფრო გრძელია. ასეთია იმ პერიოდის უმრავლესი იკონოგრაფიული ნიმუშები, რომელთაგანაც ორი აქ არის წარმოდგენილი.

ჯვრიანი ბაირალები XIV საუკუნეში შემოიღეს მცირე აზიასა და კავკასიაში. შეიცვალა ბიზანტიის ბაირალი, რომლის ტილოზეც წმინ-

ასეთი ჯვარი შოტლანდიური პარლამენტის 1385 წლის დადგენილებით მიიღეს, როგორც საფრანგეთში მომსახურე შოტლანდიელი ჯარისკაცების განმასხვავებელი სიმბოლო. იგი მიკერებული უნდა ყოფილიყო ჯარისკაცის სამოსის წინა და უკანა მხარეს. რასაკვირველია, პირველი დროშა ასეთი ჯვრით მიიღეს შოტლანდიაში, რომლის მფარველადაც მიიჩნევა წმინდა ანდრია. პირველი ცნობა მსგავსი დროშის შესახებ მოიპოვება 1542 წლის საბუთში. შოტლანდიური დროშის მიხედვითაა მიღებული ირლანდიის დროშა, იმ განსხვავებით, რომ დახრილ ჯვარს უწოდებდნენ წმინდა პატრიკი-



სურ. 18. XVIII-XIX სს.

სას, ირლანდიის მფარველისას, თუმცა, ეს წმინდანი არ იყო ჯვარცმული.

კიდევ ერთი დროშა მიიღეს XVI საუკუნეში – შვედური. ესაა ცისფერი, ყვითელი ჯვრით, რომელიც, დაახლოებით დანიური დროშის მსგავსადაა გამოსახული. ჯვრის ამ ფორმას ეწოდა სკანდინავიური და მოგვიანებით მიღებულია ამ რეგიონის სხვა სახელმწიფოებისა და ტერიტორიული ერთეულების მიერ.

XVII საუკუნეს ეკუთვნის იტალიის საპორტო ქალაქების, ლივორნოს, ახალი ინგლისისა და დიდი ბრიტანეთის პირველი დროშები. ახალი ინგლისის მიერ 1686 წელს კანტონში მიღებულ სავაჭრო დროშაზე მოთავსებულია ინგლისის დროშა და ადგილობრივი სიმბოლო, ამერიკული ფიჭვის (*pinus strobus*) გამოსახულებით, რომელიც იყო ამ კოლონიის მთავარი საექსპორტო საქონელი. დიდმა ბრიტანეთმა, რომელიც მოიცავდა ინგლისსა და შოტლანდიას, საკუთარი დროშის შექმნით გააერთიანა ორივე ქვეყნის დროშები, წმინდა გიორგის ჯვრის შოტლანდიური დროშის თეთრ ტილოზე გადატანით.

XVIII საუკუნეში ისევ გაიზარდა ვექსილუმების რაოდენობა (17). სავაჭრო დროშები მიიღეს ირლანდიამ და კუნძულმა მენმა. ორივე შემთხვევაში კანტონში მოთავსებულია ინგლისის დროშა. ჰანოვერის კანტონის (რომელიც 1714 წელს გაერთიანდა დიდ ბრიტანეთთან საგანგებო მოლაპარაკების შედეგად)

დროშაზე პირველად გაჩნდა ბრიტანეთის დროშა, რომლის ცენტრშიც იყო გაჭენებული ცხენი – ისტორიული ქვედასაქსონიური გერბი. ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების პირველ დროშაზე მოთავსდა დიდი ბრიტანეთის დროშა. ამ დროშის 13 ზოლი წარმოადგენდა 13 ინგლისური კოლონიის სიმბოლოს, რომლებიც გაერთიანებული ძალებით იბრძოდნენ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

საკუთარი დროშები აღმართა საფრანგეთის ოთხმა საპორტო ქალაქმა. კალეს დროშა ასოცირდებოდა ფრანგული სამხედრო პოლკების ბაირაღებთან, რომლებზეც გამოსახული იყო თეთრი ჯვარი ფრთებს შორის ფერადი ფონით. ასეთივე ჯვარია შემოიღეს მარსელის დროშის კანტონზე, ხოლო დიუნკერკის დროშაზე გამოსახული იყო წმინდა გიორგის ჯვარი. სენ მალოს დროშის ტილო იყო ბრეტანის გერბის ფერი (ყარყუმის ბეწვისფერი), მასზე მოთავსებული წმინდა პირანის შავით შემოფარგლული თეთრი ჯვრით. ასევე, 1766 წლიდან დღემდე არსებული მარტინიკის დროშა ფრანგული საბრძოლო დროშის საფუძველზე შეიქმნა. მასზე ჯვრის ფრთებს შორის მოთავსებულია ადგილობრივი ფაუნის სიმბოლოს – ჩხრიალას ნაირსახეობის (*Bothrops lanceolatus*), ამ კუნძულის ბინადარი ერთადერთი შხამიანი გველის გამოსახულება.

საკმაოდ საიდუმლოებითაა მოცული პორტუგალიის დროშა, ტილოზე შავი ჯვრით, სამი

ფერის დამრეცი ზოლით და თეთრი ჯვრით კანტონში. 1712 წლიდან XVIII საუკუნის ბოლომდე ასე წარმოდგენენ პორტუგალიის დროშას საფრანგეთსა და ჰოლანდიაში გამოცემული ყველა დროშის პლანშეტებზე. ხელმოწერები ლაკონიურია – Portugal an Pavillon de Portugal. რა ტიპისა იყო ეს დროშა და ვინ იყენებდა მას, ეს საკითხი ჯერ კიდევ გამოსაკვლევი. ამ პერიოდის კარგად დასაბუთებული დროშები ეჭვს არ ბადებს. 1720 წლამდე საბაუდების დინასტიის მფლობელობაში მყოფი სარდინიის სავაჭრო დროშა იყო ცისფერი კანტონში საბაუდების დროშით. დიდებული ტოსკანური სათავადო ხანმოკლე დროის განმავლობაში (1737-1749) იყენებდა წითელჯვრიან და ყვითელჩარჩოიან თეთრ სავაჭრო დროშას. ჯვრის ფერი და მისი შემოფარგვლის ტიპი მიიღეს წმინდა სტეფანეს ორდენის დროშის მიხედვით (ყვითელ ტილოზე თავისუფლად მოთავსებული წითელი მალტიური ჯვარი). დიდ-


ბული თავადის ოლდენბურგის წითელჯვრიანი ცისფერი დროშა მიიღეს 1871 წელს. 1952 წლის 13 ოქტომბრის კანონის თანახმად, ამ დროშის გამოყენება შეეძლო ოლდენბურგის სამსახურს, რომელიც შედიოდა ქვედა საქსონიის მხარის შემადგენლობაში.

როგორც ბურგუნდიის დროშას, ისე რუსეთის სამხედრო დროშას ამშვენებს წმინდა ანდრიას ჯვარი. ეს წმინდანი იყო ბურგუნდიის სამეფო კარის მფარველი, ხოლო წმინდა მოციქულის ანდრია პირველწოდებულის სახელით გახდა რუსეთის მფარველი. ბურგუნდიის დროშაზე არის წითელი ჯვარი (cross raguly). პეტრე I-ის დაპროექტებულ რუსულ სავაჭრო დროშაზე ჯვარი გამოსახულია ცისფერ ფონზე, რაც ზღვის ფერის სიმბოლოა.

XIX საუკუნის დასაწყისში ჩრდილოეთ ირლანდიის დიდ ბრიტანეთთან მიერთების შემდეგ შემოღებულია დღემდე მოქმედი ინგლისის, შოტლანდიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის



სურ. 19 ბრიტანული კოლონიები XIX ს.



სურ. 20. ბრიტანული კოლონიები. XIX ს.

გაერთიანებული სამეფოს დროშა, რომელსაც ხალხში უწოდებენ Union Jack-ს (გაერთიანებულ ჯეკს), ხოლო დროშას ოფიციალურად ეწოდება Union Flag-ი (გაერთიანებული დროშა) (18). დროშა შედგება სამი ჯვრის ინტერპრეტაციისგან – ინგლისის წმინდა გიორგის, შოტლანდიის წმინდა ანდრიასა და ირლანდიის წმინდა პატრიკის ჯვრებისგან. რამდენიმე წლის შემდეგ ეს დროშა ჩაისვა ჰელგოლანდის დროშის კანტონში, რომლის ფერების სიმბოლიკა ახსნილია ქვემო გერმანულ ენაზე „Gröön is dat Land, rood is de Kant, witt is de Sand, dat sünd de Farven van’t Helgoland“: მწვანე არის მიწა, ნითელი – კლდეები, ხოლო თეთრი – ქვიშა.

ახალი ზელანდიის პირველი დროშა, რომელიც მიიღეს 1834 წლის 20 მარტს, შექმნილია ბრიტანული სამხედრო დროშის ნიმუშზე. კანტონზე მოთავსებულია წმინდა გიორგის ჯვარი, ხოლო მის ფრთებს შორის თეთრი ვარსკვლავები. პრაქტიკულად სახელმწიფო კი არა, მაორის გაერთიანებულ ტომთა დროშა იყო.

დიდი ბრიტანეთის დროშის გარდა, წარმოდგენილ დროშებს შორის, დღემდე მოქმედი კიდევ სამი სახელმწიფო დროშაა. ნორვეგიისა და საბერძნეთის სავაჭრო დროშები 1899 და

1978 წლებში სახელმწიფოც გახდა, ხოლო 1889 წელს მიიღეს შვეიცარიის დროშა. სარდინიის დროშამ ორჯერ განიცადა ცვლილება, ხოლო საბერძნეთს (1822-1970 წწ.) ორი, თეთრჯვრიანი ცისფერი სახელმწიფო და ცისფერჯვრიანი სავაჭრო დროშა ჰქონდა. ბერძნული დროშის მიხედვითაა შესრულებული კრეტასა და სამოსის სათავადოს დროშები. ორივე სახელმწიფოს გააჩნდა ავტონომია, მაგრამ რჩებოდა ოსმალთა იმპერიის მფარველობის ქვეშ, რასაც აღნიშნავდა მათ დროშებზე ნითელი ფერი.

რამდენიმე სიტყვით შეიძლება ითქვას 1861 წელს მიღებულ იტალიურ დროშაზე იტალიური სახელმწიფოების საბაუდების დინასტიის მიერ გაერთიანების შემდეგ. მისი ნიმუში იყო საფრანგეთის დროშა, რომლისგანაც იტალიური დროშა განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ პირველი ცისფერი ზოლი იტალიურში ჩანაცვლებულია მწვანეთი. ტილოს შუაში მოთავსებულია ცისფრად შემოფარგლული საბაუდების დინასტიის გერბი. 1946 წელს, მას შემდეგ, რაც იტალია რესპუბლიკა გახდა, საბაუდების გერბი მოხსნეს დროშიდან.

XIX საუკუნეში ბრიტანული Union Jack-ი გახდა ორიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დროშა. ამ დროშის მთელ მსოფლიოში



სურ. 21. ბრიტანული კოლონიები. XX ს.

გავრცელების საფუძველი იყო 1865 და 1866 წლებში მიღებული განკარგულებები (19). პირველს ერქვა Colonial Naval Defence Act და იგი ბრიტანეთის კოლონიებს საკუთარი სამხედრო გემების მშენებლობისა და ცურვის უფლებას აძლევდა. აღნიშნულ გემებს უნდა ეცურათ ბრიტანეთის ცისფერი დროშით, რომლის თავისუფალ ადგილას შუაში იქნებოდა კონკრეტული კოლონიის აღმნიშვნელი ნიშანი. ეს საზღვაო დროშა იყო ცისფერი კანტონში ბრიტანეთის დროშით. მეორე, ბრიტანეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განკარგულების თანახმად, ასეთივე კოლონიის ნიშანი დროშა უნდა აღემატათ არასამხედრო დანიშნულების გემებსაც. პრაქტიკულად ეს ნიშნავდა, რომ ასეთი დროშა იქნებოდა კოლონიის აღმნიშვნელი ხმელეთზეც.

თუმცა, როგორც აღნიშნულიდან ჩანს, იყო გამონაკლისებიც. კანადას, ნატალსა და ნიუ-ფაუნდლენდს ჰქონდა ბრიტანული წითელი დროშის ნიმუშის მიხედვით დამზადებული

დროშა.

კანადის დროშაზე მოთავსებულია კანადური პირველი ოთხი გაერთიანებული პროვინციის პირველი გერბი, რომელიც მიიღო დედოფალმა ვიქტორიამ 1868 წლის 25 მაისს. დროშა, რომელიც გამოიყენებოდა 1870 წლიდან, ბრიტანეთის ხელისუფლებამ მხოლოდ 1892 წელს მიიღო, ისიც სავაჭრო დანიშნულებით.

ნატალმა მიიღო დროშა აღნიშნულ განკარგულებათა გაცემამდე 20 წლით ადრე, წითელი დროშის ნიმუშის მიხედვით, მაგრამ გაცილებით მცირე კანტონით. უჩვეულო დროშა მიიღეს კუკის კუნძულებზე. რაროტონგის სამეფოს ძველი დროშის სამ ზოლზე დამატებულია კანტონზე ბრიტანეთის დროშა, ხოლო შუაში მოთავსებულია თეთრი წრე ქოქოსის პალმით. კიდევ ერთ გამონაკლისს წარმოადგენდა იონიის კუნძულების წითლად შემოფარგლული ცისფერი დროშა (20).

ასევე, გამორჩეულად გამოიყურებოდა ბრიტანეთის პროტექტორატის ქვეშ არსებული ვი-



სურ. 22. ბრიტანული კოლონიები. XX ს.

ტუს სასულთნოს დროშა. ვიტუ მდებარეობს ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე, დღევანდელი კენიის სამხრეთით. ვიტუს დროშაზე Union Jack-ი აღმოჩნდა წითელი ტილოს ცენტრში. თუ XIX საუკუნეში ბრიტანული დროშა გამოისახებოდა 41 ბრიტანული კოლონიის დროშაზე, XX საუკუნეში ამ დროშების რაოდენობამ 100-ს გადააჭარბა (21) ამ დროშების მიმოხილვაში გამოყენებულია მათი ყველა ვარიანტი. აქ წარმოდგენილია ანტიგუას ორი, ავსტრალიის სამი, ორ-ორი ბრიტანული სომალის, კანადის, დომინიკანების, ბრიტანული ვირჯინიის კუნძულების დროშები (22).

შემდეგ პლანშეტზე ჩანს, როგორ შეიცვალა ფიჯის, გვიანის, იამაიკის, მალტის, მავრიკიის, ახალი ჰებრიდების კუნძულებისა და ნიგერიის დროშები. ახალი ჰებრიდებისა და ნიგერიის შემთხვევაში ცვლილებები გამოიხატება დედოფალ ელისაბედ II-ის ტახტზე ასვლის შემდეგ, ტიუდორების გვირგვინის

წმინდა ედვარდის გვირგვინით შეცვლაში. დანარჩენი ცვლილებები ის, რომ გერბი ან ემბლემა ადრე თეთრ წრეში იყო მოთავსებული, შემდეგ კი პირდაპირ ტილოზე დაიტანეს. ასე იყო ფიჯის, მალტისა და მავრიკიის შემთხვევაში (23). ასევე, შეიცვალა სოლომონის კუნძულების სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დროშები. შეიცვალა გერბები და ემბლემებიც, რაც ჩანს ნიასის, სეიშელისა და სოლომონის კუნძულების დროშებზე (24). ამ პლანშეტზე მსგავსი ცვლილებები შეეხება სამხრეთ ნიგერიის დროშას. კარიბის აუზის კუნძულების დროშების ცვლილება დაკავშირებულია გვირგვინის ცვლილებასთან.

ბრიტანეთის კოლონიების დროშების მიმოხილვის შემდეგ დავუბრუნდეთ ევროპას, ვნახოთ, რომელი ჯვრიანი დროშები გაჩნდა XX საუკუნესა და XXI საუკუნის დასაწყისში (26). წინა საუკუნიდან ვიცით ბერძნული დროშა – თეთრი ჯვარი ცისფერ ტილოზე. იგი გაჩნდა




სურ. 23. პრიტანული კოლონიები. XX ს.

ორ მცირე ხნით არსებულ პატარა სახელმწიფოში – იკაროსსა და ჩრდილოეთ ეპირუსში. საკუთარი დროშა შემოიღო ორმა სკანდინა-

ვიურმა ქვეყანამ – ისლანდიამ და ფინეთმა. დამოუკიდებელმა ქალაქმა გდანსკმა ქალაქის გერბი მოათავსა დროშის წითელ ფონზე. რო-




სურ. 24. პრიტანული კოლონიები. XX ს.



ბაროდა

ბჰაენაგარი




კამბეი

კოჩინი



ჯანჯირა

ჯუნაგადჰი




კუტჩი

მორვი



ნაენაგარი

პორბანდერი



საჩინი

ტრაგანკორი

სურ. 25. ბრიტანეთის ინდოეთი

გორც გვახსოვს, გდანსკის გერბზე XIV საუკუნიდან გამოსახული იყო ორი ჯვარი. მათ თავზე გვირგვინი დაამატა პოლონეთის მეფემ კაზიმეჟ IV იაგელონიკმა, გდანსკისთვის მინიჭებული პრივილეგიების აღსანიშნავად, 1457 წლის 25 მაისს, გდანსკის მცხოვრებთა ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლის, ასევე, მათ მიერ პოლონეთთან გდანსკის მიერთების ნების გამოხატვის აღსანიშნავად. საფრანგეთის მიერ II მსოფლიო ომის შემდეგ ოკუპირებულ საარის ტერიტორიას 1947-1956 წლებში ჰქონდა საფრანგეთის ფერებიანი დროშა შუაში თეთრი ჯვრით. 1992 წელს სლოვაკეთი გახდა დამოუკიდებელი და შემოიღო „ხალხთა გაზაფხულის“ პერიოდის დროშა, რომელზეც დაიტანა საკუთარი სახელმწიფოს დროშა.

უახლესი დროშა საქართველოს ჯვრებიანი დროშა, რომლის პროტოტიპიც გვხვდება 1367 წლის იტალიის საზღვაო რუკაზე.

შემდეგ პლანშეტზე წარმოდგენილია 9 ევროპული ქვეყნის თანამედროვე და საქართველოს დროშები. ყოველ მათგანთან აღნიშნულია დროშის მიღების თარიღი (27).

ჯვრები დღეს ევროპის სახელმწიფოების ბევრი ადმინისტრაციული ერთეულის, სხვადასხვა ხალხთა და ეთნიკური ერთეულების, ასევე, რამდენიმე ოკეანისგაღმა ქვეყნისა თუ ტერიტორიის, ასევე სამხედრო დროშებზე და საზღვაო ფლოტის ვიმპელებზე გვხვდება (28).




იკაროსი. 1912 წ.



ჩრდილოეთი ეპირუსი. 1914 წ.



ისლანდია. 1913 წ-დან დღემდე




ფინეთი. 1917-1918 წწ.



ფინეთი. 1918 წ-დან დღემდე




თავისუფალი ქალაქი დანციგი (გდანსკი). 1922-1939 წწ.



ზაარლანდი. 1947-1956 წწ.




სლოვაკეთი. 1992 წ-დან დღემდე



საქართველო. 2004 წ-დან დღემდე

სურ. 26. ევროპისა და საქართველოს ჯვრებიანი დროშები. XX-XXI სს.




დანია. XIII ს.



შვედეთი. XVI ს.



დიდი ბრიტანეთი.
1801 წ.



შვეიცარია.
1889 წ.



ნორვეგია.
1899 წ.



ისლანდია.
1913 წ.




ფინეთი.
1918 წ.



საბერძნეთი.
1978 წ.



სლოვაკეთი.
1992 წ.



საქართველო. 2004 წ.


სურ. 27. არსებული ეროვნული დროშები

ამ დროშების მიმოხილვა დავიწყოთ დიდი ბრიტანეთის მაგალითით, სადაც გამოიყენება კარგად ცნობილი ინგლისისა და შოტლანდიის დროშები, ასევე, ჩრდილოეთ ირლანდიის არაოფიციალური დროშა. წმინდა გიორგის ჯვრიანი დროშები აქვთ ნორმანდიის კუნძულებს – ოლდერნის, გერნზის და სარკის, ხოლო ჯერსის დროშაზე წითელი დახრილი ჯვარია გამოსახული. გერსეის დროშაზე გამოსახულია წმინდა გიორგი ჯვარზე დადებული ყვითელი ჯვრით, კუნძულის ნორმანდიის საკუთრებაში ყოფნის სამახსოვროდ. ამ ჯვრის ნიშნში აღებულია ვილჰელმ დამპყრობლის ბაირალიდან, რომელიც გამოსახულია ბაიექსის ტილოზე. ამ პლანშეტის დანარჩენი დროშები, რომელთა უმრავლესობა მიღებულია XXI საუკუნის პირველ ათწლეულში, წარმოადგენენ ინგლისის საგრაფოების დროშებს²⁹)

ევროპის ბევრ სხვა სახელმწიფოს, ასევე, გააჩნია რეგიონული სხვადასხვა სიმბოლიკიანი ჯვრიანი დროშები. ვენის, გაერთიანებული ავსტრიის ერთ-ერთი ტერიტორიის დროშაზე გამოსახულია XIII საუკუნიდან ცნობილი ქალაქის თეთრჯვრიანი გერბი წითელ ტილოზე. ასეთივე გერბი გააჩნია ესტონეთის პროვინციას, ხარიუს. ამ შემთხვევაში, იგი აღებულია

დანის გერბიდან. ეს გერბი, ლეგენდის თანახმად, ზეციდან მიიღეს 1219 წელს დანიელებმა, რომლებიც ებრძოდნენ წარმართებს. ასეთივე სიმბოლიკიანი ჯვარი გამოსახულია რაპლას პროვინციის დროშაზე. ფარერის, ასევე, ალანდის კუნძულების დროშებზე არის სკანდინავიური ჯვრები, ხოლო ფრანგული რეგიონის შუა პირენეს დროშაზე ტულუზის ჯვარია, რომელიც საფრანგეთში ცნობილია როგორც ლაგვედოტური, სახელწოდებით – Croix du Languedoc, da oqsitanuri croix occitane. ოლსტერის, ირლანდიის ოთხიდან ერთ-ერთი ისტორიული პროვინციის, დროშის ყვითელ ფონზე წითელი ჯვარი განეკუთვნებოდა ოლსტერის პირველ გრაფს ვალტერის დე ბურგის (1230-1271).

ჯვრები დროშებზე აქვს სამ იტალიურ რეგიონს. თეთრ ფონზე წითელი ჯვარია გამოსახული ლიგურიის რაიონის დროშაზე, რომლის ნიშნუშაც წარმოადგენს გენუის გერბი და ბაირალი. წითელ ფონზე თეთრი ჯვარი აქვს პიემონტს, ესაა საბაუდების დინასტიის გერბი. სარდინიის რეგიონმა შემოიღო ისტორიული დროშა, მხოლოდ მასზე მავრების თავები შემობრუნებულია. კრონიგენის დროშაზე ჯვარი აღნიშნავს ჰოლანდიაში ამ პროვინ-



სურ. 28. დიდი ბრიტანეთი, ნორმანდიის კუნძულები

ციის დაწინაურებულ მდგომარეობას, ხოლო უტრეხტის დროშის წითელ ფონზე თეთრი ჯვარი უტრეხტის სათავადო ეპარქიის გერბს წარმოადგენს. ნორვეგიის ოლქის, როგალანდის დროშის ტილოს შუაში გამოსახულია ქვის, ძირში წამახვილებული ჯვარი, რომელიც 1028 წელს აღმართული იყო სოლაში, ამ ტერიტორიის მაშინდელი მფლობელის, ერლინგ სკიალგსონის სამახსოვროდ.


რუსეთში ჯვრები აქვს ორ მხარესა და ორ ოლქს დროშებზე. პერმის მხარესა და ბელგოროდის ოლქში ჯვარი უკავშირდება რუსეთის მფარველს, წმინდა გიორგის. სტავროპოლის მხარის დროშაზე ჯვარი უკავშირდება სტავროპოლის სახელწოდებას, რაც ბერძნულად ნიშნავს „ჯვრის ქალაქს“. ეს არის მხარის გეოგრაფიული მდებარეობის სიმბოლო, რადგან მხარე მდებარეობს კავკასია-რუსეთისა და ევროპა-აზიის საზღვარზე, თანაბარი

დაშორებით ჩრდილოეთ პოლუსიდან და ეკვატორიდან, ასევე, შავი და კასპიის ზღვებიდან. არხანგელსკის ოლქის დროშაზე გამოსახულია რუსეთის მფარველის, წმინდა ანდრიას ჯვარი.

ბასკეთის დროშაზე თეთრი ჯვარი აღნიშნავს ქრისტიანობას; კანტონ ნიუშატელის დროშის თეთრი ჯვარი კი ამ კანტონის შვეიცარიის კუთვნილებას; კანტონ შვიცის 1475 წელს შემოღებული დროშა წარმოადგენს შვეიცარიის პირველ ჯვრიან დროშას.

უკრაინის ოლქების, როვნოსა და ვოლინის დროშებზე არის ჯვარი, რომელიც იყო ვოლინის გერბი XV საუკუნიდან 1569 წლამდე. რას შეეხება ჟიტომირის ოლქის დროშას, იგი აღნიშნავს ამ მხარის მრავალსაუკუნოვან ქრისტიანობას. ეს მხარე წარმოადგენდა სლავებისა და უკრაინის უძველეს ტერიტორიას (30).

შემდეგ პლანშეტზე განთავსებულია ევრო-



სურ. 29. დიდი ბრიტანეთის საბრაჟოების დროშები



სურ. 30. ევროპისა და რუსეთის უძველესი ტერიტორიების დროშები

პის ქვეყნების, ტერიტორიებისა და ადმინისტრაციული ერთეულების დროშები. საკვირველია, რომ იქ, სადაც ძლიერია რელიგიური ტრადიცია, როგორც პოლონეთში, იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ჯვრიანი დროშები არ არის, ან ცოტაა, ხოლო უფრო ნაკლებად რელიგიურ ქვეყნებში, მაგალითად, სკანდინავიაში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, ჯვრიანი დროშები ყველგანაა გავრცელებული და ჩნდება ახლები (31).

ყურადღებამისაქცევია ნიშნები და გერბები, რომლებზეც გამოსახულია ნამდვილი ჯვარი. ესაა ესპანეთის ერთ-ერთი ავტონომიური ერთეულის, ასტურიის სათავადოს გერბი და დროშა. იგი წარმოადგენს გამარჯვების ჯვარს, რომელიც ეჭირა დასავლეთ გოთების მეთაურ პელაგიუსს, მავრებთან კოვადონგასთან ბრძოლის დროს, 722 წელს. მოგვიანებით პელაგიუსი გახდა ასტურიის პირველი


მეფე. ეს ბრძოლა მიიჩნევა რეკონკისტადორების მოძრაობის დასაწყისად, რომლის დროსაც ესპანეთის მიწები დაიბრუნეს არაბებისგან. გამარჯვების ჯვარი მუხის ხისგან იყო დამზადებული, ხოლო 908 წელს, ავსტრიის მეფის, ალფონს III დიდის შეკვეთით, იგი დაფარეს ოქროთი და მოოჭვეს ძვირფასი ქვებით. ეს ჯვარი ცნობილია დეკორატიული ხელოვნების ერთ-ერთ შედევრად და ინახება ოვიედოს კათედრალურ ტაძარში (32).

ჯვარი გამოსახულია არა მარტო სახელმწიფო დროშებზე, არამედ ევროპის ბევრი ეთნიკური ჯგუფისა და ხალხის დროშებზე. აქ წარმოდგენილ დროშათაგან უახლესია ფრიზეის 2006 წლის 23 სექტემბერს მიღებული დროშა და ეწოდება „ინტერფრიზული“. ჯვარი ამ შემთხვევაში წარმოადგენს ქრისტიანობის სიმბოლოს. იჟორების, კარელების, ნორმანების, არკადიელების, სკონელების, შეტლანდებისა

და ვეპსების დროშებზე წარმოდგენილია სკანდინავიური ჯვარი. საბაუდებმა მიიღეს საბაუდების დინასტიის ჰერალდიკური დროშა, ხოლო სარდინიელებმა – XIII საუკუნიდან ცნობილი სარდინიის დროშა. კორნულის დროშა XV საუკუნიდანაა. ეს იყო სენ-პერანების გვარის დროშა, ამიტომ უწოდებენ მას Baner Peran-ს.




სურ. 31. ევროპა. 2014 წ.



სურ. 32. გამარჯვების ჯვარი VIII ს.

მისი მეორე სახელწოდებაა კორნულის კალის სამთომომპოვებელთა მფარველის, წმინდა პერანის ბაირალი. ლეგენდის თანახმად, VI საუკუნეში მცხოვრებმა წმინდანმა შექმნა ეს დროშა, შავი საბადოდან ვერცხლისფერი ლითონის მოპოვების პროცესის დაკვირვების შედეგად (33).

უკვე წარმოვადგინეთ ბრიტანეთის სამფლობელოების XIX-XX საუკუნეების დროშები. ამჟამად, ბრიტანული სამხედრო დროშის ეს




ფრიზები



იგონები



კარელები




კორნელები




ნორმანები



არკადიელები



სავოიელები




სარდინიელები



სკონელები




შეტლანდიელები



ვეპსები


სურ. 33. ევროპის ქვეყნების, ტარიტორიების და ადმინისტრაციული ერთეულების დროშები




სურ. 34. ჯვარი ეთნიკური ჯგუფებისა და ხალხების დროშებზე

ნიმუში (ცისფერი ან წითელი) მიღებული აქვს 20 სახელმწიფოსა და დამოკიდებულ ტერიტორიას. არ შეცვლილა მხოლოდ ავსტრალიის, ფიჯისა და ახალი ზელანდიის დროშები. იმ დროს, როცა ცისფერის ან წითლის ნაცვლად ზოგ შემთხვევაში ტილოზე გაჩნდა სხვა ფერები: თეთრი (ბრიტანეთის ტერიტორიები ანტარქტიკაში); ღია ცისფერი (ფიჯი და ტუვალუ); ყვითელი (ნიუე); თეთრი 6 ცისფერი

ტალოვანი ზოლით (ინდოეთის ოკეანის ბრიტანული ტერიტორიები). 1999 წელს გაიზარდა ანგვილის, ბერმუდის, ბრიტანეთის ვირჯინიის, კაიმანის, ფოლკლენდის კუნძულების, გიბრალტარის, მონსერატის, წმინდა ელენეს, სამხრეთ ჯორჯიის, სამხრეთ სენდვიჩის, ტერქსისა და კაიკოსის გერბების ზომა. ახლახან მიღებული ახალი სამოქალაქო დროშები აქვს ოლდერნსა და გერნსს (34).



სურ. 35. ზღვისნიჲს ტერიტორიები



სურ. 36. სამხედრო დროშები

ევროპის გარდა, სწორედ იმ დროშები აქვს სამ სახელმწიფოს – დომინიკის რესპუბლიკას, დომინიკსა და ტონგას. ასევე, კანადის რეგიონს, კვებეკს, პორტუგალიის ავტონომიურ რეგიონს მადეირასა და ბრაზილიის შტატს პარანამბუკოს. ტონგას დროშა მიღებულია 1864 წელს და დამტკიცდა კონსტიტუციით 1875 წელს. კონსტიტუციაში ამის შესახებ ჩანერილია, რომ დროშის შეცვლა არ შეიძლება არასდროს. დროშის მთელი სიმბოლიკა დაკავშირებულია ქრისტიანობასთან. ჯვარი რწმენის, წითელი ფერი – ქრისტეს ჯვარცმის დროს დაღვრილი სისხლის, ხოლო თეთრი ფერი – სინდონის სიმბოლოა. ქრისტიანული რწმენის სიმბოლოა აგრეთვე დომინიკანთა რესპუბლიკის დროშის სიმბოლიკა, ხოლო მისი თეთრი ფერი აღნიშნავს მიტევებას. მადეირას დროშის ჯვარი წარმოადგენს პორტუგალიური „ქრისტეს რაინდების“ ორდენის ნიშანს. მას გამოსახავდნენ გემების იალქნებზე დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში, ხოლო პარანამბუკოს დროშის ჯვარმა უკვდავყო სახელწოდება Santa Cruz („წმინდა ჯვარი“), რაც ეწოდა ბრაზილიას აღმოჩენის დროს.

სავარაუდეს დროშის შავ-თეთრი ჯვარი იყო პირველი რაჯას, სერ ჯეიმს ბრუკსის გერბი. ამავე დროს, სამოას, ჰოლანდიის ანტილის კუნძულებისა და არგენტინის პროვინცია ტუკუმანის ძველი დროშების ჯვრები წარმოადგენდა ქრისტიანობის სიმბოლოს (35).

დახრილი ჯვრები დღეს დროშებზე გამოსახული აქვს არაევროპულ სახელმწიფოებს – იამაიკას, ბურუნდის, ხოლო მცირე ხნით ჰქონდა სეიშელის კუნძულების სახელმწიფო დროშას. ასეთივე ჯვრებია გამოსახული ამერიკის შეერთებული შტატების სამი შტატის – ალაბამას, ფლორიდას და მისისიპის, ასევე, კანადის პროვინციის, ახალი შოტლანდიის დროშებზე. შტატების დროშებზე გამოსახული ჯვრები არის ამერიკის კონფედერაციული შტატების მეორე და მესამე დროშის სიმბოლო. ახალ შოტლანდიას აქვს შოტლანდიის დროშა, მხოლოდ შებრუნებული ფერებით: წმინდა ანდრიას ცისფერი ჯვარი თეთრის, ხოლო თეთრი ტილო ცისფერის ნაცვლად. იამაიკის, სეიშელის კუნძულებისა და ბურუნდის ჯვრებს არა აქვთ სიმბოლური დატვირთვა, წარმოადგენენ მხოლოდ დროშაზე ფერების გამყოფს.

ბრიტანული მფლობელობის ტერიტორიების დროშების ჩამონათვალში არ ყოფილა მოხსენიებული პირველი და ახლანდელი ჰავაის დროშა, რადგან იგი აერთიანებს ბრიტანულ (კანტონში Union Jack-ით) და ამერიკულ (ჰორიზონტალურ ზოლებს) სიმბოლიკას. მისი სამფეროვანი ზოლები XIX საუკუნის I ნახევრის ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დროშის დამატებითი დადასტურებაა, რომელსაც ჰქონდა არა მარტო წითელი და თეთრი, არამედ ცისფერი ზოლებიც და თავისუფალი თანამიმდევრობით (36).


რადგან ლაპარაკი ჩამოვარდა სამხედრო დროშებზე, ვფიქრობთ, უნდა წარმოვადგინოთ თანამედროვე სამხედრო-საზღვაო ფლოტის დროშები, რომლებზეც წარმოდგენილია ჯვრის გამოსახულება. მათგან უმეტესობას ნიმუშად აღებული აქვს ბრიტანეთის სამხედრო დროშა, რომელიც შემოიღეს 1801 წელს, როგორც თეთრი ესკადრილის დროშა, ხოლო 1864 წლიდან იგი გახდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის დროშა. ბრიტანეთის მფლობელობაში მყოფმა 13-მა სახელმწიფომ მიიღო ეს დროშა, კანტონში Union Jack-ის საკუთარი სახელმწიფო დროშის ჩანაცვლებით. ორმა სახელმწიფომ დაამტკიცა სამხედრო დროშაზე დამატებითი ნიშნები. ინდოეთმა მოათავსა ჯვრის შუაში სახელმწიფო გერბი, ხოლო მალავამ სამხედრო-საზღვაო

ფლოტის ნიშანი დროშის ქვემო ნაწილში თავისუფალ ადგილას. მხოლოდ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ შეცვალა ჯვრის წითელი ფერი მწვანეთი.

ბრიტანეთის სამხედრო დროშის ნიმუშის საფუძველზე შექმნილია ტონგას, ლიტვისა და უკრაინის სამხედრო დროშები. ტონგას სამხედრო დროშას კანტონში წითელი ჯვარი აქვს, ხოლო ტილოზე თეთრ-წითლად შემოფარგლული წმინდა გიორგის ჯვარი. ლიტვისა და უკრაინის სამხედრო დროშებზე გამოსახულია ეროვნული დროშები კანტონში, ხოლო წმინდა გიორგის ჯვარი ცისფერია. უკრაინის შემთხვევაში ჯვარი თეთრ-ცისფრადაა შემოფარგლული. ლიტვის სამხედრო დროშის ჯვარი ეროვნული დროშის ფერებშია. ლიტვის დროშაზე თეთრ ტილოზე დატანილია ჯვარი ეროვნულ ფერებში.

მხოლოდ ორ სამხედრო დროშაზეა გამოსახული დახრილი ჯვარი – რუსეთის სამხედრო დროშის თეთრ ტილოზე წმინდა ანდრიას ცისფერი ჯვარი მიიღეს 1712 წელს. ბელგიის მიერ 1950 წელს მიღებულ სამხედრო დროშაზე კი გამოსახულია ჯვარი ეროვნულ ფერებში (37).

სამხედრო გემის სახელმწიფო კუთვნილების საიდენტიფიკაციო მეორე ნიშანი, სამხედრო დროშის შემდეგ, არის სამხედრო ფლოტის ვიმპელი. იგი აღიმართება ანძაზე



ს.შ.რ. 37. სამხედრო დროშები



ნორვეგია



ისლანდია




საბერძნეთი




კვიპროსი




დიდი ბრიტანეთი




რუსეთი




ბულგარეთი



ლატვია




ესტონეთი



მალტა



საქართველო



პოლონეთი

სურ. 38. სამხედრო დროშები

პორტში ან რეიდზე. ნორვეგიისა და ისლანდიის ვიმპელებს აქვს ეროვნული დროშის კვადრატული ვარიანტი. საბერძნეთის სამხედრო ვიმპელი წარმოადგენს დროშის კანტონს. ასეთივეა კვიპროსის ვიმპელი, მხოლოდ, ბერძნულსგან განსხვავების მიზნით, ჯვრის შუაში მოთავსებულია ღუზა, გადაჯვარედინებული ხმალი და ნეპტუნის სამკბილა. ბრიტანეთის ვიმპელია Union Jack-ი. მისი ნიმუშის მიხედვითაა შექმნილი რუსეთის, ბულგარეთის, ლატვიის, ესტონეთისა და საქართველოს სამხედრო ვიმპელები. არატიპური მშვილდის გამოსახულებიანი სამხედრო ვიმპელები აქვს მალტასა და პოლონეთს. პირველ შემთხვევაში მთავარ ელემენტს წარმოადგენს წმინდა გიორგის ჯვრის გამოსახულება, რომელიც მალტას გადასცა დიდი ბრიტანეთის მეფემ გეორგ VI-მ 1942 წლის 15 აპრილს, ფაშისტური ლერძის ქვეყნების წინააღმდეგ საზღვაო და საჰაერო თავდასხმისას მცხოვრებთა გმირული თავდაცვის აღსანიშნავად. სამხედრო ვიმპელის წითელ ფონზე კუთხეებში განლაგებულია თეთრი

მალტური ჯვრები. პოლონეთის რესპუბლიკის სამხედრო ვიმპელი ეროვნულ ფერებშია და მასზე გამოსახულია კავალერული ჯვარი და შეიარაღებული ხელი (38).

ბაირაღზე უძველესი, 1100 წელიწადზე მეტხანს გამოყენებული ნიშნის, ჯვრის მიმოხილვა გვაჩვენებს, როგორი უდიდესი მნიშვნელობა აქვს მას ჰერალდიკის ვექსილოლოგიაში არა მარტო ევროპაში, არამედ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს გამოიწვია ქრისტეს ჯვარზე ვნებით მიტევებისა და მისი აღდგომის ქრისტიანულმა რწმენამ. ეს რწმენა თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში წარმოადგენდა ცივილიზაციისა და კულტურის ქვაკუთხედს, ხოლო ქრისტეს სწავლების – „წადით და გაანათლეთ ხალხი“ – ერთგული მისიონერები ავრცელებდნენ ამ რწმენას, სადაც კი მოხვდებოდნენ.

ალფრედ ზნამიეროვსკი

ვექსილოლოგი, ჰერალდიკოსი
და ჟურნალისტი

დროშები შუა საუკუნეების საქართველოში

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, დროშა სამხედრო რაზმთა განმასხვავებელი სხვადასხვა ფერის ნიშანია – „მწყობრთ ნიშანი ფერად-ფერადი გუნდთა და გუნდთა საცნობელი“.¹ თეიმურაზ ბაგრატიონი კი თავად დროშასაც აღწერს: „დროშა ბაირახის ხე არის, რომელსაც თავზე შუბი ექმნება დაგებული და ალაში მასზედ აბმული, რომელსა ზედაცა ნიშანნიცა იქმნებიან ანუ ქვეყანასა, ანუ სპათა გამოხატულნი ლერბნი, ანუ ხატნი ვითა ვიეთთა ანუ ვითარად“.²

დღეს საყოველთაოდ გავრცელებული გრძივი ფორმა დროშამ მოგვიანებით შეიძინა. მაგალითად, რომაული *ვექსილუმი* ჯვარედინად დამაგრებულ ჯოხზე იყო ვერტიკალურად ჩამოკიდებული. დროშა, როგორც შუბის ტარზე მიმაგრებული ჰორიზონტალური ქსოვილის ნაჭერი, მომთაბარეებმა გაავრცელეს ჩინეთსა და ევროპაში დაახ. 500 წლისათვის.³ ჰორიზონტალური დროშის პირველი გამოცხადებები ბიზანტიაში VI ს. I ნახევარში გვხვდება.⁴

შუა საუკუნეების ქართული დროშა შედგებოდა ხის ტარის,⁵ დროშის თავისა⁶ და ტარზე

მიმაგრებული ქსოვილისაგან. მოგვიანებით მათ დაემატა თული, რომელიც საქართველოში პოსტმონღოლურ პერიოდში ჩანს.⁷ თული (*ბუნჩუკი*) დროშის თავის ქვეშ მაგრდებოდა და წარმოადგენდა ცხენის ძუის კონას, მსხვილ ფუნჯს, რომელიც დროშის ტარს ყოველი მხრიდან მოიცავდა.⁸

კლასიკური ფორმის დროშების გარდა, არსებობდა ე.წ. *დრაკონული დროშებიც*. დრაკონული დროშები, ლითონის თავით და ქსოვილის ტანით, სარმატებმა შემოიტანეს I საუკუნეში რომაულ სამყაროში.⁹ ფლავიუს არიანე აღწერს მომთაბარეთა დრაკონულ დროშებს, რომელთაც ჭოკზე წამოგებული ფერადი ქსოვილისგან შეკერილი გველის ფორმა ჰქონდათ; მოძრაობისას ჰაერი მათ შემადრწუნებელ ფორმას აძლევდა და სტვენის მსგავს ხმასაც გამოსცემდა. ასეთი დროშა ყველა რაზმს ჰქონდა და ბრძოლის წარსამართავად იყენებდა.¹⁰ II საუკუნიდან დაწყებული, რომაელები ძველ დროშებს ცვლიან დრაკონულით, რომელიც მონინალმდეგეზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდა და მის ცხენებს აშინებდა. დრაკონული დროშების მიერ გამოცემული სისინისა და სტვენის ხმა, შესაძლოა, ეხმარებოდა კიდევ მეტროლებს ორიენტაციაში დროშის მხედველობიდან დაკარგვისას.¹¹ დრაკონული დროშებიდან ყველას არა აქვს დრაკონის თავი, ზოგს ცხოველის თავი აქვს, ზოგი სულაც უთავოა მხოლოდ ქსოვილის ტანით, მაგრამ მათ ჯგუფს მაინც „დრაკონული დროშები“ ეწოდება. მოგვიანებით ამ დროშებს იყენებდნენ შარლემანის (კარლოს

1 სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ*, ტ. I (თბილისი, 1991), 226. მისივე თქმით, ბევრადი არის „ეკლესიის დროშა, სამღვდლო დროშა, საყდრის დროშა“. იქვე, 91. XVIII ს. მიწურულს ეს ტერმინი საერო დროშებთანაც იხმარება. სარა ბარნაველი, *ქართული დროშები* (თბილისი, 1953), 2.

2 თეიმურაზ ბაგრატიონი, *წიგნი ლექსიკონი, მასალები შეკრიბა, ანბანზე გაანყო, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გურამ შარაძემ* (თბილისი, 1979), 49-50.

3 Helmut Nickel, "The Mutual Influence of Europe and Asia in the Field of Arms and Armour," in *A Companion to Medieval Arms and Armour*, ed. by D. Nicolle (Woodbridge, 2002), 118.

4 Andrea Babuin, "Standards and Insignia of Byzantium," *Byzantion*, 71 (2001), 24.

5 დროშის ტარად ჩვეულებრივ შუბსაც იყენებდნენ; როგორც ნესი, ტარი ბოლოდებოდა მინაში ჩასასობი რკინის ბუნიკით. М. Г. Рабинович, "Древнерусские знамена (X-XV вв.) по изображениям на миниатюрах", *Новое в археологии* (Москва, 1972), 176; ბარნაველი, *ქართული დროშები*, 40.

6 დროშის თავი ეწოდება დროშის ზედა ნაწილში მოთავსებულ ფიგურას ან გამოსახულებას. О.С. Советова, А.Н. Мухарева, "Об использовании знамен в военном деле средневековых кочевников (по изобразительным источникам)", *Археология Южной Сибири*, вып. 23 (Кемерово, 2005), 92. დროშის თავი საკმაოდ დიდი ზომისა იყო და რაზმის კუთვნილების გასარჩევად გამოიყენებოდა. Рабинович, "Древнерусские знамена (X-XV вв.) по изображениям на миниатюрах", 176-177. ქართული დროშის თავს, უმთავრესად, ჯვარი ან შუბის პირი წარმოადგენდა. ბარნაველი, *ქართული დროშები*, 14. კახეთის მეფის დროშის თავზე ბროლის ჯვარიც კი იყო დამაგრებული. იქვე, 50. იბნ ალ-ასირის ცნობით, არზრუმის მუსლიმმა მმართველმა, ქართველთა ვასალობის ნიშნად, საქართველოს

მეფისგან მიიღო საპატიო ხალათი და აღმართა დროშა, რომელსაც თავზე ჯვარი ეკეთა. *The Chronicle of Ibn al-Athir for the Crusading Period from al-Kamil fi'l-ta'rikh*, part 3, translated by D. S. Richards (Aldershot, 2008), 270.

7 მონღოლური დროშა შედგებოდა ორგორც ალმის, ასევე თულისგან. ამას ადასტურებს ირანული მინიატურები და ევროპული ქრონიკები. Witold Swietoslawski, *Arms and Armour of the Nomads of the Great Steppe in the Times of the Mongol Expansion (12th-14th Centuries)* (Lodz, 1999), 100. თუღს, როგორც მეთაურის ნიშანს, მონღოლების გარდა ფართოდ იყენებდნენ თურქ-ოსმალებიც. Ю. Н. Перих, "Упоминание о бунчуке в 'Ригведе'", *Древний мир* (Москва, 1962), 440.

8 Рабинович, "Древнерусские знамена (X-XV вв.) по изображениям на миниатюрах", 177.

9 Jon Coulston, "Arms and Armour of the Late Roman Army," in *A Companion to Medieval Arms and Armour*, ed. D. Nicolle (Woodbridge, 2002), 21; Nickel, "The Mutual Influence of Europe and Asia in the Field of Arms and Armour," 118.

10 Арриан, *Тактическое искусство*, перевод, комментарии, вступительные статьи А.К. Нефёдкина (Санкт-Петербург, 2010), 55.

11 Советова, Мухарева, "Об использовании знамен в военном деле средневековых кочевников", 100, 103.

დიდის) ფრანკები და ანგლოსაქსებიც, ისევე როგორც შუა საუკუნეების ქართველები.¹²

დრაკონული დროშების კატეგორიას მიეკუთვნება უცხოელ მკვლევართათვისაც კარგად ცნობილი სვანური ლეში (ლომი), ზოომორფული დროშა, რომელსაც ყვითელი აბრეშუმისგან შეკერილი სხეული და მასიური ვერცხლის მავთულისგან გაკეთებული დაღრენილი პირი აქვს. ლემის მთლიანი სიგრძე 2.24 მეტრს შეადგენს.¹³ ჭენებისას იგი ჰაერით ივსებოდა და ლომს ემსგავსებოდა. ლემის ტარს მოოქრული ვერცხლის შუბისთავი ამშვენებდა, ასომთავრული საქტიტორო წარწერით, ერთ მხარეს მთავარანგელოზის, მეორე მხარეს კი წმინდა გიორგისა და იონა წინასწარმეტყველის გამოსახულებით (სურ. 1).



სურ. 1. ლემის შუბისთავი. სვანეთის მუზეუმი

დღემდე არ მოუღწევია ერთიანი მონარქიის სახელმწიფო თუ სხვა დროშებს, არც მათი ზუსტი აღწერილობაა დადასტურებული ქართულ წყაროებში, რის გამოც არაპირდაპირი ინფორმაციით უნდა დავკმაყოფილდეთ. XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ორბელიანი, რომელიც ქართველ ორბელთა გვარის ჩამომავალი იყო, საყურადღებო ცნობას გვანდის XII საუკუნის საქართველოს სამეფო და სამხედრო დროშის შესახებ: „რამეთუ განწესებულ იყო მეფისა ქონებად თეთრისა აღმისა და წითლისა ნიშნისა, და უბრძანეს მათ წითლისა აღმისა ქონებად,

დროშისა და თეთრისა ნიშნისა მას ზედა“.¹⁴ დავით მუსხელიშვილის განმარტებით, „სომხური სიტყვა „ნიშანი“ (ნიშანი, გამოსახულება) ამავე დროს „ჯვარს“ ნიშნავდა და ასეც ითარგმნებოდა“. ამრიგად, ტექსტი ასე უნდა წავიკითხოთ (ვთარგმნოთ): „წესად იყო ხელმწიფის (დროშის) ალაში თეთრი ყოფილიყო, ხოლო (ზედა) წითელი ჯვარი ჰქონოდა“.¹⁵ საქართველოს ამირსპასალარის დროშა (ანუ შეიძლება ითქვას, სამეფოს სამხედრო დროშა) კი წითელია, ზედა თეთრი ჯვრით, ანუ ადგილი აქვს სახელმწიფო დროშის ფერების შენაცვლებას სამხედრო დროშაში. ფერთა შენაცვლება ცნობილი ჰერალდიკური ხერხია, რითაც გამოხატავენ განსაკუთრებულ პატივისცემას იმ დროშისადმი, რომლის ფერებსაც იყენებენ მონაცვლეობით.¹⁶ უაღრესად საინტერესოა თუ რამდენი წითელი ჯვარი იყო გამოსახული XII საუკუნის საქართველოს სამეფო დროშაზე: ერთი, როგორც წმინდა გიორგის დროშაზე თუ ხუთი, როგორც ეს გვხვდება XIV საუკუნიდან ევროპულ პორტოლანებზე? სამწუხაროდ, არსებული ინფორმაციის საფუძველზე, ამ კითხვაზე დაბეჯითებითი პასუხის გაცემა არ ხერხდება და დამატებითი ინფორმაციის გამოჩენამდე, მხოლოდ ვარაუდების ამარა ვართ დარჩენილი.

სტეფანოს ორბელიანის ინფორმაცია სამეფო დროშის თეთრი ველის (ტილოს) შესახებ ეთანხმება ქართული მატიაწეების ცნობას. თამარის პირველი ისტორიკოსიც თეთრ დროშაზე მოგვითხრობს: „დროშა იგი გორგასლიანი, რომელი სინდეთს შესვლითგან მოსპეტაკდებოდა“.¹⁷ სპეტაკის, როგორც თეთრის განმარტება ეჭვქვეშ დააყენა გიორგი მაჭარაშვილმა, რომლის აზრითაც სპეტაკი აქ ბრწყინვალეს ნიშნავს და ეს განპირობებული იყო დროშის ოქროქსოვილით, რის შემდეგაც ასკვნის, რომ სახელმწიფო დროშა ჩალისფერი იყო.¹⁸ ამ საკითხზე შეიძლება მსჯელობა,

14 სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“ ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა (თბილისი, 1978), 38.

15 დავით მუსხელიშვილი, „ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა შუა საუკუნეებში“, ლიტერატურული საქართველო, 13-20 მარტი (1998), 5.

16 В.В. Похлебкин, Словарь международной символики и эмблематики (Москва, 2004), 206. შუა საუკუნეებში სიუზერენის მიერ ვასალისთვის თავისი ჰერალდიკური სიმბოლიკის რაიმე ფორმით გაზიარება დიდ პატივად მიიჩნეოდა. შესაბამისი მაგალითები იხ. Maurice Keen, Chivalry (New Haven, 1984), 166.

17 „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 71.

18 გიორგი მაჭარაშვილი, დროშა გორგასლიანი (თბილისი, 2011), 9-15.

12 R. Brzezinski, and M. Mielczarek, *The Sarmatians 600 BC-AD 450* (Oxford, 2002), 39.

13 ბარნაველი, ქართული დროშები, 29.

რომ არა ერთი გარემოება: „ისტორიანის და აზმანის“ ერთ ნუსხაში (ვახტანგის სწავლულ კაცთა მიერ შევსებული ტექსტი) დროშა ასე არის აღწერილი – „მოსპეტაკობდა რეცა სიბერისა სახედ“.¹⁹ აქ დროშის ფერი სიბერის ფერს ანუ თეთრს არის შედარებული, რაც ეჭვმიუტანლად ნიშნავს, რომ გორგასლიან-დავითიანი დროშის ქსოვილი (ველი) თეთრი იყო.

ვახტანგ ბატონიშვილის ცნობით, საქართველოში სარდალი ერთ დროშას ფლობდა, მეფე კი – ორს: „ხოლო მხედართმთავართა მათ აქენდისთ დროშა თვითო და მეფესა ორი...“²⁰ ივანე ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ ამ ორი დროშიდან ერთი იყო დიდი, სახელმწიფო, „სეფე დროშა“, ხოლო მეორე – მეფის პირადი პატარა დროშა.²¹ ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით, სამეფო ზარადხანაში ორი დროშა ინახებოდა: „დიდი დროშა“ და „შუბი სეფე აღმითა“.²² ამ ცნობისა და საბას განმარტების საფუძველზე (ალამი არის „ნიშანი, რამე შუბთა და მისთანათა“),²³ სოსო მარგიშვილი ასკვნის, რომ საქართველოს მეფის პირადი დროშა შუბზე დამაგრებული ალამი იყო („შუბი სეფე აღმითა“).²⁴ როგორც ჩანს, მეფის პირადი დროშა შუა საუკუნეებში გავრცელებული შუბზე დამაგრებული პენონის ან ბანერის ტიპის სამკუთხა ან ოთხკუთხა ალამი იყო, რომელზეც მფლობელის გერბი ან ამოსაცნობი ნიშანი იყო დატანილი.

შუბზე დამაგრებულ ალმებს, როგორც ჩანს, საქართველოში მხოლოდ მეთაურთა შემადგენლობა ატარებდა. ყოველ შემთხვევაში, ქართულ იკონოგრაფიაში მებრძოლთა შუბები უმეტესად ალმების გარეშე გამო-სახული.²⁵ მინიატურების შესწავლა გვარ-ნიშნებს, რომ შუბის წვერზე მიმაგრებული იყო



სურ. 2. ავთანდილი შუბზე დახვეულით დროშით. „ვეფხისტყაოსნის“ თაჰაძარაშვილისაშუაშუი ნუსხა. 255-ე მინიატურა, ფრაგმენტი. ხელნაწერი H599. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

დიდი ან მოზრდილი ალმები, რომლებსაც სამეთაურო დანიშნულებითა და რაზმის იდენტიფიკაციისთვის იყენებდნენ ანუ მხოლოდ ტაქტიკური დანიშნულების დროშები და არ იყო გავრცელებული ყოველი მებრძოლის შუბზე პირადი ალმის (პენონის)²⁶ დამაგრება. შესაძლოა, ქართველები საგანგებოდ ერიდებოდნენ კიდეც შუბზე ალმის დამაგრებას, რადგანაც ახლო აღმოსავლეთში კარგად იყო ცნობილი, რომ პატარა ალამიც კი ართულებდა შუბის გამოყენებას ბრძოლაში.²⁷ ერთ შეტაკებაში ქარმა შუბის ალამი ააფრიალა და მიზანი გაუცუდა ცნობილ არაბ მხედარს უს-

19 „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 71.3. სარა ბარნაველის დახასიათებით, „ეს ცნობა მეორდება შევსებულს ქართლის ცხოვრებაში, რომელიც აშკარა სიყვარულით უმატებს“ ამ მონაკვეთს. სარა ბარნაველი, *ქართული დროშები*, 16.

20 ვახტანგ ბატონიშვილი, *ისტორიები აღწერა*, გამოცემული სარგის კაკაბაძის მიერ (ტფილისი, 1914), 3.

21 ივანე ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, ნიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, *თხზულებანი*, ტ. VII (თბილისი, 1984), 159.

22 „გარიგება ჯელმწიფის კარისა“, *ქართული სამართლის ძეგლები*, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ, ტ. II (თბილისი, 1965), 87.

23 სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 45.

24 სოსო მარგიშვილი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში*, ნაწ. I (თბილისი, 2008), 113.

25 ერთი შემთხვევა, როდესაც შეიძლება ვთქვათ, რომ მებრძოლი ალამს ატარებს, გახლავთ თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ 255-ე მინიატურა, სადაც ავთანდილის შუბზე ალამია დახვეული, თუმცა ეს შეიძლება ავთანდილის სტატუსით („ავთანდილ იყო სპასპეტი ძე ამირსპასალარისა“) იყო განპირობებული (სურ. 2).

26 პენონი ცენტრალური აზიის მომთაბარეების მიერ არის გავრცელებული. P. Armstrong, N. Sekunda, „A Byzantine Soldier from the Crusading Era“, in *Quaestiones Medii Aevi Novae*, vol. II, *Arms and Armour* (Warszawa, 2006), 17.

27 David Nicolle, *Crusader Warfare: Byzantium, Europe and the Struggle for the Holy Land 1050-1300 AD* (London, 2007), 39.

ამა იბნ მუნკიზს.²⁸ ბიზანტიის იმპერატორები მავრიკიოსი სტრატეგიკონში და ლეონ VI ტაქტიკაში პირდაპირ ურჩევენ მეომრებს, ბრძოლის წინ მოხსნან ალმები შუბებს, რადგანაც იგი ხელს უშლიდა შუბის გამოყენებას, ისევე როგორც, უკანა რიგებიდან ისრის სროლას.²⁹ გრძელ, თუნდაც აბრეშუმის ალამს, მაინც ჰქონდა წონა (განსაკუთრებით დასველებულს) და ქარში შუბს უმართავს ხდიდა.³⁰ შესაძლოა, თავის როლს ასრულებდა ჰერალდიკის შედარებითი განუვითარებლობაც, რის გამოც ყოველ მხედარს არც ჰქონდა პირადი საბრძოლო ალამი.

ინფორმაციას ქართული დროშების შესახებ გვანვდიან ევროპელი მოგზაურებიც. საუკუნეების განმავლობაში მრავალი ევროპელი აღწერს ქართველებს, როგორც კარგად შეიარაღებულ, ბრძოლაში ძლევამოსილ და წმინდა გიორგის თაყვანისმცემელ ერს; საგანგებოდ აღნიშნავენ, ევროპელთაგან და ყველა სხვა პილიგრიმთაგან განსხვავებით, წმინდა მიწაზე მათ მიმოსვლას ყოველგვარი გადასახადის გარეშე, მხედრულად და გაშლილი დროშებით. ლუდოლფ ფონ ზუდჰაიმი (1347), „ქვემოთაინული აღმოსავლეთის აღწერა“ (1355) და იოჰანეს ფონ ჰილდესჰაიმი (1360-1375) გვამცნობენ, რომ ქართველებს აქვთ წმინდა გიორგის დროშები.³¹ ქართული დროშების შესახებ არსებულ ევროპულ ცნობებზე დაყრდნობით ივანე ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ქართულ დროშაზე წმინდა გიორგი იყო გამოსახული: „საქართველოს ეროვნული დროშის ალამზე გამოხატული ყოფილა ქართველი ერის უზენაეს მფარველად მიჩნეული წმინდა გიორგი“.³²

რა ტიპის ან ფორმისა იყო შუა საუკუნეების ქართული დროშები? საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მართლმადიდებლური ხელოვნება სათანადო ყურადღებას არ აქცევდა ჰერალდიკას, რის გამოც დროშათა გამოსახულებანი მეტად მწირია.³³ არსებულ გამოსახულებათა შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ საქართველოში

ველოში გავრცელებული იყო ოთხკუთხა და სამკუთხა დროშები; ოთხკუთხა დროშები შეიძლება ყოფილიყო როგორც ორ-, ისე სამკუდიანი და უკუდოც. ჩანს, რომ საქართველოში გრძელ დროშებსაც იყენებდნენ; ყოველ შემთხვევაში, მათ მოიხსენიებენ „ვეფხისტყაოსანსა“ და „რუსუდანიანში“: „გამოჩნდა ნავი მეკობრე დროშითა მეტად გრძელითა“;³⁴ „დროშითა მრავალკეცითა...“³⁵



სურ. 3. ის, ალბათ, ერთადერთი ქართული მინიატურაა, სადაც დროშასთან ერთად წინ ნამძვარაული ჯვარია გამოსახული, რომელიც, შესაძლოა, ძველი ცხოველს განასახიერებდეს. ჯრუჭის II ოთხთავის 64r მინიატურა, ფრაგმენტი. ხელნაწერი H1667. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ორკუდიანი დროშა უფრო ადრეულ გამოსახულებებზეა დადასტურებული: ასეთ დროშას ვხედავთ წმინდა მეომრის ხელში აფხაზეთში, სოფელ ოლგინსკოეში პ. უვაროვას მიერ ნაპოვნ კანკელის ფრაგმენტზე³⁶ (X ს.) და ჯრუჭის II ოთხთავის (XII ს.) 64r მინიატურაზე (სურ. 3). უფრო გვიანდელი H1665 დავითნის (XIV ს. II ნახ.) მინიატურებზე ოთხკუთხა დროშებია გამოსახული: შუბზე დამაგრებული

28 An Arab-Syrian Gentleman and Warrior in the Period of the Crusades: Memoirs of Usamah Ibn-Munqidh (Kitab al-I'tibar), translated from the Original Manuscript by Philip K. Hitti, with a New Foreword by Richard W. Bulliet (New York, 2000), 132.

29 Maurice's Strategikon: Handbook of Byzantine Military Strategy, translated by George T. Dennis (Philadelphia, 1984), 30; The Taktika of Leo VI, text, translation, and commentary by George T. Dennis (Washington, 2010), 12.40, 12. 81, 12. 95.

30 Richard Brzezinski, Polish Winged Hussar 1576-1775 (Oxford, 2006), 19.

31 ალექსანდრე თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში (თბილისი, 2004), 162-163, 166.

32 ივანე ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, თხზულებანი, ტ. VII (თბილისი, 1984), 161.

33 Babuin, „Standards and Insignia of Byzantium“, 5-6.

34 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ (თბილისი, 2009), სტროფი 1038.

35 რუსუდანიანი, ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით (თბილისი, 1957), 557.

36 Л. Г. Хрушкова, Скульптура раннесредневековой Абхазии: V-X века (Тбилиси, 1980), 86-90, таб. XLV.



ა



ბ



გ



დ



ე



ვ

სურ. 4. ოთხკუთხეა დროშები დაპითნიდან. 191r, 191v, 198r, 198v მინიატურების ფრაგმენტები. ხელნაწერი H1665. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ალამი სამი კუდით და უკუდოდ (სურ. 4). დავითნის მინიატურებზე თულიანი დროშებიც გვხვდება, რომლებიც საქართველოში მონღოლთა შემოტანილია (სურ. 4აგდევ). დავითნის დროშებზე შეიმჩნევა ერთი საინტერესო გარემოება: ერთსა და იმავე მინიატურებზე გამოსახულია ოთხკუთხეა ალამი სამი კუდით და საერთოდ კუდის გარეშე (მინიატურა 191r და 198r), რაც შესაძლოა ბანერების ერთგვარ იერარქიაზე მეტყველებდეს³⁷ (სურ. 4აბ).

გვიანი შუა საუკუნეების ქართულ გამოსახულებებზე, რომლებიც ირანული კულტურის გავლენითაა აღბეჭდილი, უკვე სამკუთხედი დროშები წარბოვს. „ვეფხისტყაოსნის“ წერეთლისეული ნუსხის (ხელნაწერი S-5006) XVII საუკუნის მინიატურებზე ტარიელის ჯარს ოქროსფერი ორნამენტით დამშვენებული მონათლო ფერის სამკუთხეა ალამი

მიუძღვის; ორნამენტიანი შინდისფერი სამკუთხეა ალამი აქვს ხატაელთა ჯარსაც (სურ. 5აბგ). ბოდლის ბიბლიოთეკაში უორდროპების ფონდში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ W-17 ნუსხაში (XVII ს.) სამი დროშაა გამოსახული და სამივე მათგანი სამკუთხეა ფორმისაა: ორგან ისინი ნავის ანძაზე ფრიალებენ, ერთი კი ხვარაზმელებთან ბრძოლის სცენაში გვხვდება (სურ. 6აბგ). XVII საუკუნეში ქართული ციხესიმაგრეების თავზე გრძელ სამკუთხეა დროშებს გამოსახავს იტალიელი მისიონერი დონ კრისტოფორო დე კასტელიც: ასეთი დროშები გვხვდება როგორც აღმოსავლეთ (გორის ციხე), ისე დასავლეთ საქართველოში.³⁸

XVII საუკუნის ხელნაწერებში კვლავ გვხვდებით ორკუდიან დროშებს. „როსტომიანის“ S1580 ხელნაწერში დროშები შინდისფერია და ორი კუდით ბოლოვდება, დროშის ქსოვილს ოქროს არშია აქვს შემოვლებული და ზედ ოქროსფერი წარწერები თუ ფსევდოკუფური ასოები დატანილი (სურ. 7აბგ). ორი ორკუდიანი დროშა გვხვდება ბოდლის ბიბლიოთეკის „ვეფხისტყაოსნის“ W-27 ნუსხაში: ერთი ტარიელის ხატაელებზე გამარჯვების

37 მაგალითად, ევროპაში ბანერების ალამს დანიშნულების ნიშნად კუდს აჭრიდნენ და ოთხკუთხეას ხდიდნენ. Keen, *Chivalry*, 168. სარა ბარნაველი მიიჩნევს, რომ უკუდო ალამი მხოლოდ 191r მინიატურაზეა გამოსახული და ამას სივრცის ნაკლებობით ხსნის, რამაც თითქოსდა, მხატვარი აიძულა კუდები ალამს დაეხატა ალმისთვის. სარა ბარნაველი, *ქართული დროშები*, 20. ეს მოსაზრება მცდარია, რასაც მოწმობს 198r მინიატურა, სადაც კვლავ უკუდო, მართკუთხეა ალამს ვხვდებით და სივრცეც საკმარისია იმისთვის, რომ საჭიროების შემთხვევაში დროშის კუდიც გამოესახათ.

38 დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და აღბოძრები საქართველოს შესახებ*, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ (თბილისი, 1976), სურ. 38, 436.



ა

სცენაშია, მეორე კი ტარიელის მიერ ფრიდონის შველის ამსახველ მინიატურაზე (სურ. 8აბ). მეტად საინტერესო დროშაა გამოსახული „ყარამანიანის“ H1017 ხელნაწერში. ორკუდიანი დროშის ქსოვილი ხუთი ზონრის საშუალებითაა ტარზე დამაგრებული; ტარს გვირგვინის ფორმის დროშის თავი ადგას; ოქროსფერი არშიით შემოვლებული დროშის ქსოვილის წითელ ფონზე ოქროსფერი გადაჯვარედინებული ხმლები და გვირგვინი იკითხება (სურ. 9).

ერთადერთი ქართული არტეფაქტი, სადაც დროშაზე დატანილი გამოსახულების ჰერალდიკურად წაკითხვა შეიძლება, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული XII საუკუნის გელათის ოთხთავია. მისი ყდის უკანა ფრთაზე, რომელიც უფრო გვიან არის მოჭედილი, წმინდა გიორგის ჯვარია გამოსახული.³⁹ ქრისტეს ხელთ უპყრია წმინდა გიორგის დროშა: ვერცხლის (ჰერალდიკური თეთრი) ველზე კარგად ჩანს შტრიხებით (ჰერალდიკური წითელი) გამოსახული წმინდა გიორგის ჯვარი (სურ. 10).

³⁹ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II (თბილისი, 1958), 327.



ბ




ბ

სურ. 5. სამკუთხა დროშები წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ 88r, 89r და 91r მინიატურებზე, ფრაგმენტები. ხელნაწერი S5006. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

დროშას, როგორც შორიდანვე იოლად აღსაქმელ ნიშანს, მრავალგვარი ფუნქცია გააჩნდა: წარმოადგენდა მძლავრ სიმბოლოს და აღნიშნავდა როგორც მფლობელობას (ქა-



ა



ბ



გ

ლაქის, ციხის),⁴⁰ ასევე ძალაუფლებას (სახელოს, თანამდებობას).⁴¹

40 როდესაც X საუკუნეში აშოტ კისკასმა არტანუჯის მფლობელობა ბიზანტიელებს გადასცა, ქალაქის თავზე ბიზანტიური დროშა აფრიალდა. Constantine Porphyrogenitus, *De Administrando Imperio*, ed. by Gy. Moravcsik, trans. by R. J. H. Jenkins, rev. ed. (Washington, 1967), 221.

41 დანიშვნისას, სხვადასხვა სახის აღჭურვილობასთან ერ-

სურ. 6. სამკუთხე დროშები „ვეფხისტყაოსანში“. ფრაგმენტები 70v, 129r და 231v მინიატურებიდან. „ვეფხისტყაოსნის“ W-17 წუსხა. გოდლის გიგლიოთიკა

სიმბოლური მნიშვნელობის გარდა, დროშებმა ყველაზე მრავალფეროვანი და პრაქტიკული გამოყენება სამხედრო საქმეში პოვეს. შუა საუკუნეების ომებში დროშებს ჰქონდათ საიდენტიფიკაციო ფუნქცია და სხვადასხვა ნაწილს აღნიშნავდნენ; დროშები წარმოადგენდნენ ორიენტირს, რომელთა მიხედვითაც ხელმძღვანელობდნენ საბრძოლო ხაზისა თუ ბანაკის მონყობისას, ისინი აჩვენებდნენ მთავარსარდლის ადგილს, შეტევისა და რაზმების მოძრაობის მიმართულებას; დროშების მეშვეობით იძლეოდნენ სიგნალებსაც.⁴²

თად, ერისთავს დროშასაც გადასცემდნენ: ასე უბოძეს ცხრაზმისხევის ერისთავს „საჭურველი და ცხენი თორნოსანი, დროშა და შუბი“. „ძეგლი ერისთავთა“, *ქართული სამართლის ძეგლები*, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ, ტ. II (თბილისი, 1965), 104.

42 კონსტანტინე გრიგოლია ცდებოდა, როდესაც მიიჩნევს, რომ ბრძოლაში დროშას და მის დაცემას მხოლოდ ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ის ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ძლიერების სიმბოლოს წარმოადგენდა. კონსტანტინე გრიგოლია, „ქართველთა სამხედრო ხელოვნება რუსთაველის ეპოქაში“, *შოთა რუსთაველი: საიუბილეო კრებული* (თბილისი, 1966), 50-51. ბრძოლის ველზე დროშას, უპირველეს ყოვლისა, ტაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც მისი საშუალებით ხდებოდა ბრძოლის წარმართვა.



ა



ბ



გ

სურ. 7. ორკუდიანი დროშები „როსტომიანში“. ფრაგმენტები 137v, 489r და 136r მინიატურებიდან.
ხელნაწერი S1580. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

რომაელი ავტორი ვეგეციუსი დროშებს და მათი საშუალებით მიცემულ ნიშნებს უხმო, ჩუმი სიგნალების კატეგორიას აკუთვნებს.⁴³ ბიზანტიის იმპერატორი ლეონ VI წერს, რომ დროშის საშუალებით მიცემული ნიშანი თვალსაჩინო და მკვეთრი მოძრაობით უნდა გამოირჩეოდეს; დროშის აწევ-დანევით, მარცხნივ თუ მარჯვნივ გადახრით და ხშირი ქნევით სხვადასხვა სახის სიგნალს იძლეოდნენ.⁴⁴ დროშების საშუალებით ჯარს ბრძანებებს აძლევდნენ როგორც ბრძოლის წინ, ასევე მსვლელობისას; უკიდურეს შემთხვევაში, დროშის ძირს დაშვება უკანდახევის ნიშანი იყო.⁴⁵

შუა საუკუნეებში დროშის აღმართვა უკვე გალაშქრებას ნიშნავდა. ქართულ წყაროებში დროშის „ამართვა“, „წამოყენება“ ლაშქრობის ან ბრძოლის სამზადისს უკავშირდებო-

და: „შეეკაზმა ყოველი ლაშქარი. სცემდეს ბუკსა და დაბდაბსა, წამოაყენეს დროშანი“.⁴⁶ „განწესება სარუსთველო დროშისა“ (1722) პირდაპირ გვეუბნება, რომ „დროშის ამართვა“ გათანაბრებულია გალაშქრებასთან: „ოდეს დროშისა ამართვა, ანუ რუსთველისა გალაშქრება მეფეთა ბრძანონ...“⁴⁷ ასეთივე ვითარება გვაქვს შუა საუკუნეების ევროპაში, სადაც ვასალის მიერ გაშლილი დროშებით გამოსვლა აჯანყებად არის შეფასებული: მეფის წინააღმდეგ გაშლილი დროშებით გამოსვლა ომის ღიად გამოცხადებას ნიშნავდა და მძიმე დანაშაულად ითვლებოდა.⁴⁸

ბრძოლის ველზე დროშის უპირველესი დანიშნულება შეკრების ადგილისა და შეტევის მიმართულების ჩვენება იყო.⁴⁹ არავინ არ

43 Vegetius: *Epitome of Military Science*, translated with notes and introduction by N. P. Milner, 2nd ed (Liverpool, 1996), III.5.

44 *The Taktika of Leo VI*, 12.87.


45 Helen Nicholson, *Medieval Warfare: Theory and Practice of War in Europe 300-1500* (New York, 2004), 111.

46 მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელიშვილმა (თბილისი, 1967), 672.

47 *ქართული სამართლის ძეგლები*, II, 384.

48 M. H. Keen, “Treason Trials under the Law of Arms,” *Transactions of the Royal Historical Society*, vol. 12 (1962), 93-96.

49 David Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Warfare in*



ა

სურ. 8. ორკუდიანი დროშები „ვეფხისტყაოსანში“. ფრაგმენტები 39r და 55v მინიატურებიდან. „ვეფხისტყაოსნის“ W-27 ნუსხა. პოდლის ბიბლიოთეკა

უნდა წასულიყო დროშაზე წინ: შეტევისას დროშა წინ მიდიოდა და მას მიჰყვებოდნენ. მავრიკიოსის *სტრატეგიკონში* ვხვდებით სხვადასხვა სახის ბრძანებას, რომელთაც მეზობლთა წვრთნის დროს იყენებდნენ. დიდი ყურადღება ექცეოდა მწყობრის შენარჩუნებას, რომელიც დროშის საშუალებით ხდებოდა და შემდეგი ბრძანებებით რეგულირდებოდა: „არ ნახვიდე დროშის წინ“; „ყოველთვის უყურე დროშას“; „დროშას თუ მოსწყდები, დამარცხდები“; „არ დატოვო დროშა...“⁵⁰

სწორედ დროშები აჩვენებდნენ ბრძოლის ველზე რაზმების მოძრაობას. შამქორის ბრძოლაში ძირითადად ლაშქარმა მეფის რაზმის მოახლოება დროშის მოძრაობის მიხედვით შეიტყო: „და მომხედველთა იხილეს: მიახლებოდა მეფე და მისი რაზმი; დროშა იგი გორგასლიანი...“⁵¹ ბუნებრივია, შორიდან უპირველესად თეთრ გორგასლიან დროშას დაინახავდნენ. 1750 წელს ფანა-ხანთან ბრძოლაში მოწინააღმდეგის თავდაპირველ წარმატებას და ქართული ჯარის სიღრმეში შემოჭრას მემკვიდრე დროშების მოძრაობით აღნიშნავს: „პირველზე ისინიც კარგად იყვნეს, რომ ალმები ჩვენს ჯარში შემოიტანეს...“⁵²


საინტერესო პასაჟს შეიცავს XVII საუკუნის მეორე ნახევრის თბილელი მიტროპოლიტის იოსებ სააკაძის პოემა, საიდანაც ვიგებთ,

Western Christendom (London, 1999), 277.

50 Maurice's Strategikon, 37, 145.

51 „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 71.

52 პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა (თბილისი, 1981), 168.



ბ

რომ ბრძოლის ველზე რაზმების სწორება ხდება დროშებით:

„რაზმი გასწორდეს დროშებით,
ორგნითვე ჯარი ლელევდეს,
ცემა და საყვირთ ხმა იყოს,
ცხენი კაცთ ფეხით ქელევდეს“.⁵³
ტაქტიკური გადაადგილებების წარმართ-



სურ. 9. ორკუდიანი დროშა „ყარაბაგინის“ 105v მინიატურაზე, ფრაგმენტი. ხელნაწერი H1017. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

53 იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გიორგი ლეონიძის რედაქციით (თბილისი, 1939), 48.



სურ. 10. წმინდა გიორგის დროშა გელათის
ოთხთავის ყდაზე, ფრაგმენტი. ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი

ვის გარდა, დროშა ბრძოლის ველზე მიუთითებდა უმაღლესი სარდლობის ადგილს; როგორც წესი, მისი დაცემის შემდეგ ბრძოლას ტოვებდნენ. თუკი დროშა აღარ ჩანდა, ბრძოლის დროს დაფანტული რაზმები გადაჯგუფებას და ორგანიზებულად წინააღმდეგობის გაწევას ვეღარ ახერხებდნენ.⁵⁴

მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის მემკვიდრე ასე მოგვითხრობს დროშისა და მისი მნიშვნელობის შესახებ ბრძოლაში: „წესად არის, რომ დროშა რჩეულმა რაინდებმა დაიკავან, რათა ბრძოლის ველზე ის ძირს არ დაეცეს მტრის შეტევის დროს; თუ დროშა დაეცა, ჯარი ვეღარ ხედავს შეკრების ადგილს და იბნევა და იშლება; როდესაც მეთაურის ნიშანი არ ჩანს, ფიქრობენ რომ ის დაეცა და ყველას გული ცახცახს იწყებს; და როდესაც ხალხი შიშობს, რომ პატრონს უბედურება შეემთხვა, რადგანაც მისი დროშა ძირს დაეცა, ისინი ძალას ვერ იკრებენ და მტერს ვერ ეწინააღმდეგებიან. სანამ დროშა აღმართულია, ყველას აქვს თავშესაფარი, რომელსაც შეუძლიათ მიმართონ; დაჭრილები და დაძაბუნებულნი აქ მოჰყავთ მოსავლელად და დახოცილები კი, თუკი დაღუპული სახელოვანი კაცია“.⁵⁵

შუა საუკუნეებში დროშის ტარებისა და გამოყენების წესი ზედმინევნითაა განსაზ-

ღვრული ტამპლიერთა წესდებით, სადაც ყოველი ქმედება იყო განერილი. ტამპლიერთა წესდების მიხედვით ბრძოლაში დროშას 5-10 რაინდი იცავდა. ყოველ ესკადრონს თავისი დროშა ჰქონდა. რადგანაც დროშა შუბზე იყო აბმული, დროშისმტვირთველს სასტიკად ეკრძალებოდა ბრძოლაში დროშის დახრა ან მისი, როგორც შუბის გამოყენება.⁵⁶ ასეთი დანაშაული ქრისტიანის მოკვლას ან მუსლიმთა მხარეზე გადასვლას უტოლდებოდა და ორდენიდან გარიცხვით ან სამუდამო პატიმრობით ისჯებოდა.⁵⁷ ყოველი ტაძრელი, რომელიც ბრძოლის ორომტრიალში მთავარ ძალებს მოსწყდებოდა, უკან თავის დროშასთან უნდა დაბრუნებულიყო. დამარცხების შემთხვევაში, მას, ვინც დროშის დაცემამდე დატოვებდა ბრძოლის ველს, ორდენიდან რიცხავდნენ.⁵⁸

საბრძოლო მოქმედებებში არმიები იყენებდნენ მხედართმთავრის დიდ და სხვადასხვა რაზმის უფრო პატარა დროშებს. სარდალი დროშების მოძრაობის კვალდაკვალ თვალს ადევნებდა რაზმების გადაადგილებას და მდგომარეობას (ხომ არ დაეცა დროშა ან ბრძოლას მის გარშემო), თავად დიდი დროშა კი მხედართმთავრის ადგილს მიუთითებდა.

ბიზანტიურ არმიაში შემუშავებული იყო კარგად მოფიქრებული სისტემა, რომლის მიხედვითაც ერთ ნაწილში შემავალი რაზმების დროშებს ერთი ფერის ველი (ტილო) და სხვადასხვა ფერის კუდები ჰქონდათ.⁵⁹ ნიკიფორე II ფოკა ტრაქტატში *Praecepta militaria* და ნიკიფორე ურანოსი „ტაქტიკაში“ უთითებენ, რომ ყოველ დანაყოფს თავისი ალაში უნდა ჰქონოდა, ზედ დატანილი ამოსაცნობი ნიშნით ან ასოთი.⁶⁰ მიუხედავად ამისა, არავინ იყო დაზღვეული, რომ ასეთ ნიუანსებს ბრძოლის ორომტრიალში, მტვერსა და ნისლში გაარჩევდა, როგორც ამას შიშობს VI საუკუნის ბიზანტიური ტრაქტატის *Peri strategias*-ის

56 ორდენის წესდება განმარტავს, თუ რატომ იყო დროშის დახრა ასე საშიში: უპირველესად, დროშის გაუჩინარება მეზობლთა მორალის დაცემას და მათში შიშს იწვევდა; მეორეც, მაღლა აღმართულთან შედარებით, ძირს დანეული დროშა უფრო ადვილად შეეძლო ხელში ჩაეგდო მტერს. *The Rule of the Templars: The French Text of the Rule of the Order of the Knights Templar*, translated and introduced by J.M. Upton-Ward (Woodbridge, 1992), 157.

57 Matthew Bennett, „La Regle du Temple as a Military Manual or How to Deliver a Cavalry Charge,” in *The Rule of the Templars: The French Text of the Rule of the Order of the Knights Templar*, translated and introduced by J.M. Upton-Ward (Woodbridge, 1992), 186.

58 *The Rule of the Templars*, 59-60.

59 Maurice's Strategikon, 14.

60 Eric McGeer, *Sowing the Dragon's Teeth: Byzantine Warfare in the Tenth Century* (Washington, 1995), 42, 125; Nikephoros Ouranos, „Taktika,” ed. Eric McGeer, in *Sowing the Dragon's Teeth: Byzantine Warfare in the Tenth Century* (Washington, 1995), 125.

54 J. F. Verbruggen, *The Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages: From the Eighth Century to 1340*, 2nd ed. (Woodbridge, 1997), 89-91.

55 *The Chronicle of the Third Crusade: a translation of the Itinerarium Peregrinorum et Gesta Regis Ricardi* by Helen J. Nicholson (Aldershot, 1997), 237.

ავტორი,⁶¹ ან სულაც დროშები დაისვრებოდა და ძნელი გასარჩევი გახდებოდა, როგორც ეს აღწერილი აქვს მიხეილ ატალიატეს.⁶² ამიტომაც, გარჩევის გაადვილების მიზნით, მავრიკიოსი რაზმების სიდიდისა და იერარქიის მიხედვით ხუთი სხვადასხვა სიდიდის დროშას გამოყოფს არმიაში.⁶³ მისი თქმით, მეთაურის დროშა გარეგნულადაც და ტარების წესითაც ისე უნდა განსხვავდებოდეს სხვა დროშებისგან, რომ მისი გარჩევა ადვილი იყოს.⁶⁴ სამი სხვადასხვა სიდიდის დროშას ასახელებს ბიზანტიურ არმიაში ლეონ VI-ც.⁶⁵

დაახლოებით ასეთივე სურათს ვხედავთ საქართველოშიც. შუა საუკუნეების ქართული სამხედრო ორგანიზაცია, როგორც ერთიანი მონარქიის, ისე სამეფოებად დაშლის ხანაშიც, ოთხ სადროშოდ დაყოფას ეფუძნებოდა. სახელიდანაც ჩანს, რომ სადროშო წარმოადგენდა მსხვილ ტაქტიკურ ერთეულს, რომლის ლაშქარსაც ბრძოლაში თავისი დროშა მიუძღოდა. თავის მხრივ, სადროშოში შემავალ ცალკეულ რაზმსაც თავისი დროშა გააჩნდათ. სტეფანოს ორბელიანის ცნობით, ყოველ ათას კაცს თავისი დროშა ჰქონდა: „და აქვნდათ სამკვიდრო ათორმეტი დროშა და ყოველსავე დროშასა ზედა ათასი კაცი“.⁶⁶ ბრძოლის ველზე ერთი ასეთი დროშა, თუნდაც მასში ზუსტად ათასი კაცი არც ყოფილიყო, ტაქტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. ასე რომ, ქართულ ლაშქარში, სულ მცირე, სამი სხვადასხვა სიდიდის დროშას იყენებდნენ: ყველაზე დიდი სამეფო დროშაა, რომელსაც სადროშოების დროშები მოსდევდა, ყველაზე პატარა კი სადროშოებში შემავალი რაზმების დროშები იქნებოდა. ადვილად შესაძლებელია, იერარქიული დაყოფა უფრო შორს მიდიოდა და ტაქტიკური ერთეულების გარდა, საკუთარი დროშები ჰქონდა სენიორის დროშის ქვეშ მოქმედ ვასალთა ყოველ რაზმს, რომელიც საკმაო რაოდენობის (რამდენიმე ათეული) მოყმისგან შედგებოდა.

როგორც ვხედავთ, დროშების მიხედვით დაახლოებით შესაძლებელი იყო მოწინააღმდეგის რიცხვის, უფრო სწორად კი, მის არმიაში შემავალი ტაქტიკური ერთეულების რაოდენობის განსაზღვრა. დროშების მიხედვით განსაზღვრავს მოწინააღმდეგის ლაშქრის მრავალრიცხოვნებას თამარის პირველი ის-

ტორიკოსიც, როდესაც მოგვითხრობს ზაქარია ფანასკერტელის ბრძოლაზე გამდგარ გუზან ტაოელსა და შაჰარმენის ლაშქართან: „დალაცათუ ლაშქარნი დიდნი იყვნეს და პატრონნი თორმეტისა დროშისანი და ესენი მცირენი...“⁶⁷ იგივე მემატიანე, ჩამოთვლის ივანე ახალციხელის მოპირისპირე ლაშქრის შემადგენლობას და მუსლიმთა ერთ-ერთი მეთაურის დახასიათებისას ხაზს უსვამს, რომ ის დროშის მფლობელი იყო, რაც, შესაბამისად, საბრძოლო რაზმის პატრონობასაც გულისხმობდა: „ალი შურიშამი, დიდად მყოფი, კაცი მმარჯუე, ეგრეთვე დროშის პატრონი“.⁶⁸ სწორედ ამიტომ, მავრიკიოსი და ლეონ VI მტრის შესაცდენად და საკუთარი არმიის მრავალრიცხოვნების საჩვენებლად თითოეულ რაზმს ორი დროშის ქონას ურჩევდნენ. ლაშქრობისას ორივე მათგანი უნდა გამოეყენებინათ, მაგრამ, ბრძოლის დროს, საკუთარ არმიაში არეულობის თავიდან ასაცილებლად, მხოლოდ ერთს იტოვებდნენ.⁶⁹ ამ სტრატეგიას ბიზანტიის მოწინააღმდეგეებიც კარგად იცნობდნენ, რაზეც მიუთითებს კიდეც კეკავმენოსი, რომ მცირერიცხოვანი მტრის მრავალ დროშას შეცდომაში არ შეეყვანა სარდალი.⁷⁰

ორი დროშის ტარებას ურჩევს თეოდორე პალეოლოგოსიც (1291-1338), ბიზანტიის იმპერატორის ანდრონიკე II-ის ვაჟი და მონფერატის მარკიზი, მაგრამ საბრძოლო მოქმედებებში მტრის შეცდენის ნაცვლად, ისინი უშუალოდ ბრძოლისათვის იყო გამიზნული: ერთი მათგანი სარეზერვო იყო და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებოდა.⁷¹ სარეზერვო დროშას ბრძოლაში ტამპლიერებიც იყენებდნენ: ის თავიდან შუბზე იყო დახვეული და ძირითადი დროშის დაცემის შემდეგ იშლებოდა.⁷²

მთავარი დროშის დაცემით შუა საუკუნეებში ბევრი ბრძოლის ბედი გადაწყვეტილა. ასეთ მაგალითებს ვხვდებით საქართველოს ისტორიაშიც. 1161 წელს გიორგი III-მ, რომელიც კარგი ტაქტიკოსი იყო, ანისთან ბრძოლა მოწინააღმდეგის დროშაზე კონცენტრირებული იერიშის წყალობით მოიგო. მეფემ „მოუწონდა

67 „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 56.

68 იქვე, 77.

69 Maurice's Strategikon, 34; The Taktika of Leo VI, 12.58.

70 Кекавмен, *Советы и рассказы: Поучение византийского полководца XI века*, подготовка текста, введение, перевод с греческого и комментарий Г. Г. Литаврина, издание второе, переработанное и дополненное (Санкт-Петербург, 2003), 167.

71 D. J. A. Ross, “The Prince Answers Back: ‘Les Enseignemens de Theodore Paliologue,’” in *The Ideals and Practice of Medieval Knighthood I: Papers from the First and Second Strawberry Hill Conferences*, ed. by Christopher Harper-Bill and Ruth Harvey (Woodbridge, 1986), 171.

72 *The Rule of the Templars*, 60.

61 *Three Byzantine Military Treatises*, text, translation, and notes by George T. Dennis (Washington, 1985), 93.

62 Michael Attaleiates, *The History*, translated by Anthony Kaldellis and Dimitris Krallis (Cambridge, MA, 2012), 189.

63 Maurice's Strategikon, 32.

64 იქვე, 76-77.

65 *The Taktika of Leo VI*, 12.82.

66 სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“ ძველი ქართული თარგმანები, 37-38.

ამირახორსა მისსა სუმბატის ძესა ლიპარიტს, ბექასა სურამელსა, ქირქიშს აბულეთის ძესა და სამ ათასთა თანა, მბრძანებელმან, მუნცა ღიმილითა და სიცილითა მლაღობელმან: „მოყმენო, იგიცა ვჯობთ, რომელმანცა უმსწრაფეს უხეთქნეთ დროშის მქონესა, და დაცემითა მისითა დაესცეთ ბანაკი ნავალისი...“⁷³ და ვითარ იხილეს დროშა დაცემული მკლავითა აქილიანითა... იკმის სივლტოლა ძალისაებრ ჰუნეთასა...⁷⁴ ქართველთა მძლავრი შეტევის შედეგად მოწინააღმდეგის მთავარბანაკი, რომელიც დროშასთან იყო განლაგებული, მოიშალა, რასაც მუსლიმთა მთელი ლაშქრის დეზორგანიზაცია და გაქცევა მოჰყვა.

1543/1544 წელს სულთანმა სულეიმან I-მა ოსმალთა მრავალრიცხოვანი ჯარი გამოგზავნა საქართველოში. ჰასან რუმლუ აღწერს ამ ლაშქრობის კულმინაციურ მომენტს, როდესაც გაცხარებული ბრძოლა წარმოებს დროშის გარშემო: „როცა ბრძოლის ცეცხლი გაჩაღდა, ქართველებმა ძალა მოიკრიბეს და დელუ ბეჰა ედ-დინ ქურთს დროშა წაართვეს. ხელცარიელი დარჩენილი ბეჰა ედ-დინი ქართველებს ეძგერა, თავისი დროშა უკანვე წაართვა მათ და ოსმალთა ჯარს შეუერთდა. ბრძოლისა და ჭიდილის შემდეგ ქართველები დამარცხდნენ და გაიქცნენ“.⁷⁵ როგორც ვხედავთ, ბრძოლის ბედი დროშისთვის შეტაკებამ გადაწყვიტა – დროშაც და გამარჯვებაც ოსმალებს დარჩათ.

1599 წელს ნახიდურთან ბრძოლაში სვიმონ მეფე პირველ რიგში ოსმალთა რაზმების დროშას უტეხს: „მეფემ ცხენს დაუძრა და ქართველნი შუბდაგრძელებულნი ცხენჭენებით მიეტივნეს... მეფე ჰელშუბიანი რომელს თოყსა და დროშას შეუტევიდის, მოშლიდის“.⁷⁶ აქ *თოყი* ზემოთ ნახსენები თულია, ოსმალ მეთაურთა ნიშანი. სვიმონ I-მა კარგად იცოდა, რომ რაზმის დროშის დაცემა მის დაშლას ნიშნავდა და მიზანში სწორედ მათ იღებს.

ამ ფაქტებიდან ცხადია, რომ დროშა, როგორც ყველასთვის შესაძრწევი ორიენტირი, ბრძოლის ველზე საკუთარის გარდა მოწინააღმდეგის ყურადღებასაც იპყრობდა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ დროშის ხელში ჩაგდება დიდწილად განაპირობებდა მის

წარმატებას კონკრეტულ უბანზე ან სულაც ბრძოლაში. ამ საფრთხის აღსაკვეთად შუა საუკუნეების არმიები დროშას გამოცდილ მედროშეს აბარებდნენ და მის საიმედო დაცვასაც უზრუნველყოფდნენ, რამაც დროშის მცველების, „დროშის სპის“ ინსტიტუტის ჩამოყალიბება გამოიწვია.

ბიზანტიის არმია, რომელიც რომაულ ტრადიციებს ინარჩუნებდა, დროშის დაცვას ორგანიზებულ სახეს აძლევდა. იმპერატორი მავრიკიოსი აუცილებლად მიიჩნევდა დროშის დასაცავად 15-20 რჩეული ჯარისკაცის გამოყოფას.⁷⁷ ოთხი საუკუნის შემდეგ სიტყვასიტყვით იმავეს იმეორებს იმპერატორი ლეონ VI.⁷⁸ ბიზანტიის არმიაში დროშის უბრძოლველად დათმობის შემთხვევაში მის მცველებს ყველაზე დაბალ ჩინამდე აქვეითებდნენ; დროშის დაკარგვისას მხოლოდ ჭრილობას შეეძლო მათი სასჯელისაგან ხსნა.⁷⁹

ფეოდალურ არმიებში დროშის მცველის ვინაობა წინასწარ იყო განსაზღვრული და ის ერთ-ერთ საპატიო თანამდებობას წარმოადგენდა სენიორის კარზე. პატივთან ერთად, მედროშეობა იოლი საქმე არ იყო და შემსრულებლისგან საბრძოლო გამოცდილებას, ცივ გონებასა და სულიერ სიმტკიცეს მოითხოვდა. მედროშე და მისი მოვალეობა შუა საუკუნეების რაინდულ რეალობაში ზუსტად აქვს აღწერილი ცნობილი ესპანელი რაინდის პერო ნინიოს დროშისმტვირთველს XV საუკუნის I ნახევარში. ერთ ეპიზოდში ფრანგულ-კასტილიური დესანტი სანაპიროზე გადასხდება, ინგლისელები კი მალეობიდან ცხრილავდნენ მათ. ამ დროს საფრთხეში აღმოჩნდება მედროშე, რომლის მნიშვნელობაზეც ავტორი ვრცლად და პროფესიონალურად მსჯელობს: „ჯარისკაცებმა კარგად იციან, რომ ყველას, მტერსაც და მოკეთესაც, თვალები დროშისკენ აქვს მიპყრობილი. და თუ ხედავენ, რომ დროშა უკან იხევს, ისინი სიმტკიცეს კარგავენ, მოწინააღმდეგე კი მამაცდება; თუკი დროშა მტკიცედ დგას ან წინ მიდის, ისინიც შესაბამისად იქცევიან. იმ პატივის გამო, რომელიც დროშისმტვირთველს ერგო და იმის გამო, რომ ყველა მას უყურებს, ის არ უნდა შეიპყროს პატივმოყვარეობამ და გადიდგულდეს და არ უნდა გააკეთოს იმაზე მეტი, რაც ნაბრძანებია; დიდების მოსაპოვებლად მან რისკის ქვეშ არ უნდა დააყენოს თავისი პატრონი და თანამებრძოლები; ამასთანავე, შეტევისას უკან არ უნდა ჩამორჩეს, რადგან სანთელი მეტად ანათებს, როდესაც ის წინ

73 გიორგი III მოწინააღმდეგეს აქ ნავალს ადარებს. ნავალი (ნაბალი) ძველი აღთქმის პერსონაჟია, რომელსაც უფალი მოჰკლავს ბიბლიური დავითის შეურაცხყოფისთვის. პირველი მეფეთა 25.1-44.

74 „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 8-9.

75 ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ (თბილისი, 1966), 24-25.

76 ფარსადან გორგიჯანიძე, „ისტორია“, საისტორიო მოამბე, II (1926), 219.

77 Maurice's Strategikon

78 The Taktika of Leo VI, 12.49.

79 Maurice's Strategikon, 20.

არის და დროშაც ჩირალდნის მსგავსად ნათელს ჰფენს ყველას; თუკი რაიმე მიზეზით ის ჩაქრა, ყველა სიბნელეში რჩება, ბრმავდება და მარცხდება. ამიტომ, ასეთი სამსახურისთვის უნდა აირჩეს კეთილგონიერი, გამოცდილი და სანდო ადამიანი, რომელმაც უკვე გამოიჩინა თავი. ასეთი სამსახურის ნდობა არ შეიძლება არც ზედმეტად თავდაჯერებული და არც ფიცხი კაცისთვის, რადგან ვინც თავის თავს ვერ აკონტროლებს, ის სხვებს ვერ გაუძღვება. ზოგიერთმა, ვისაც ეს სამსახური მიახდევს, შავ დღეში ჩააგდო თავისი პატრონიცა და ისინიც, ვინც ბრძანების თანახმად, მას მიყვებოდა. გასაკიცხია ისიც, ვინც თავის ხალხს ასეთ დროშისმტვირთველს ანდობს, რადგანაც ღირსების დევნაში აზნაურობა შეიძლება ხიფათში გაეხვიოს. დროშისმტვირთველი თავისი პატრონის ნებას უნდა მისდევდეს და ნაბრძანებზე მეტს არ უნდა აკეთებდეს“.⁸⁰

დროშის მცველთა ინსტიტუტი არსებობდა საქართველოშიც. ჩვეულებრივ, ფეოდალური წყობის პირობებში დროშის მცველობა განსაზღვრული გვარის პრივილეგია იქცეოდა ხოლმე. თუკი მედროშე ერთგულად ემსახურებოდა პატრონს და რაიმე ხელისშემშლელი გარემოება არ არსებობდა, მოსალოდნელი იყო, რომ მისი ადგილი მისსავე ჩამომავალს დაეკავებინა. ასე იქმნებოდა „დროშის მტვირთველობის“ ტრადიცია განსაზღვრულ გვარში. 1722 წელს შედგენილი საბუთიდან „განწესება სარუსთველო დროშისა“ ვგებულობთ, რომ რუსთავის სადროშოში დროშის მცველები ჭიჭინაძენი ყოფილან, რომელთაგან უძლიერესს („ძლიერსა და უმჯობესსა კეთილ-ცხენოსანსა კაცსა“) დროშას ჩააბარებდნენ „და სხვანი ჭიჭინაძენი გარე შემოევოდნენ ომსა შინა, გინა მშვიდობასა და, ოდეს ადგილსა დაისავანონ, ქეშიკი და მცველობა ამათ მიანდონ დროშისა“.⁸¹

ზემო სვანეთში არსებობდა მედროშის („მელომის“) თანამდებობა, რომელიც XIV საუკუნეში მემკვიდრეობითი იყო და ვახთაგიანის გვარს ეკავა („თავად, ვითა შენისა გუარისა კაცსა და შენსა სახლსა ჰქონებია, ეგრე მელომედ დაგაყენეთ“).⁸² გვარის დამცრობის შემდგომ ეს თანამდებობა არჩევითი გახდა და მელომეს სხვადასხვა სახლიდან (გოშქოთე-

ლიანი, ჯაფარიძე, ხრთაგიანი) ირჩევდნენ.⁸³ ერთიანი მონარქიის დროს მელომე, როგორც მოხელე, ამირსპასალარის უწყებას ეკუთვნოდა, რადგან მას ლაშქრის შეყრაც ევალებოდა.⁸⁴

შტანდარტი

დროშების გარდა, შუა საუკუნეების არმიები იყენებდნენ სხვადასხვა ტიპის შტანდარტსაც. ერთი მათგანია ჯვრით დაბოლოებული შუბი (*crux hastata*), რომელიც მრავალ ქართულ გამოსახულებაზე უპყრიათ ხელთ წმინდა მეომრებს. მართალია, ჯვრიანი შუბის გაჩენას აღმოსავლურ ქრისტიანულ იკონოგრაფიაში პ. გროტოვსკი უკავშირებს კონსტანტინე დიდის მიერ მაქსენციუსთან ბრძოლის წინ ჯვრის ხილვას და ასკვნის, რომ ასეთი ნივთი რეალობაში არც არსებულა,⁸⁵ მაგრამ მათი არსებობის უარყოფა მართებული არ უნდა იყოს. ბარ ჰებრეუსი აღწერს 1161 წელს ქართული ელჩობის შთამბეჭდავ შესვლას მოსულში ჯვრებით, რომლებიც შუბებზე იყო დამაგრებული.⁸⁶ ცხადია, რომ *crux hastata*-ს შემთხვევაშიც იკონოგრაფია რეალობას ასახავს.

ქართულ ლაშქარში შტანდარტის როლს სანიმამდვრო ჯვრებიც ასრულებდნენ. მართალია, სანიმამდვრო ჯვრების საშუალებით მრავალფეროვან სიგნალებს არ იძლეოდნენ, მაგრამ ისინი მეზობლებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მძლავრ საშუალებას წარმოადგენდნენ. რელიგიური რწმენით გამსჭვალულ ქრისტიანულ (ბიზანტიურ, ქართულ, ჯვაროსნულ) არმიებში სანიმამდვრო ჯვრები მოლაშქრეთა მორალურ სიმხნევეს განაპირობებდნენ. ქართული სანიმამდვრო ჯვრები ძვირფასი ლითონით მოჭედილი და გრძელ ტარზე დაგებული იყო. თავად ჯვრის სიმაღლე 40-50 სმ, ტარის სიგრძე კი, სულ ცოტა, 140 სმ მაინც იყო და მთლიანობაში 2 მეტრს აღწევდა. სანიმამდვრო ჯვრის ტარი ბოლოვდებოდა მინაში ჩასასობი რკინის წვეტიანი ფეხით.⁸⁷ ქრისტიანულ სამყაროში სანი-

80 Gutierre Diaz de Gamez, *The Unconquered Knight: A Chronicle of the Deeds of Don Pero Nino*, translated by Joan Evans (Cambridge, 2000), 51-2.

81 ქართული სამართლის ძეგლები, II, 385.

82 სვანეთის წერილობითი ძეგლები (X-XVIII სს.): ისტორიული საბუთები და სულთა მატინაეები, ტექსტები გამოცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ, ტ. I (თბილისი, 1986), 117.

83 რ. ხარაძე, „სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში“, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI (1953), 172; ელენე კაველაშვილი, „მხერის ეკლესიის კედლის მხატვრობა ზემო სვანეთში“, დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი, 2008), 113-114.

84 ელენე კაველაშვილი, „მხერის ეკლესიის კედლის მხატვრობა ზემო სვანეთში“, 106.

85 Piotr L. Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints: Tradition and Innovation in Byzantine Iconography (843-1261)* (Leiden, 2010), 337.

86 *The Chronography of Gregory Abu'l Faraj, the Son of Aaron, the Hebrew Physician Commonly Known as Bar Hebraeus*, translated from the Syriac by Ernest A. Wallis Budge, vol. I (London, 1932), 286-7.

87 სარა ბარნაველი, ქართული დროშები, 40.

ნამძღვრო ჯვრის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენდა ძელი ჭეშმარიტი, იგივე ძელი ცხოველი.⁸⁸ ასეთ ჯვარში ჩართული იყო იესო ქრისტეს ვნების ჯვრის ფრაგმენტი, რომელიც, ქრისტიანთა რწმენით, მას არნახულ ძალას ანიჭებდა და ბრძოლაში წარმატების მოტანა შეეძლო.

X-XI საუკუნეების საქართველოში მრავალი წინგასაძღოლი ჯვარი მოგვეპოვება, მაგრამ სამხედრო ქმედებებში ქრისტეს ჯვრის სისტემატურ გამოყენებას მხოლოდ XII საუკუნეში, დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების დროს ვხვდებით.⁸⁹ გამორიცხული არ არის,

რომ ბრძოლებში ძელი ცხოველის გამოყენებას სისტემატური ხასიათი ჯვაროსანთა ზეგავლენით მიეღო.⁹⁰ ყოველ შემთხვევაში, ქართველ მეფეთა შორის ძელი ცხოველის ფლობისა და ბრძოლაში გამოყენების შემთხვევას პირველად დავით აღმაშენებელთან ვხვდებით,⁹¹ ხოლო დავითის მემკვიდრეთა დროს საბოლოოდ ყალიბდება ძელი ცხოველის ბრძოლაში გაძღოლის მყარი ტრადიცია, შესაბამისი ინსტიტუტით და მცველთა რაზმით. ჯვარის მტვირთველის ვინაობა მკაფიოდ განისაზღვრებოდა: ეს მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი იყო, რომელიც ერთდროულად სასულიერო პირი (ჭყონდიდის ეპისკოპოსი) და სამეფოს უპირველესი მოხელე (მნიგნობართუხუცესი) გახლდათ. ლაშქრად წასულ წმინდა ჯვარს საგანგებო („სიფე“) კარავი გააჩნდა და მცველებიც მუდამ თან ახლდა⁹² (სურ. 3).

როგორც ვხედავთ, შუა საუკუნეებში, როგორც სამხედრო საქმეში, ისე სამოქალაქო ყოფაში დროშებს უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრა. მეტიც, ქსოვილის ამ მცირე ნაჭერს ხანდახან სამეფოთა ბედის გადაწყვეტაც კი შეეძლო.

მამუკა წურწუშია

ისტორიის დოქტორი

88 ევროპაში, ჯერ კიდევ ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყებამდე, ვხვდებით ქრისტეს ჯვრის ნაწილების ბრძოლაში გამოყენების ფაქტებს. Giuseppe Ligato, "The Political Meanings of the Relic of the Holy Cross," in *Autour de la Première Croisade*, ed. by M. Balard (Paris, 1996), 317. მსგავსი პრაქტიკა იყო ბიზანტიაშიც. მაგალითად, 1022 წელს ქართველთა მეფე გიორგი I-თან (1014-1027) ბრძოლაში იმპერატორ ბასილი II-ს (976-1025) ძელი ცხოველი ახლდა თან. სუმბატ დავითის ძე, *ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა*, 55-56. ბიზანტიელთა მიერ ძელი ცხოველის ბრძოლაში გამოყენებისათვის, იხ. Lynn Jones, *Between Islam and Byzantium: Aght'amar and the Visual Construction of Medieval Armenian Rulership* (Aldershot, 2007), 111-112, n. 89. ამავე დროს, ჰოლგერ კლაინმა შეამჩნია, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტის (944-959) აღწერით, საბრძოლო კამპანიაში იმპერატორის მიერ ქრისტეს ჯვრის ტარების ხერხი განსხვავდებოდა მავრიკიოსის დროინდელი პრაქტიკისგან: ჯვარი გამოსაჩენად კი არ იყო აღმართული, არამედ საგანგებო ყუთში დაცული კისერზე ჰქონდა დაკიდებული იმპერატორის ერთ-ერთ მხლებელს. Holger A. Klein, "Sacred Relics and Imperial Ceremonies at the Great Palace of Constantinople," in *Visualisierungen von Herrschaft*, ed. F. A. Bauer, Byzas 5 (Istanbul, 2006), 96; Constantine Porphyrogenitus, *Three Treatises on Imperial Military Expeditions*, ed. and trans. by John F. Haldon (Wien, 1990), 124-125. ძელი ცხოველის სალაშქროდ ტარების ეს ხერხი მკვეთრად განსხვავდება ჯვაროსნული და ქართული პრაქტიკისგან. ბიზანტიურ არმიაში ქრისტეს ჯვარი, თითქოსდა, მხოლოდ იმპერატორისთვისაა განკუთვნილი, მაშინ როდესაც ჯვაროსნულ და ქართულ არმიებში ის საჯაროდაა გამოფენილი და აქცენტი სწორედ საყოველთაო ზემოქმედებაზეა გადატანილი. ამგვარი მიმოფანტული ცნობების ანალიზი გვარწმუნებს, რომ ადრეულ პერიოდში ქრისტეს ჯვრის საბრძოლო გამოყენებას არ მიუღია ისეთი სისტემატური სახე და მნიშვნელობა, როგორც ეს მოხდა ჯვაროსნულ ეპოქაში იერუსალიმის სამეფოში, სადაც ძელი ჭეშმარიტი უპირველესი საბრძოლო არტეფაქტია. Alan V. Murray, "Mighty Against the Enemies of the Christ: the Relic of the True Cross in the Armies of the Kingdom of Jerusalem," in *The Crusades and Their Sources: Essays Presented to Bernard Hamilton*, eds. John France and William G. Zajac (Aldershot, 1998), 218, 228.

89 ქართულ მატანეებში ჯვრის წარმდგენებასა და ბრძოლაში გამოყენებას პირველად V საუკუნეში ვხვდებით მეფე არჩილთან და ვახტანგ გორგასალთან, თუმცა ამ ჯვრების იდენტიფიცირება ძელი ცხოველთან ვერ ხერხდება. ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I (თბილისი, 1955), 140, 150, 173-174. საინტერესოა, რომ 1075 წელს გიორგი II „წარმდგენებითა პატიოსნისა ჯუარისათა“ ფარცხისთან ამარცხებს თურქებს. „მატიანე ქართლისა“, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I (თბილისი, 1955), 317. მაგრამ


ამ ჯვრის ქრისტეს ჯვართან გაიგივება პრობლემურია; როდესაც მალიქ შაჰთან გამგზავრებული იგივე გიორგი II თან ქრისტეს ჯვარს იახლებს (ალბათ, პირად), მემატანე მას სხვა სახელით მოიხსენიებს და ძელი ცხოველს უწოდებს („წარმდგენებითა ძელისა ცხოვრებისათა“). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთმფისა დავითისი“, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I (თბილისი, 1955), 321. როგორც ჩანს, ფარცხისთან გიორგი II „ჩვეულებრივ“ სანინამძღვრო ჯვარს იყენებდა და არა ძელი ცხოველს.

90 საქართველოსა და ჯვაროსნებს შორის ადრეულ კავშირზე მიუთითებს XI საუკუნის სანყის წლებში იერუსალიმში ქართველთა ჯვრის მონასტრის ფუნქციონირების აღდგენა. Denys Pringle, *The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem*, vol. II (Cambridge, 1998), 33. ქართველთა მონასტრისა და ჯვაროსნებს შორის ახლო ურთიერთობისათვის იხ. მამუკა წურწუშია, „ჯვაროსანთა მოსახსენებლები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში“, *ქართველოლოგია*, 6 (2010), 69-95.

91 ძელი ცხოველის საბრძოლო გამოყენება არ შეინიშნება მეზობელ სომხეთშიც, რომელიც ჯვრის რამდენიმე ნაწილს ფლობდა. წმინდა ჯვრის ნაწილების ისტორიისათვის სომხეთში, იხ. Jones, *Between Islam and Byzantium*, 111-120.

92 ძელი ცხოველის გამოყენების შესახებ საქართველოს ომებში იხ. მამუკა წურწუშია, „ძელი ცხოველი, მცველი და მფარველი მეფეთა სკიპტრისა“; ქრისტეს ჯვარი ჯვაროსნულ და ქართულ არმიებში“, კრ. *ვალერი სილოგავა: მოგონებები, სამეცნიერო სტატიები* (თბილისი, 2011), 152-164.

საარქივო მასალა
ერეკლე მეორის ღილ ბეჭედზე გაემოსახული ტერიტორიული
გერბების აღწერილობები



12

f. f. ha m. l. y. d. v. = h. n. ha

၁။ ဒုတိယ နှစ် . နှစ် . နှစ် . နှစ် . နှစ် .
 ၂။ ဒုတိယ နှစ် . နှစ် . နှစ် . နှစ် . နှစ် .

ታሪክ ሕዝብ ሕዝብ ወደ ኃይል

ገ. ጸፊኝ ለ ሥነ ልቦና ከጋራ ሃላፊ ከጋራ

၇. ဝေခံ ၃၁ မှုနဲ့ ၈၂ ခု ပေါ်မူရောက်

124, 27. 6. 1872. 2. 1872.

ታ. ከጊዜ ገደብ ለሚገኝ ሕግ ለማስፈጸም

f. 202r. 16.

ਫਤਹੁ ਲਹਿਰਾ ਭ. ਅੰਤਰਿ ਨਿਰਾ ਚਰਨੁ.

3622 30. f. 272v 272.

ענין

როგორ იხატებოდა გერბი

აქამდე საქართველოში ჰერალდიკისადმი მიძღვნილი სტატიებისა თუ წიგნების ავტორები ძირითადად დარგის ისტორიული ასპექტის განხილვით შემოიფარგლებოდნენ. ამჯერად კი ჩვენ შევეცდებით მკითხველის ყურადღება ჰერალდიკის მხატვრულ სახეზე გავამახვილოთ; გავაშუქოთ, თუ რა მხატვრული სტილისა და ტექნოლოგიების მეშვეობით იქმნებოდა და ახლაც იქმნება გერბი.

ჟურნალის წინა გამოცემებში გამოქვეყნებულ რამდენიმე სტატიაში ჩვენ და სხვა ავტორებმაც უკვე აღვნიშნეთ, რომ ჰერალდიკა XII საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოყალიბდა

ჩამოსაყალიბებლად აუცილებელი სოციალურ-პოლიტიკური პირობები მხოლოდ დასავლეთ ევროპაში შეიქმნა. ადრეულ ეტაპზე ჰერალდიკა საფრანგეთის ჩრდილოეთ და ცენტრალურ რეგიონებსა და გერმანიის დასავლეთში განვითარდა.

ამ დროს დასავლეთ ევროპაში არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში რომანული სტილი ბატონობდა და ბუნებრივია, პირველი გერბებიც ამ სტილით იხატებოდა. რომანული ხელოვნების ნიმუშია ანჟუსა და მენის კონტისა და ინგლისის პირველი პლანტაგენეტი მეფის ჰენრი II-ის მამის, ჟოფრუას საფლავის მო-



სურ. 1. არნოლდ ფონ ბრინცის გერბიანი საბრძოლო ფარი. 1220-იანი წლები. ზაქარეოვის მონასტერი. შვეიცარია



სურ. 2. ტიურინგიის ლანდგრაფის ჰაინრიხის ფარი. XIII ს-ის მიწურული. გერმანია.

დასავლეთ ევროპაში. საზოგადოების მაღალ წრეებში კი გერბის გამოყენების პრაქტიკამ XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე მყარად მოიკიდა ფეხი.

ტერმინების „ჰერალდიკისა“ და „გერბის“ გამოყენება მხოლოდ იმ პერიოდიდან მიიჩნევა გამართლებულად, როდესაც რაინდის ფარზე დახატულმა გამოსახულებამ მემკვიდრეობითი ხასიათი მიიღო. ზემოთქმულის მყარი დასაბუთება კი მხოლოდ XII საუკუნის შუა წლებიდან შეიძლება. ამ პერიოდამდე ყველა ის გამოსახულება, რომელიც ფარზე იხატებოდა, „პროტოჰერალდიკის“ ნიმუშს წარმოადგენს. პროტოჰერალდიკის ნიმუშები თითქმის მთელ მსოფლიოში გვხვდება, მაგრამ ჰერალდიკის

მინანქრებული ფინი. ამ ფინზე ხმალამონვდილ ჟოფრუას ლომებით მოხატული უზარმაზარი ფარი უჭირავს. ჰერალდიკის ისტორიის მკვლევრები სწორედ ამ ფარს მიიჩნევენ ერთ-ერთ პირველ გერბად.

იმ ფაქტმა, რომ გერბი პირველ რიგში ფარზე გამოისახებოდა, განაპირობა ჰერალდიკურ ფერთა და მეტალთა არჩევანიც. ხის ფარზე გადაჭიმულ ტყავს საღებავით ფერავდნენ და მასზე ოქროსა თუ ვერცხლის ფიგურას ამაგრებდნენ ან პირიქით, მოოქრულ ან მოვერცხლილ ფარზე ცისფერი, წითელი, შავი თუ მწვანე ფერის ფიგურას ხატავდნენ. შორიდან ასეთი კონტრასტული მანერით შესრულებული გამოსახულება უკეთ



სურ. 3. სამაბრი, საფრანგეთი. ლიმოჟი.
XIII ს.

აღიქმებოდა. ეს ტრადიცია გამოყენებითი ხელოვნების სხვა დარგებსა და არქიტექტურაშიც დამკვიდრდა. მიუხედავად იმისა, რომ დაზგურ ფერწერასა და გრაფიკას დიდი დისტანციიდან აღქმის პრობლემა არ ჰქონდა, ზემოთქმულმა ტრადიციამ აქაც მყარად მოიკიდა ფეხი.



სურ. 4. წმინდა რომის იმპერატორი ალბრეხტ I (გარდაიცვალა 1308 წელს). ვენის წმინდა სტეფანეს ტაძრის ვიტრაჟი

ჩვენს ეპოქამდე მოღწეულ გერბიან ფართა შორის ერთ-ერთ უძველესს რაინდი არნოლდ ფონ ბრიენცის ნორმანული ფარი (1220-იანი წლები) წარმოადგენს. ფარზე გამოსახული ლომი ჯერ კიდევ რომანული სტილის ნიმუშია, თუმცა ნამუშევარს უკვე გოტიკის ნიშნებიც ახასიათებს. ხის ფარს ლურჯად (ჰერალდიკური ლექსიკით, ლაჟვარდოვანი) შეღებილი ტყავი აქვს გადაჭიმული, რომელზედაც ვერცხლის ჭედური ლომია დამაგრებული. რომან-



სურ. 5. ბრაბანტის ტარიტორიების გერბები.
1370 წ.

ული სტილი ჯერ კიდევ დიდად არ არის დაშორებული ბიზანტიურ-აღმოსავლეთ ევროპულს და ამიტომაც ამ სტილით შესრულებული ნამუშევრებს ჩვენი ქვეყნის მკვიდრთათვის უფრო ნაცნობი და ტრადიციული ელფერი დაჰკრავს.

XIII საუკუნის შუა წლებიდან დასავლეთ ევროპაში ფეხს ახალი გოტიკური სტილი იმკვიდრებს და ჰერალდიკის ხელოვნებაც სწორედ გოტიკის ბატონობის დროს აღწევს უმაღლეს წერტილს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნების არც ერთ სხვა მიმდინარეობას არ მოუხდენია ისეთი გავლენა ჰერალდიკაზე,



სურ. 6. შტანდარტი გლონეს საგვარეულო გარბით, რომელშიც სავოიის მთავართა გარბიტაა. XIV ს.



სურ. 7. ნაპოლის მეფის და ანჟუს მთავრის რენეს გარბი 1442-1443 წწ. ნახატს გარბითომე ვან დეიკს მიაკუთვნებენ

როგორც გოტიკას. ამ პერიოდში ფართო გავრცელება პოვა ფარისა და საგერბე ფიგურის დამასკოს ორნამენტით დაფარვამ. დამასკოს ორნამენტი დამასკური მოსევალებისგან იღებს სათავეს, მაგრამ ევროპაში ასე არა მხოლოდ შავ, არამედ ყველა ფერის ორნამენტს უწოდებდნენ. ამ სტილით შესრულებულ ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს XIII საუკუნის მინურულს შექმნილი ტიურინგიის ლანდგრაფის, ჰაინრიხის ფარი. ლანდგრაფის კუთვნილ ხის ფარს მოჩუქურთმებული ტყავი აქვს გადაჭიმული და ამ შემთხვევაში მასზე გამოსახული ლომიც ტყავზეა ამოჭრილი.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, გოტიკის სტილის ბატონობის პერიოდში ჰერალდიკა თითქმის ყოვლისმომცველი გახდა. ფეოდალურ წიაღში აღმოცენებული ტრადიცია სულ მალე სასულიერო სფეროშიც გავრცელდა. პირდა-



სურ. 8. ნახატის ჩარჩოზე ამოკვეთილი გარბი. იტალია, XV ს.

პირი დანიშნულების გარდა, როდესაც გერბს მეომრის ფარზე, საჭურველზე, ტანისამოსსა თუ საბეჭდავზე გამოსახავდნენ, გერბი ჩნდება ციხესიმაგრეებისა თუ სასახლეების ექსტერიერსა და ინტერიერში, ქალაქების კარიბჭეებზე, ტაძრების ფრესკებზე, ვიტრაჟებზე, საეკლესიო თუ საერო ნაქარგობაზე, ნივთების ილუსტრაციებში, დიდგაროვანთა ჭურჭელსა და სხვა პირადი დანიშნულების ნივთებზე.

შუა საუკუნეების მინურულისთვის გერ-

ბის ქონის უფლება წმინდა რომის იმპერიის ტერიტორიაზე მდებარე გერმანიის, ბოჰემიის, ჩრდილოეთ იტალიისა და ნიდერლანდების ამქრებმა და საზოგადოების საშუალო ფენების სხვა წარმომადგენლებმაც მოიპოვეს. სწორედ ამ ფაქტს უკავშირდება ის, რომ XIII-XIV საუკუნეების დასავლეთ ევროპული მხატვრობა გაჯერებულია ჰერალდიკური შემკულობით. იტალიური ადრეული აღორძინების ნახატებზე ქალაქური ცხოვრების ამსახველი სცენები სავ-



სურ. 9. ინგლისის მეფის ედვარდ IV-ის გერბი. ოქროს საწმისის ორდენის კაპალერთა გალერეიდან. 1481 წ. ნახატს პიერ კიუსტანს მიაკუთვნებენ

სეა ჰერალდიკური სიმბოლიკით. ამ პერიოდის ნახატების ჩარჩოების დიდი ნაწილიც ჰერალდიკური ჩუქურთმებითაა მორთული.

ძალზე საინტერესოა ისიც, რომ შუა საუკუნეების მიწურულსა და აღორძინების ეპოქის დასაწყისისთვის გოტიკურის აღორძინების სტილით შეცვლა საგერბე ნახატს ყველაზე ნაკლებად შეეხო. XIV საუკუნიდან დაწყებული, ბრძოლის ველზე ცეცხლსასროლი იარაღის სულ უფრო მზარდმა გამოყენებამ ფარის ხმარების მნიშვნელობა გააქარწყლა და გერბსაც უკვე რეალურად არსებულ ფარზე აღარ გამოსახავდენ.




სურ. 10. გერბი ბაზალის უნივერსიტატის მატრიკულიდან. XV ს-ის მიწურული. შვეიცარია

ამ პერიოდისთვის გერბის მთავარ ფუნქციას უკვე აღარ წარმოადგენს მეზობლის ამოცნობა. ეს გარემოება კი იწვევს ფარისა და



სურ. 11. ალბრეხტ დიურერი. დიურერთა საგვარეულო გერბი. 1523 წ.



სურ. 12. ფარდინანდ I-ის, გოჭამიისა და უნგრეთის მეფის გარბი (გომავალი წმინდა რომის იმპერატორი), დიურარი, 1527 წ.

საგერბე ნახატის გართულებას. ამ პერიოდის ფეოდალი, პირველ რიგში, ცდილობს გერბზე გამოსახოს ყველა იმ ტერიტორიის გამომხატველი გერბი, რომლებსაც ის ფლობს თუ რომელთა ფლობაზეც პრეტენზიას აცხადებს.



სურ. 13. ჰესენის ლანდგრაფის ფილიპეს გარბი. ლუკას კრანახი უმცროსი. 1548 წ.



სურ. 14. საქსონიის ელექტორის იოჰანის გარბი, ლუკას კრანახი უფროსი. 1526 წ.



სურ. 15. სავარაუდოდ, შვეიცარიული მოჯახის გარბი. ჰანს ჰოლბაინ უმცროსი. 1517-1519 წწ.

აღორძინების ეპოქაში ძირითადი ცვლილება საგერბე ფარისა და შემკულობის გამოსახვას შეეხო, უფრო ნაკლებად კი თავად ფარზე გამო-

სახულ მთავარ ფიგურას, რომელსაც ამ დროსაც გოტიკური სტილის გავლენით გამოსახავდნენ. ამ პერიოდიდან გერბზე რეალურ საბრძოლო



სურ. 16. გოგელეზზე ამოქარბული იმპერატორ კარლოს V-ის გერბი. ვილემ დე პანემაკერი, ბრიუსელი. 1540-იანი წლები



სურ. 17. ესპანეთის მეფე ფილიპე II-ის გერბი. ბრაჰამ რტელისი. 1570 წ.



სურ. 18. გოგელეზის სამეფოს ტაბარდი XVII ს. ვენა



სურ. 19. პრინც ევგენი სავოიელის გერბი. ბელვედერის სასახლე. ვენა. XVIII საუკუნის დასაწყისი



სურ. 20. ამურის საგრაფოს ჰეროლდის მოსასხამი „ტაბარდი“. 1715 წ.



სურ. 21. პერუს მეფისნაცვალ მარკიზ დე კასტელბელი, მხატვარი მანუელ დე ამატი სუნიეტი. 1760-იანი წლები



სურ. 24. პოზნანი. საგუშაგო. XVIII ს. პოლონეთის მეფე სტანისლავ ოგუსტის ბარგი



სურ. 22. ბერგი მიუნჰენის ტაძარზე. XVIII ს.



სურ. 25. ესპანეთის სამეფო ბერგის ნაძარბოვა უნაგირზე. XVIII ს.



სურ. 23. ფაიფურის თეფშზე გამოსახული ბერგი. XVIII ს-ის ბრიტანეთი



სურ. 26. სამეფარტორო კარაბის კარზე გამოსახული ნაოლეონ I-ის სრული ბერგი. XVIII ს-ის დასაწყისი

მუზარადის მაგივრად სულ უფრო ხშირად გამო-
სახვენი სატურნირე და სავარჯიშო მუზარადს.
აღსანიშნავია, რომ სწორედ ასეთი მუზარადებია
გამოსახული ქართულ გერბებზე.



სურ. 27. უნგრეთის თაბარდი. XIX ს.

გული“ ანუ „ევროპული“ ფარის გამოსახვა. სწორედ ეს ფარი წარმოადგენს დღეს საქართველოს ტერიტორიული თუ საგვარეულო ჰერალდიკის მთავარ ფარს.

ჰერალდიკური ხელოვნების უბადლო ნიმუშები დაგვიტოვა გერმანული აღორძინების მხატვარების დიდმა ტრიადამ — ალბრეხტ დიურერმა, ლუკას კრანახმა უფროსმა და ჰანს



სურ. 28. თბილისის გუბარნიის გერბი. ჰუგო სტროლი. 1899 წ.

ჰოლბეინ უმცროსმა. მათ მიერ შექმნილი გერბები, რომელთა უმრავლესობაც ხეზე კვეთის ანუ ქსილოგრაფიის ტექნიკითაა შესრულებული, დღემდე ჰერალდიკური მხატვრობის შეუღარებელ ნიმუშებად მიიჩნევა.

აღორძინების ეპოქის მიწურულს, მანიერ-

იზმისა და შემდეგ ბაროკოს დამკვიდრების ეპოქაში ჰერალდიკურ ნახატს უფრო დაეტყო ხელოვნების ამ სტილთა გავლენა, თუმცა მთავარი ცვლილება ისევ საგერბე ფარის ფორმამ და შემკულობამ განიცადა. ფარს ბაროკოს ესთეტიკური მოთხოვნების მიხედვით შესრულებული მდიდრული კარტუში ცვლის. ამ პერიოდის გერბები კი გამოირჩევა მრავალფიგურიანი და რთული დიზაინით.



სურ. 29. დაღინაბის გერბი, ალექსანდრ ფადეევი. 1873 წ.

XVIII საუკუნის ოციანი წლებიდან ბაროკო კიდევ უფრო დატვირთულმა როკოკოს სტილმა შეცვალა.


ჰერალდიკური ხელოვნების უკანასკნელი აყვავება XIX საუკუნის შუა წლებიდან დაიწყო და პირველი მსოფლიო ომის პერიოდამდე გასტანა. ამ დროს მოღვაწეობდნენ დიდი ავსტრიელი ჰერალდიკოსი მხატვარი ჰუგო გერჰარდ სტროლი Hugo Gerhard Strohl (1851-1919) და გერმანელი ოტტო ჰუპი Otto Hupp (1859-1949), რომლებიც დამსახურებულად მიიჩნევიან მსოფლიო ჰერ-



სურ. 30. ავსტრია-უნგრეთის გერბი. ჰუგო სტროლი. 1915 წ.

ალდიკური ხელოვნების უბადლო წარმომადგენლებად. გერმანულენოვანი სამყაროს ჰერალდიკურ ხელოვნებას ბაძავდნენ რუსი ჰერალდიკოსი მხატვრებიც, რომელთა შორის ალბათ ყველაზე აღსანიშნავია XIX საუკუნის II ნახევარში მოღვაწე ალექსანდრ ფადეევი.

თუმცა ამ ეპოქაში ბევრ სხვა ქვეყანაში გერბის საკმაოდ რეალისტური გამოსახვა გახდა პოპულარული. რეალიზმი პირველ რიგში აღინიშნება ბრიტანეთისა და მის დაქვემდებ-



სურ. 31. 1902 წ.-ს რიგაში გამომცემული გალტიისპირათის კალენდრის შერეულ-შერეული გერბი. მხატვარი მარტინ კორტმანი

ბარებაში მყოფი ტერიტორიების ჰერალდიკაში, სადაც გერბების ფარის მტკირთველებად და ფარზეც ხშირად თანამედროვე ადამიანები, საგნები თუ რეალისტური მანერით შესრულებული ცხოველები გამოიხატებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბრიტანული ჰერალდიკა ოდითგანვე გაუბოდა მოსახლეობისა და „ფრანგული“ ფარის გამოსახვას. ამ ტრადიციას ბრიტანეთი დღესაც არ ღალატობს.



სურ. 32. ოტტო ჰუპი, საჰენ-კოჰურგ-გოტას სამთავროს გერბი. 1911 წ.

ხელოვნების ახალი, ზედმეტად დეკორატიული მოდერნისა თუ მინიმალისტური სტილის დამკვიდრებამ და XX საუკუნის დასაწყისის რევოლუციებმა გავლენა იქონია გერბის მხატვრობაზეც. თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩვენი აზრით არქიტექტურისგან განსხვავებით გერბმა ბევრად უკეთ შეითვისა ეს ცვლილება. ამ პერიოდის ჰერალდიკოს მხატვართა შორის გვინდა გამოვყოთ გერმანელი მარტინ კორტმანი, რომელიც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა.

მინიმალიზმი ახასიათებს მეორე მსოფლიო



სურ. 33. ოტტო ჰუპი, ლუბაჰის გერბი. 1920 წ.

ომის შემდგომი პერიოდის ცენტრალური ევროპის ტერიტორიულ გერბებსაც. ეს ტენდენცია აშკარაა გერმანიის, ავსტრიისა და შვეიცარიის ტერიტორიული სიმბოლიკის გამოსახვის შემთხვევაში. ჩეხოსლოვაკიაში, ხოლო ამ ქვეყნის დაშლის შემდეგ ჩეხეთში მოღვაწეობდა თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო პერალდიკოსი მხატვარი ირჟი ლოუდა, რომელიც მრავალ სხვა ნამუშევართან ერთად, ჩეხეთის დღევანდელი სახელმწიფო გერბის ავტორიცაა.

შეიძლება ითქვას, რომ ბრიტანული ჰერალ-



სურ. 34. ჰერალდიკოს რობერტ ჰარისონის
გერბი. დენ ესკოტის თანამედროვე ნამუშევარი.
ბრიტანეთი

დიკური ნახატი დღესაც საკმაოდ განსხვავდება კონტინენტური ევროპის ჰერალდიკის ნიმუშებისგან. ბრიტანეთში გავრცელებული თანამედროვე ჰერალდიკური მხატვრული სტილის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები არიან ჯონ ფერგიუსონი და დენ ესკოტი.

სკანდინავიისა და ბალტიის ქვეყნების ჰერალდიკა ისტორიულად გერმანულენოვანი სამყაროს დიდ გავლენას განიცდიდა და ეს ტენდენცია დღესაც აშკარაა გამოხატული. ნორვეგიაში გასული საუკუნის 60-იან წლებში სპეციალური კანონიც მიიღეს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოისახოს ძველი თუ ახალშექმნილი ტერიტორიული ან ადმინისტრაციული გერბები. ამ კანონის თანახმად, გერბში მხო-

ლოდ ერთი ლითონისა და ერთი ფერის გამოყენებაა დაშვებული და ფარზეც მხოლოდ ერთი ფიგურის გამოსახვა შეიძლება (რაც ერთი და იმავე ფიგურის რამდენჯერმე გამოსახვასაც



სურ. 35. ოქსფორდის ერლის რობერტ უოლკოლის
გერბი. ჯონ ფერგიუსონის თანამედროვე
ნამუშევარი

გულისხმობს). ნახატი კი სიბრტყობრივად და მარტივად უნდა იყოს შესრულებული, ყოველგვარი ჩრდილ-სინათლის გარეშე.

აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში ჰერალდიკის განვითარება სოციალისტურმა დიქტატურებმა შეაფერხა და ამ რეგიონის სახელმწიფოებს, მათ შორის კი საქართველოსაც თავისუფლების მოპოვების შემდეგ ახალი მხატვრული ამოცანების გადაჭრა მოუხდათ. მაგალითად, სერბეთის ტერიტორიული გერბების შესრულების მანერა ბრიტანულს უფრო ნააგავს ვიდრე ამ ქვეყანასთან შედარებით ახლოს მდებარე უნგრეთში, ავსტრიასა თუ იტალიაში გავრცელებულ ჰერალდიკურ სტილს. რუსეთის სახელმწიფო გერბის ნახატი თანამედროვე რეალისტურ ილუსტრაციას ნააგავს, ხოლო საქართველოს გერბის შემთხვევაში კი თანამედროვე ნახატი შუა საუკუნეების რელიეფების გავლენითაა შესრულებული.

ზაქარია კიკნაძე


მხატვარი - ჰერალდიკოსი

დაღესტნის ვეჰსილოლოგიის ისტორიიდან: ავარეთის სახანოს დროშის საკითხისათვის

დროშა – როგორც საზოგადოებრივი და სამხედრო-პოლიტიკური კულტურის ნიშან-ვეტი – შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. მიუხედავად იმისა, რომ ძველი დაღესტნური დროშები განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, ისინი ძალაუფლების უნიკალური მატერიალური ძეგლებია, როგორც ისტორიის ერთგვარი „მარკერები“. დაღესტნურ ისტორიოგრაფიასა და წყაროთმცოდნეობაში დროშები მაინც არ არის სათანადოდ შესწავლილი. დღეისთვის ცნობილია დაღესტნური დროშებისა და „ნიშნების“ 50 ეგზემპლარი (ძირითადად, კავკასიური ომებისდროინდელი), რომლებიც დაცულია სხვადასხვა მუზეუმის საცავებსა (დაღესტნის, რუსეთის ფედერა-

უფრო ღირებულია. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ ერთ-ერთ ამგვარ, კერძოდ, ავარეთის სახანოს დროშას.

პირველი ამგვარი მცდელობა ვახუშტი ბაგრატიონის „იბერიის სამეფოსა და სრულიად საქართველოს რუკა“ (სურ.1), რომელიც შედგენილია 1735 წელს.¹ იგი საყურადღებოა უწინარესად იმით, რომ მასზე გამოსახულია 16 „გერბი“ და „ნიშანი“, რომელიც შეადგენს „საქართველოს შემადგენლობაში მყოფ მიწებს, ცალკეულ ქართულ სამთავროს, ისტორიულ მხარეებსა და მოსაზღვრე ტერიტორიებს“ (საქართველო, ქართლი, კახეთი, იმერეთი, ოდიში, გურია, სამცხე, სვანეთი, აფხაზეთი, ოსეთი, სომხეთი, შირვანი და სხვ.).




სურ. 1. რუკა „სამეფოსა ყოვლისა საქართველოსი ანუ იბერიისა“, ვახუშტი ბაგრატიონი. 1735 წ.

ციის, საქართველოს) თუ პირად კოლექციებში. მათი უმრავლესობა არ არის აღწერილი და კლასიფიცირებული, არ არის შედგენილი დაღესტნური დროშების კატალოგები. შემონახული უნიკალური რელიკვიების გარდა, არ არის შესწავლილი საკმარისი მდიდარი მასალა დაღესტნური დროშების შესახებ, რომლებიც ასახულია სახვითი ხელოვნების, წერილობით და ფოლკლორულ წყაროებში. აქვე შევნიშნავთ, რომ სამუზეუმო კოლექციებში არ არის გამოვლენილი დაღესტნის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის არც ერთი დროშა. ამ თვალსაზრისით, შესაბამისი ხასიათის კვლევები მით

მათ შორის წარმოდგენილია აგრეთვე „ნიშანი“, ანუ როგორც რუკაზე ქართული წარწერა იუწყება: „ლეკისა დაღესტანისა“, რაც ნიშნავს „დაღესტნის ლეკების/მთიელების“ (სურ. 2).

1992 წელს თ. აიბებეროვა და კ. ფატალიევა შეეცადნენ „ლეკისა დაღესტანისა“ წარმოდგი-

1 География Грузии (царевича Вахушти) / Введ., пер. и примеч. М.Г. Джанашвили // ЗКОРГО. 1904. Кн. XXIV. Вып. 5. Приложение. С. I-XLIX. 1-241. Рукопись и оригиналы карт Вахушти хранятся в Институте востоковедения РАН; Орбели Р.Р. Собрание грузинских рукописей института востоковедения АН СССР // Ученые записки института востоковедения, Т. 9, М., 1954. С.35.



სურ. 2. ნიშანი „ლეპისა დალესტანისა“, პახუშტი ბაგრატიონი. 1735 წ.

ნათ, როგორც ავრეთის სახანოს² დროშის ნიშანი. ისინი ხელმძღვანელობდნენ გ. ტოლოშვილის მიერ 1979 წელს „ისტორიული ძიებანის“³ თბილისურ კრებულში გამოქვეყნებული „ნიშნის“ სიტყვიერი აღწერილობით. დროშის გამოსახულება, რომელიც აღადგინეს ელენა და ტაგირ გაპუროვებმა, გამოქვეყნდა 1992 წელს ხაიდარბეკ გენუჩუტლინსკის⁴ „ისტორიულ-ბიოგრაფიულ და ისტორიულ ნარკვევებში“ (სურ. 3). ეს სადღეისოდ საკმაოდ ცნობილი სტილიზებული გამოსახულებაა: შავ ფონზე მთების გეომეტრიული რიგის თავზე ჩანს მგელი, რომლის წინა თათებში განთავსებულია შტანდარტი სოლარული სიმბოლოთი. მგლის თავი შებრუნებულია უკან, ნახევარმთვარისკენ ფტილოს მარჯვენა ზედა კუთხეში, მაგრამ რამდენად შეესაბამება სიტყვიერი აღწერილობის საფუძველზე აღდგენილი დროშა პირველწყაროს?

ვახუშტი ბატონიშვილმა შეადგინა ორი გეოგრაფიული ატლასი: „ყაზანური“ – 1735 წელს და „პეტერბურგული“ – დაზუსტებებითა და

დამატებებით 1742-1743 წლებში.⁵ ყოველი ატლასი მოიცავდა მიმოხილვით რუკას, შედარებით მცირე მასშტაბში გამოსახავდა საქართველოს, მიმდებარე მხარეებით და ასევე რამდენიმე უფრო დიდი მასშტაბის, ქვეყნის ცალკეული ნაწილის დანვრილებით ამსახველი რუკებით. როგორც მეცნიერები შენიშნავენ, ვახუშტის განსაკუთრებით დანვრილებით და ზუსტად აღუწერია – ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოები. დანარჩენი ტერიტორია აღწერილია უფრო სქემატურად, გამარტივებული სამარშრუტო ქსელის საფუძველზე ან სხვა ავტორთა⁶ რუკების მიხედვით.

ჩვენ გვინტერესებს ვახუშტის პირველი ატლასი, რომელშიც მოთავსებულია „იბერიის სამეფოს ანუ სრულიად საქართველოს რუკა“, ე.წ. „საქართველოს ზოგადი რუკა“. აღნიშნულთან დაკავშირებით აკადემიკოსი მარი ბროსე 1852 წელს წერდა: „Первая из сохранившихся пяти карт этого атласа, есть общая карта Грузии. ... На особом щитке грузинская надпись с подробным исчислением разных стран, включенных в карты. Это исчисление оканчивается словами “Мною (описаны) с поспешною охотою. Ваш слуга


2 Хайдарбек Геничутлинский. Историко-биографические и исторические очерки. Пер. с араб. Т.М. Айтберова, под ред. М.Р. Мугумаева, вступ. статья, комм. и общая ред. В.Г. Гаджиева. Махачкала, 1992. С. 168.

3 Тогошвили Г.Д. Вопросы истории народов Северного Кавказа в труде грузинского историка XVIII в. Вахушти Багратиони // Источниковедческие разыскания. Тбилиси, 1979. С. 192.

4 Хайдарбек Геничутлинский. Историко-биографические и исторические очерки. С. 168.

5 Впервые оба атласа были опубликованы в 1997 г., к юбилею 300-летия со дня рождения ученого, Академией наук Грузии и Институтом географии им. Вахушти Багратиони в издании „Вахушти Багратиони. Атлас Грузии, XVIII век“ (Тбилиси).

6 Маруашвили Л.И. Вахушти Багратиони, его предшественники и современники. Географические труды и путешествия, М., 1956.



სურ. 3. „ავარეთის ხანის დროშა“ (ელენი და ტაბირ ბაჰაუროვის რეკონსტრუქცია. 1992 წ.).

царственный Вахушти. Гербы или знаки всех тех частей порознь выше выставлены. 1735 янв. 22”. „ატლასის შემონახული ხუთი რუკიდან პირველი არის სრულიად საქართველოს რუკა. ...განსაკუთრებულ აზრზე ქართული წარწერაა, ცალკეული ქვეყნის დანვრილებითი გამოთვლებით, რომლებიც ჩართულია რუკებში. აღნიშნული გამოთვლები მთავრდება სიტყვებით: „ჩემ მიერ აღწერილია სიჩქარით. თქვენი მონა-მორჩილი ვახუშტი ბატონიშვილი. გერბები ან დროშის ნიშნები წარმოდგენილია ცალ-ცალკე. 1735, იანვრის 22“.⁷

მართლაც, აღნიშნულ რუკაზე გამოსახულია 16 გერბი საქართველოს სამეფოს ყველა ყოფილი ნაწილისა. მარი ბროსე ოდნავ არაზუსტია განზოგადებისას, როდესაც წერს, რომ ამ რუკაზე გამოსახულია გერბები „ყოფილი საქართველოს სამეფოს ყველა მხარისა“. მეცნიერს ზემოთ უკვე აღნიშნული აქვს, რომ განსაკუთრებულ აზრზე არის ქართული წარწერა,

სხვადასხვა ქვეყნის დანვრილებითი აღწერით, რომელიც ჩართულია რუკაში“. მსგავსი განთავსების პრაქტიკა საკმაოდ გავრცელებული იყო XIV-XVII საუკუნეების გეოგრაფიულ ტრაქტატებსა და რუკებში. რომლებიც შეიცავდნენ სხვადასხვა გამოსახულებისა და აღწერილობის გერბებს.⁸

თვით ვახუშტი ბატონიშვილი საკუთარ გამოსახულებებს რუკაზე უწოდებს გერბებს ან „ნიშნებს“. როგორც ჩანს, „გერბებია“ ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოების აღმნიშვნელი გამოსახულებები, რომლებიც ვახუშტი ბატონიშვილის უთუოდ კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი. ძნელია გვერდი აუარო თანამედროვე მკვლევართა შენიშვნებს „ვახუშტის პირველი ატლასის კარტოგრაფიული საფუძველების შესახებ“, რომელიც, მათი აზრით, „არასაკმარისად ზუსტია“ და „აგებულია ცილინდრულ პროექციაში გამოსახული სწორკუთხოვანი ბადის სახით, რომელსაც ქმნის პერპენდიკულარულად გადამკვეთი განედებისა და გრძედების აღმნიშვნელი ხაზები“. ამასთან, „ყველაზე სრულყოფილია ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოს ტერიტორიების გამოსახულებები. ადგილები იქ წარმოდგენილია განსაკუთრებული სიზუსტით, საშუალო სიდიდის დასახლებებამდე კი“. [“Построена путем простого разделения пространства на прямоугольники”, вместе с тем “наиболее совершенны изображения территории царств Картли, Кахети, Имерети. Местность там изображается с большой подробностью, вплоть до небольших селений”]⁹ აქვე აღვნიშნავთ, რომ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ვახუშტი (1722 წლის აგვისტო-ნოემბერში) თავად მართავდა ქართლის სამეფოს. ნიშანდობლივი იქნებოდა ვახუშტის მიხედვით შექმნილი აღნიშნული გერბების შედარება სამეფო გერბების გამოსახულებებთან, მაგალითად, რომლებიც შემონახულია მეფე ალექსეი მიხაილოვიჩის „ტიტულარნიკში“ (1672 წ.), სადაც დაცულია ოთხი კავკასიური გერბი: „ქართული და ქართლის მიწების“, „ჩერქეზული და მთიელთა მიწების“, „ივერიის მიწის“, „ყაზარდოს გერბი“. სამწუხაროდ, ვახუშტისთან „ტიტულარნიკზე“ გაცილებით

8 Королев Г.И. Гербы в географических трудах XIV-XVII вв. // Исторический источник: человек и пространство. М., 1997. С. 304.

9 Абрамидзе Т.З. Географические и исторические изыскания Вахушти Багратиони (1696-1784) в контексте грузинской эпохи 18 в. // Вестник КГУ им. Н.А. Некрасова. № 1. 2013. С. 139.

7 Броссе М.И. О бумагах астронома Делиля, хранящихся в архиве императорского русского географического общества. СПб., 1852. С. 2-3.

გვიან შედგენილ ატლასში უკანასკნელი სამი პერალდიკური „ნიშანი“ არ დასტურდება.

თანამედროვე მკვლევარი-გერბოლოგები მ. ზაგორუიკო და ი. ბიჭიკაშვილი ვარაუდობენ, რომ ვახუშტის ატლასში გამოსახულია „დროშების ნახატები“.¹⁰ მ. ზაგორუიკო აგრეთვე ვარაუდობს, რომ მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში გვაქვს საქმე „დროშებთან, რომლებიც შედგენილია ვახუშტი ბატონიშვილის მიერ“. იგი ვახუშტის დროშებში მეტწილად ხედავს „იმ ერებისა და სამთავროების სიმბოლოებს, რომლებიც შედიან თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაში (ოსეთი და დაღესტანი)“. ავტორი დარწმუნებულია, რომ „აღნიშნულ მინებს ჰქონდათ ჩამოყალიბებული და საყოველთაოდ ცნობილი სიმბოლოზმი, რომელიც ცნობილი და მიღებული იყო არა მხოლოდ სამთავროების შიგნით, არამედ აგრეთვე მათ საზღვრებს გარეთაც“.¹¹ მაგრამ რას წარმოადგენს გამოსახულება ამ „გერბებსა“ და „ნიშნებს“ შორის, რომელიც დაკავშირებულია დაღესტანთან?

ნიშანი „ლეკისა დაღესტანისა“ ღია მწვანე ქსოვილია შტანდარტის ფორმით, უგანივოდ (ფორმა, რომელიც ავტორმა შეარჩია ყველა ნიშნისთვის). მასზე ცენტრალურ ფიგურად გამოსახულია მგელი, რომელიც გამორბის მთის ქედიდან. მისი სხეულის უკანა ნაწილი დამალულია მთებს შორის, წინა თათებს შორის განთავსებულია დროშის ტარი ორპირა ქსოვილით. ნიშანს აქვს ზედწარწერა: „ლეკისა დაღესტანისა“ (დაღესტანის მთიელთა).

ვახუშტიმ რუკაზე დაიტანა XVIII საუკუნის დაღესტანის ეთნოპოლიტიკური ნაწილების საერთო სურათი: „ანდრელები“, „ავარები“, „ლეკი“, „დიდო“, „დიდოეთი“, „ხუნძახი“, „გულადარი“, „კულმუხი“, „დაღესტანი“, „ჩილდაღისტანი“, „თაბასარანი“, „კუბა“, „მუსკური“.¹²

10 Бичикашвили И.Л. О грузинском историческом государственном флаге и гербе // Гербовед. 1998. № 29. С. 134-141.

11 Загоруйко М.В. Символы современной Грузии – историческая ретроспектива // <http://www.e-notabene.ru/hr/article-14534.html>

12 „Андреевцы“ (Эндирейское владение – территория нынешних Хасавюртовского и большей части Бабаюртовского районов), „Авары“ (общество Бактлудал (Гумбет) – примерно соответствующее совр. Гумбетовскому, Казбековскому районам и частично прилегающие территории Чечни), „Леки“ (Хиндалал – совр. Унцукульский, Гергебильский, части Хунзахского, Гумбетовского районов), „Дидо“ (северная часть совр. Цунтинского района), „Дидоети“ (южная и западная части совр. Цунтинского района), „Хунзахи“ (Аварское нуцальство – совр. Хунзахский, большая часть Шамильского, Ахвахского, Ботлихского, Цумадинского районов и другие сопредельные территории, в т.ч. горная Чечня), „Гулхадари“

ამ პერიოდის დაღესტანის ისტორიული გეოგრაფია მოიცავს რუკაზე რამდენიმე ეთნოპოლიტიკურ წარმონაქმნს, რომლებიც ყოველთვის არ თანხვდება ვახუშტის წარმოდგენებთან: ავართის სახანო („ხუნძახი“), ყაზიყუმუხის სახანო [Казикумухское ханство] („ყულმუხი“), ტარკოვის (თარლუს) საშამხლო [Шамхальство Тарковское], („დაღესტანი“), მეხტულის სახანო, ყაიტაღის უც-მიისტო, ენდირეების („ანდრეევცები“), აკსაკაევისა და კოსტოკოევის სამფლობელო, რიგი მსხვილი სასოფლო კავშირებისა [Мехтулинское ханство, Кайтагское уцмийство, Эндиреевское („Андреевцы“), Аксаевское и Костековское владения].¹³ კერძოდ, ეთნონიმი „ლეკით“ საქართველოში მოიხსენიებოდა დაღესტნელები მთლიანობაში.¹⁴ ხოლო ვახუშტი ბაგრატიონი „ლეკების“ ტერიტორიას განათავსებს ავართის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში, ძირითადად ისტორიული ხინდალალე, თითქოს მოხაზავს გეოგრაფიულ საზღვრებს, საიდანაც არსებობდა საფრთხე ეგრეთ წოდებული „ლეკანობისა“. ამგვარად, ავტორი ნიშანს „ლეკისა დაღესტანისა“ განაკუთვნებს კონკრეტულ ისტორიულ მხარეს.

როგორც არაერთხელ შენიშნეს მკვლევრებმა, საქართველოს საზღვრებს მიღმა ვახუშტის გეოგრაფიული ცნობები დიდი სიზუსტით არ გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, გაკვირვებას იწვევს, რომ მხარეები „ლეკი“ და „ხუნძახი“, რომლებსაც ოდითგანვე ჰქონდათ მჭიდრო პოლიტიკური კავშირები საქართველოსთან, ვახუშტისთან არ არის გაიგივებული, თუმცა ქართული შუა საუკუნეების ქრონიკის „ქართლის ცხოვრების“ (დაახლ. XI-XII სს.) მიხედვით, არსებობდა პირდაპირი ისტორიული კავშირი „ხუნძახებსა“ და „ლეკებს“ შორის. XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი წერდა: „ხოზონიხ, რომელ უწარჩინებულეს იყო ნათესავთა შორის ლეკანისთა“, რომელიც „მივიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა

(совр. Тляртинский, Чародинский, частично Гунибский районы), „Енисели“ (Закатальский округ), „Кулмухи“ (Гази-Кумухское ханство – совр. Лакский, Кулинский районы, частично Дахадаевский, Чародинский и некоторые районы Южного Дагестана), „Дагистаны“ (охватывает территорию соответствующую Тарковскому шамхальству, Акуша-Дарго, Кайтагскому уцмийству – равнинный Дагестан от р. Сулак и почти до Дербента), „ЧилДагистани“ (т.е. „внутренний Дагестан“, охватывает большую часть южного Дагестана), „Табасараны“ (совр. Табасаранский, Хивский районы), „Куба“ (горная часть Кубинского ханства – ныне Кубинский, Кусарский районы АР), „Мускуры“ (низменная часть Кубинского ханства – ныне Хачмасский район АР).

13 Алиев Б.Г., Умаханов М.-С.К. Историческая география Дагестана XVII – нач. XIX в., Махачкала, 1999.

14 Абдуллаев И.Х., Микаилов К.Ш. К истории дагестанских этнонимов „лезг“ и „лак“ // Этнография имен. М., 1971. С. 15.

მთისასა, აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თუხი ხოზანიხეთი“.¹⁵ და „ლეკეთის“ მინებზე: „აღმოსავლით ზღვთგან დარუბანდისით მდინარემდე ლომეკისა“.¹⁶ ისტორიული ლეკეთის ქვეშეთნოგრაფ-კავკასიოლოგის ა. ვ. გალდოს მიხედვით, იმალება სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი სარირი¹⁷, რომელიც XII საუკუნის ბოლოსთვის დაიშალა რამდენიმე დამოუკიდებელ პოლიტიკურ წარმონაქმნთა კავშირად ყველაზე ძლიერის – ხუნძახის სანუცალოს გარშემო, რომელიც მალევე იქცა რეგიონის ერთ-ერთი პოლიტიკურ ცენტრად. XVIII საუკუნისთვის ავარეთელი ხანების უპირატესობას აღიარებდა თითქმის ყველა ავარეთელი საზოგადოება.¹⁸

ზემოთ თქმული იძლევა საშუალებას, ვივარაუდოთ, რომ ნიშანი „ლეკისა დაღესტანისა“, რომელიც გამოსახულია ვახუშტის რუკაზე, შეიძლება ეკუთვნოდეს ავარეთის ხანებს, შეიძლება იყოს ავარეთის სახანოს ალაში, მიუხედავად იმისა, რომ წარწერა „ლეკი“ ამ რუკაზე ფარავს არა ავარეთის სახანოს ტერიტორიას, არამედ ხინდალალას. ჩემი აზრით, არც პირველ შემთხვევაში (ავარეთის სახანო) და არც მეორე შემთხვევაში (ხინდალალი) არ შეიძლება დაეუშვათ ამ ნიშნის მიკუთვნება არც ერთი მუსლიმური დაღესტნური პოლიტიკური წარმონაქმნისთვის თუ გავივალისწინებთ იმას, რომ საუბარია XVIII საუკუნის შუა ხანებზე, ანუ ისლამში ცხოველების გამოსახვის აკრძალვაზე. სავარაუდოდ, ნიშანი – „ლეკისა/დაღესტანის მთიულებისა“ პირობითი ხასიათის მატარებელია, იგი თვით ვახუშტი ბატონიშვილისა უნდა იყოს და სინამდვილეში არ წარმოადგენდა იმდროისთვის მოქმედ (არსებულ) ემბლემას. ამასვე უნდა მიუთითებდეს თვით გამოსახული სიუჟეტის განსხვავებულობა სხვა დაღესტნური, თუმცა უფრო გვიანი დროშებისგან.

შესაძლოა, მგლის სახით, რომელიც გამოდის მთიდან, ვახუშტი ბატონიშვილმა პირობითად გამოხატა დაღესტნის ხალხები. ეს ცხოველი ბევრ დაღესტნურ ხალხში განასახიერებს სიმამაცეს, ვაჟკაცობას, გულადობას. კავკასიათმცოდნე პ. კ. უსლარი 1880-იანი წლების ბოლოს წერდა მგლის კულტზე ავარეთელთა შორის: „ყოველგვარი მიმსგავსება მგელთან მთიელებ-

ში მიიჩნევა შექებად, მსგავსად იმისა, როგორც ჩვენთან საქებარია ლომთან შედარება“.¹⁹ 1920-იან წლებში ეთნოგრაფი გ. ფ. ჩურსინი აღნიშნავდა, რომ ლომის კულტი გავრცელებულია ცენტრალურ ავარეთულ რაიონებში, და ხაზს უსვამდა, რომ გამბედაობამ, რომლითაც მგელი თავს ესხმოდა და მტაცებლობდა – „გაუჩინა ავარებს პატივისცემა, ერთგვარი კულტი: „მას არა აქვს ფარა, საჭმლის მარაგი, ის შოულობს საკვებს შეუპოვრობით. ხალხი, რომელიც პატივს სცემს მგელს ძალისთვის, გამბედაობისა და ბრძოლისუნარიანობისთვის, ცხადია, მიანერს მისი სხეულის ნაწილებს მაგიურ თვისებებს. მაგალითად, მგლის გულს ხარშავენ და აძლევენ ბიჭს, რომ მისგან დადგეს ძლიერი მეზრდოლი მამაკაცი“.²⁰ თუ გამოსახულების ავტორი, როგორც ვვარაუდობ, იყო ქართველი, და არა დაღესტნელი, მაშინ შესაძლოა მგლის გამოსახულება ასოცირდებოდა ამ ცხოველის სრულიად სხვა მახასიათებლებთან, და განსაკუთრებით მტაცებლობასთან, დარბევასთან, თავდასხმასთან.

ლეკთა თავდასხმებზე, რომელმაც ქართულში შეიძინა სახელწოდება „ლეკიანობა“ (რომელიც ქართულ ენაში გამოიყენება არაბობის, ოსმალობის, ყიზილბაშობის²¹ გვერდით, რომლებიც თავის მხრივ ქართულში დამკვიდრებულია არაბების, თურქეთ-ირანის აგრესიის შედეგად), ქართველი ისტორიკოსები წერდნენ: „მათი მთავარი მიზანი იყო არა ქვეყნის დაპყრობა, არამედ ტყვეებისა და სხვა ნადავლის ხელში ჩაგდება... ლეკები იყოფოდნენ მცირე რაზმებად... არბევდნენ, იტაცებდნენ ხალხს და ძარცვავდნენ მოსახლეობას... ლეკთა რაზმები იჭრებოდნენ ქართულ სოფლებში და, სარგებლობდნენ მამაკაცების შინ არყოფნით, რომლებიც მუშაობდნენ ყანაში, იტაცებდნენ ქალებსა და ბავშვებს, ძარცვავდნენ მოსახლეობას. ნადავლით დატვირთულები, ლეკები ფარული ბილიკებითა და უკაცრიელი ადგილებით მიდიოდნენ დაღესტანში... მერე ისევ ბრუნდებოდნენ ქართლსა და კახეთში 1754-1760-იან წლებში“.²² ჯერ კიდევ 1669 წელს, ანტიოქიის პატრიარქის მაკარიოს III-ის ვაჟიშვილი, პავლე ალექსოელი, რომელიც სტუმრად იმყოფებოდა საქართველოში, იხსენიებს „ლეკების“ ერთ-ერთ მმართველს – „შევკალე ლეკსა“ და მის ქვეშევრდომებს,

15 Мровели Леонти. Жизнь Картлийских царей. Извлечение сведений об абхазах, народах Северного Кавказа и Дагестана / Пер. предисл. и комм. Г.В. Цулая. М., 1979. С. 25.

16 Леонти Мровели. Жизнь грузинский царей //Картлис Цховреба. История Грузии. Тбилиси, 2008. С. 14.

17 Гадло А.В. Этническая история Северного Кавказа X-XIII вв., СПб., 1994. С.184

18 Алиев Б.Г., Умаханов М.-С.К. Историческая география Дагестана XVII – нач. XIX в. Махачкала, 1999. С.246.

19 Услар П.К. Этнография Кавказа. Аварский язык. Тифлис, 1889. Часть III. С. 50.

20 Чурсин Г.Ф. Авары. Махачкала, 1995. С. 58.

21 Мегреладзе Д.Г. Из истории грузино-дагестанских взаимоотношений // Мацне. Тбилиси, 1967. № 6.

22 Бердзенишвили Н., Джавхишвили И., Джанашиа С. История Грузии (с древнейших времен до начала XIX в.), Ч. 1. Тбилиси, 1946. С. 405-438.

რომლებსაც სხვა საქმე არ გააჩნდათ, გარდა იმისა, რომ იტაცებდნენ და ტყვედ მიჰყავდათ კახეთიდან ქრისტიანი ქართველები, ...როდესაც მეფე თეიმურაზი ცოცხალი იყო, ყოველთვის ებრძოდა ლეკებს, მაგრამ როგორც კი იგი მიიცვალა, ისინი გაძლიერდნენ და დღენიადაგ ატყვევებენ ქრისტიანებს“.²³ ასი წლის შემდეგ, 1784 წელს, რუსეთის კომისიონერი (ნდობით აღჭურვილი პირი) ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის კარზე, პოლკოვნიკი ს. დ. ბურნაშევი თავად პ. ს. პოტიომკინს სწერდა 46 „დაღესტნური დასახლების“ შესახებ, რომლებსაც „მისი უმაღლესობა მეფე ერეკლე ვითომდა აძლევდა ხარკს“ [„Коим е.выс. царя Ираклий яко некоторую подать выдавал пред сим“]²⁴ (რიგ შემთხვევებში საუბარი სიაში იყო არა ცალკეულ დასახლებაზე, არამედ ავარეთის სოფლის საზოგადოებებზე, თემებზე). ოდნავ მოგვიანებით სხვა რაპორტს „დართული აქვს დაღესტნური სოფლების სია, რომელთა მშვიდობიანი ურთიერთობა აკავშირებთ საქართველოსთან და ხარჯები, რომლებიც ხმარდება ამ ურთიერთობათა შენარჩუნებას“. ავტორი ასახელებს „ლეკურ ადგილებს“ (ავარეთულ, დარგულ, ლაკურ, თაბასარანულ, ყუმბურ დასახლებებსა და საზოგადოებებს) და მათ მოიხსენიებს ლეკებად, რომლებიც „საქართველოსგან იღებენ ანაზღაურებას“ – „სულ 440 მამასახლისი (სტარშინი)“.²⁵

შეგახსენებთ, რომ XVI საუკუნის ბოლოს, კახეთის სამეფოს ნაწილი, მოგვიანებით ცნობილი როგორც საინგილო, შაჰ-აბას I-მა ფაქტობრივად გადასცა თავის დაღესტნელ მოკავშირეებს, ხოლო 1720-იანი წლების დასაწყისში ვახუშტი ბატონიშვილის მამამ, ვახტანგ VI-მ გააცხოველა ღონისძიებები მთიელთა მარბიელი თავდასხმებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად და უკვე 1722 წელს გადანაცვალა საკუთარი ძალისხმევა გაეერთიანებინა პეტრე პირველთან, სპარსული ლაშქრობის დროს, მაგრამ სპარსეთსა და რუსეთს შორის ზავის დადებას საბოლოოდ გამოიწვია საქართველოს მიერთება ოსმალურ თურქეთთან და მთიელთა თავდასხმების გააქტიურება. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ამ რთულმა მდგომარეობამ განსაზღვრა ნიშნის – „ლეკისა დაღესტანისა“ მგლის სახით გამოსახვა, რომელიც ვახუშტის რუკაზე თავს ესხმის მთებიდან.

დავუბრუნდეთ ნიშანს „ლეკისა დაღესტანისა“ და ყურადღება მივაქციოთ დროშას, რომელიც მოთავსებულია მგლის წინა თათებში. ადგილობრივი წყაროებისთვის უცნობია დაღესტნის ეთნოპოლიტიკური წარმონაქმნების დროშები, თუ არა მათი მოხსენიება. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში და დაღესტნის გაერთიანებულ ისტორიულ-არქეოლოგიურ მუზეუმში კავკასიური ომების დროინდელი დაღესტნური (იმამების, ნაიბების, ასმეთაურების) დროშების კოლექციის გაცნობის შემდეგ, შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. დროშები განსხვავდებიან როგორც ფუნქციური დანიშნულებით, ისე ქსოვილების ტექნიკური გადანაცვებით (ნაჭერი, ნახატი, ფერი, ზომა, ფორმა);

2. დროშის ქსოვილებს ჰქონდა სხვადასხვაგვარი ფორმა: დაწყებული სამკუთხა, მართკუთხა ფიგურებიდან დასრულებული ფიგურულით, ეგრეთ წოდებული „რაინდული“ სამ და ორდაბოლოებიანი ფორმებით;

3. ზედწარწერებია რელიგიური შინაარსისა (ძირითადად სურები ყურანიდან);

4. დროშის ქსოვილების აგება ატარებდა უნესრიგო ხასიათს, საიმამოში დროშების სიმბოლიკა არ იყო რეგლამენტირებული ან ფორმალისტული რაიმე სახის იკონოგრაფიული ან კოლორისტული სახესხვაობების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ ავარეთულ ფოლკლორში დროშა სამხედრო ლაშქრობების აუცილებელი ატრიბუტია. XVIII საუკუნის ბოლოს ერთ-ერთ ისტორიულ სიმღერაში მოხსენიებულია ავარეთის მმართველის უმა-ხანის დროშები: „Вахъана Пумахан гъизилбашалъе / Пад тарихал хъварал дугъалги росун“, // „Выступил Уммахан в Кызылбаш, / Взяв знамена, покрытые надписями“.²⁶ „გამოვიდა უმა-ხანი ყიზილბაშად, / აიღო დროშები დაფარული წარწერებით“. მეორე ისტორიულ სიმღერაში, „შაბანიჯარადან“, 1830 წლის მოვლენების აღწერისას ნახსენებია იგივე დროშები: „Зудихъ моц! бахъулел дугъалги росун / Цо къукъани араб...“//„Со знаменами, чьи острия достигают луны, Отправилась дружина...“²⁷ „დროშებით, რომელთა წვერიც აღწევს მთვარემდე, გაემგზავრა რაზმი...“. ა. პ. ერმოლოვის დროინდელი მოვლენების (1820-იანი წლების) ამსახველ ისტორიულ სიმღერაში, კვლავ ნახ-

23 Асатиани Н.Ш. Материалы к истории Грузии 17 в. Описание Грузии, составленное Павлом Алеппским), Тбилиси, 1973, С. 77-78.

24 Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии. Сборник документов. Тбилиси, 1980. С. 162-163.

25 Там же. С. 173-174.

26 МагларухъалкъиялкъИчИдул / xIადურანაС.М. XIайбуллаевас, М.-К. Гъиматовас. МахIачхъала, 2001. С. 228.

27 Чарахъа ШарIбанил kIeчI(Шабан из Джара) // Ахлаков А.А. Героические песни и баллады аварцев. Махачкала, 1972. С.53, 200.

სენებია უმა-ხანის დროინდელი დროშები.”...
Вахъинариш тладе, лачен Гумахан / Гурусал
кIурулеб кьолденги борчун/ ТIад тарихал хъварал
догъалги росун/...” // „Не встанешь ли, сокол
Умахан / В кольчуге, наводящей на русских
страх / Со знаменами в письменах“²⁸ (28) „ხომ არ
აღსდგები შევარდენო, უმა-ხან, სამიარი ჯა-
ვშნით რუსების თავზარდასაცემად, წარწერე-
ბით დაფარული დროშებით“. იმავე სიმღერა-
შია მოხსენიებული ლაშქრის წინამძღოლები:
„Гьорлъе жорон унел байрахъчагIигун“ // „Со
знаменщиками, бросающимися в гушу врагов...“²⁹
„მედროშებთან ერთად, რომლებიც მტრის
შუაგულში შეცვივდებიან“.

მთლიანობაში ფოლკლორი, გარდა იმი-

ბოდ გაემგზავრა კავკასიაში, თბილისში, რომ
ნახატისთვის მოეგროვებინა მასალა, რო-
მელიც მას შეუკვეთა კავკასიის სამხედრო-
ისტორიულმა მუზეუმმა. 1887-1889 წლებში ი.
აივაზოვსკისთან, ა. რუბოსთან და ა. კივშენ-
კოსთან ერთად მხატვარმა შექმნა რამდენ-
იმე ტილო კავკასიის სამხედრო-ისტორიული
მუზეუმის – „დიდების ტაძრისთვის“ თბილის-
ში. მაშინ დახატულმა სამმა ტილომ: „ბრძოლა
ავლიართან“, „ბატალია მდინარე იორთან“ და
„სოფელ ნაურის დაცვა“, რომლებმაც სახელი
გაუთქვეს, როგორც ბატალისტს.

სურათზე „ბატალია მდინარე იორთან“
(1888), ავტორის ჩანაფიქრით, გადმოცემუ-
ლია ის მომენტი, როცა გადანყდა შეტაკების



სურ. 4. ანდალალი 1741 წელს ნადირ შაჰთან ბრძოლის წინ. მაგომედ შაბანოვის ნახატი. 1999 წ.

სა, რომ გვიდასტურებს დროშების არსებო-
ბას, გვიქმნის აგრეთვე ზოგად წარმოდგენას
უმა-ხანის ავარეთის მხედრობის დროშებზე
– გრძელი ხის ტარით, ფოლადმემოხვეული
ბუნითა და წარწერებიანი ქსოვილით.

ერთ-ერთი ასეთი დროშა გამოსახულია
მხატვარ ნ. სამოკიშის ნახატზე „ბრძოლა
მდინარე იორთან“ (1888). მთიელთა დროშა
მოსჩანს მეორე პლანზე – მაღალ ტარზე
შუბისებრი ბუნით ფრიალებს წითელი ფერის
ქსოვილი. ცნობილია, რომ მხატვარი საგანგე-

ბედი. მუზეუმის „გზამკვლევის“ (1907) მიხედ-
ვით, ნახატზე გამოსახულია „მომენტი, რომ-
ლის შესახებაც გენერალი ლაზარევი ასე
უპატაკებდა“: „Мы приняли их картечным и
ружейным огнем, затем бросились в штыки и
вместе с победным русским ура“ погибла вся
неприятельская сила. Сам Омар-хан получил
смертельную рану, и знамя его было взято
мушкетерами“³⁰ [„ჩვენ მივიღეთ ისინი კარ-
ტჩისა და თოფების ცეცხლით, ამის შემდეგ
შევეუტიეთ ხიშტებითა და რუსული „ურას“
ძახილით და ვძლიეთ კიდეც მტრის მთელ ძა-

28 Ермолов Дагъистаналде вачIин (Приход Ермолова в Дагестан) // Ахлаков А.А. Героические песни и баллады аварцев. Махачкала, 1972. С. 45, 205.

29 Там же.

30 Указатель Кавказского военно-исторического музея. Тифлис, 1907. Правый зал. С. 1.

ლებს. თვით ომარ-ხანი სასიკვდილოდ დაიჭრა და მისი დროშა ხელთ იგდეს მუშკეტერებმა³¹. ესკი იმას ნიშნავს, რომ სურათზე გამოსახულია ავარეთის სახანოს დროშა.

სინამდვილეში, იმავე დღეს, პირდაპირ ბრძოლის ველიდან, გენერალ-მაიორი ლაზარევი აცნობებდა გენერალ-ლეიტენანტ კნორინგს 1800 წლის 8 ნოემბრის რაპორტში, რომ ხელში ჩაიგდეს რამდენიმე ნაალაფარი დროშა, მაგრამ „დაღესტნის მფლობელის ომარ-ხანის“ დროშის შესახებ იგი არაფერს იტყობინება: „...Сверх же того взято у неприятеля несколько знамен, которые подбираемы были по большей части Грузинскими конными войсками“... „მტერს ჩამოერთვა რამდენიმე დროშა, რომლებიც მოაგროვა ქართველ ცხენოსანთა ჯარმა“. შეიძლება მან აღნიშნული ვერ მოასწრო სიჩქარეში – რაპორტის ბოლოს კი წერდა: „Я не премину, прибыв в Тифлис, с прописанием подробных всех обстоятельств события сего, представить список особенно отличившихся..., ныне спишу о всем сем, сколь поспешность позволяет вкратце известить Ваше пр“.³¹ [„ტიფლისში ჩამოსვლისთანავე, არ დავაყოვნებ, რომ მოვინერო ამ მოვლენის დანვრისგან გამომდინარე... ასევე წარმოვადგინო იმათი სია, ვინც განსაკუთრებულად ისახელა თავი... ახლა ვწერ ყველაფერს ერთად, რამდენადაც სიჩქარე მაძლევს საშუალებას, თქვენო აღმატებულებავ“].

მოგვიანებით ის დაწერს უკვე მეორე რაპორტს, მაგრამ არც იქ მოიხსენიებს „დაღესტნის მფლობელის – ომარ-ხანის“ დროშას: გენერალ-მაიორ ლაზარევის რაპორტიდან გენერალ-ლეიტენანტ კნორინგს 14 ნოემბერი 1800: „...У неприятеля отбито выстрелами нашими несколько знамен, в чем особенно отличился мушкетерского батальона пор. Новицкий, находясь с охотниками против неприятеля впереди и убив собственноручно одного неприятельского знаменосца, взяв его знамя себе; прочие знамена подбирала Грузинская конница, имея проворных лошадей и быстро примечая, где от выстрела повалится знамя. ...Препровождая при сем представить честь имею одиннадцать знамен, во время сражения у неприятеля отбитых“.³² [„მტერს ბრძოლით წართვეს რამდენიმე დროშა, რაშიც განსაკუთრებით გამოირჩევა მუშკეტერთა ბატალიონის პორუჩიკი ნოვიცკი, რომელმაც წინა ხაზზე ყოფნისას მოკლა მტრის ერთი მედროშე და ხელთ იგდო მისი დროშა; სხვა დროშები ხელთ იგდო ქართველ ცხენოსანთა ჯარმა, რომელსაც

ჰყავს მარდი ცხენები და მსწრაფლ შენიშნავდნენ, სადაც გასროლისას ეცემოდა დროშა... ამასთან, პატივი მაქვს წარმოგიდგინოთ თერთმეტი დროშა, რომელიც ბრძოლით წავართვიტ მტერს“].

გენერალ-მაიორი ლაზარევი ასევე უმაღლეს შეფასებას აძლევს ყაბარდოელ მუშკეტერთა პოლკის გენერალ-მაიორ გულიაკოვს მამაცობისა და გამბედაობისთვის. მოგვიანებით, იმპერატორმა პავლემ გენერალ-მაიორი გულიაკოვი დააჯილდოვა იოანე იერუსალიმელის ორდენის საკომანდორო ჯვრით, ხოლო მისი ბატალიონი, „რომელმაც პირველად აიღო მთის დროშა“ დაჯილდოვდა საპოლკო მალტის (გეორგოვსკოე) დროშით, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა: „ჩვენთან არს ღმერთი! მდინარე იორთან ავარეთელთა მხედრობის დროშის მოპოვებისთვის, 1800 წლის 7 ნოემბერს“. სამხედრო-ისტორიული მუზეუმის „გზამკვლევის“ მიხედვით, ცნობილია, რომ სწორედ ყაბარდოელთა მუშკეტერული პოლკის ჯილდოდ აღებული დროშა „მდინარე იორთან ავარეთელთა მხედრობის დროშის მოპოვებისთვის, 1800 წლის 7 ნოემბერს“ ჩამოვიდა მუზეუმში 1906 წელს სანქტ-პეტერბურგის საარტილერიო ისტორიული მუზეუმიდან, თუმცა თვითონ ნაალაფარი „ავარეთის მხედრობის“ დროშა თბილისში არ ჩამოუტანიათ.³³

შესაძლოა ნ. სამოკიშმა ნაალაფარი დროშა იხილა სანქტ-პეტერბურგში, საარტილერიო მუზეუმში. მხატვარი ცხოვრობდა პეტერბურგში, ხოლო 1887 წლიდან თანამშრომლობდა სამხედრო უწყებასთან და ხშირად ასრულებდა მისი დავალებით ნახატებ., კარგად იყო გაცნობილი საბრძოლო მანევრებსა და კავალერიის პოლკების ისტორიას, ამიტომ სავსებით შესაძლებელია ნაალაფარი დროშა ენახა ცნობილი საარტილერიო ისტორიული მუზეუმის დროშების კოლექციებში.

თავდაპირველად, ნაალაფარი დროშები, რომლებიც ჩამოდიოდა კავკასიიდან XVIII-XIX საუკუნეებში, გადაეცემოდა ცარსკოსელსკოეს სასახლის არსენალს: 1864 წელს არსენალის საცავი გადაეცა იუსტიციის სამინისტროს, და ოდნავ მოგვიანებით, მთელი მისი ქონება გაიყო საიმპერატორო ერმიტაჟს, პეტროპავლოვსკის ტაძარსა და იარაღის პალატას შორის მოსკოვში. ამასთან, ძირითადი კოლექცია გადავიდა პეტრე-პავლეს ციხესიმაგრის კრონვერკს, სადაც უკვე შეიქმნა არტილერიის ისტორიის მუზეუმი. ამას გარდა,

31 АКАК. Т. I. Тифлис, 1866. С. 169.

32 АКАК. Т. I. Тифлис, 1866. С. 170.

33 Указатель по Кавказскому военно-историческому музею. Тифлис, 1907. С. 8

დროშები ინახებოდა პეტროპავლოვსკის, ყაზანის, სპასოპროებრაჟენსკისა და ტროიცკის მონასტრებში – რუსული სამხედრო დიდების ტრადიციულ ძეგლებში, აგრეთვე საპოლკო და საეკლესიო ტაძრებში, მუზეუმებში.

ამ დროშების შესახებ გაიხსენეს, როდესაც 1888 წელს თბილისში ქმნიდნენ კავკასიის სამხედრო ისტორიულ მუზეუმს – „დიდების ტაძარს“. გადამწყვეტილი იყო თბილისში ჩამოეტანა თყველა ნაალაფარი კავკასიური დროშა, ასევე ნაალაფარი დროშები რუსეთ-სპარსეთისა და რუსეთ-თურქეთის ომებიდან, მაგრამ ეს არ მომხდარა. მთლიანობაში 1907-1912 წლებში კავკასიის სამხედრო ისტორიული მუზეუმისთვის მოასწრეს მთიელთა (დაღესტნური) 42 დროშის გადაცემა.³⁴ ყველა დროშა არ გადაუციათ კავკასიის მუზეუმისთვის. „სხვა სახელმწიფოებისა და ხალხების“ დროშები დარჩა ერმიტაჟში და არტილერიის ისტორიის მუზეუმში.

არტილერიის ისტორიის მუზეუმის მოკლე გზამკვლევაში აღნიშნულია, რომ კოლექციაში სხვა დროშათა შორის დაცულია 1000-ზე მეტი „თურქული და ზოგადად მუსლიმური“ დროშა. 1948 წელს დროშების ძირითადი ნაწილი არტილერიის ისტორიის მუზეუმიდან გადაეცა სახელმწიფო ერმიტაჟს, სადაც ისინი დაცულია დღემდე (არტილერიის ისტორიის მუზეუმში დარჩა საარტილერიო ნაწილების დროშები, ცენტრალურ სამხედრო-საზღვაო მუზეუმს გადაეცა საზღვაო დროშები).

სხვადასხვა ისტორიულ კოლიზიათა გამო არ იყო შესაძლებლობა ავარეთის სახანოს მფლობელთა დროშები დაეცვათ სამშობლოში. 1835 წლის სექტემბერში ხუნძახში იმამ გამზათის წინააღმდეგ დაწყებული აჯანყების დროს ხანის სასახლე დაინვა. როგორც ჩანს, სწორედ იქ ინახებოდა ხანის უმაღლესი ხელისუფლების დროშები და სიმბოლოები (სამხედრო დანაყოფებისა და ასეულების დროშების გარდა), სადაც ისინი ბუნებრივია, განადგურდა.

ცნობილია, რომ ხუნძახში ავარეთის ხანებისთვის გადაცემული ერთი რუსული დროშა როგორღაც შენარჩუნდა. ამის შესახებ მოგვითხრობს 1843 წლის მოვლენების თვითმხილველი. შეიძლება სხვა დროშებიც გადარჩენილიყო? როგორც ჩანს, არა. ცნობილია, რომ 1882 წელს „ავარეთის მცხოვრებნი ხუნძახის დასახლებიდან“ მიმართავდნენ ამიერკავკასიის სამხედრო ძალების უფროსს, გენერალ-ადმუტანტ თავად დუნდუკოვ-კურ-

საკოვს თხოვნით, რათა „об исходатайствовании им нового знамени, взамен, по их словам и расспросам местных жителей, сгоревшего“.³⁵ [„ენწყალობა ახალი დროშა, ძველის, მათი ცნობებით ადგილობრივი მცხოვრებთა მონაცემებით – დამწვარის სანაცვლოდ“].

ამგვარად, მდინარე იორთან მომხდარი შეტაკებისას ნაალაფარი ავარეთის დროშა, რომელიც მაშინვე იქცა სამუზეუმო ექსპონატად, ერთადერთია, რომელიც გადარჩა. სახელმწიფო ერმიტაჟში ამ დროშისთვის ინახება დროშების, შტანდარტების, ალმების ერთ-ერთი ყველაზე დიდი კოლექცია, რომელიც მოითვლის დაახლოებით 6500 ექსპონატს. აქედან 4000 რუსულია, 600 ევროპული და დაახლოებით 2000 აღმოსავლური (მუა აზრია, კავკასია, სპარსეთი, თურქეთი). სამწუხაროდ, ამჟამად მუსლიმური ალმები სახელმწიფო ერმიტაჟის აღმოსავლურ კოლექციაში არ არიან ატრიბუტირებული (არქივი დაკარგულია) და შესაბამისად, შეუსწავლელია.³⁶ შემორჩენილი საინვენტარო ჩანაწერების საფუძველზე სახელმწიფო (ან ეროვნული) კუთვნილების მიხედვით ისინი დაახლოებით დაყოფილია შემდეგი სახით: თურქული – 1859, სპარსული – 2, კავკასიური – 3. ეს არის ჯერჯერობით პირობითი დაყოფა, რომლებიც შემომწმებისას ყოველთვის არ შეესაბამება სინამდვილეს – ეს გაურკვევლობა დაკავშირებულია, უწინარესად, ნაალაფარი ალმების თავდაპირველ შენახვასა და აღრიცხვასთან, რომლებიც სანქტ-პეტერბურგში მოხვედრის შემდეგ იგზავნებოდა პეტროპავლოვსკის, ყაზანის, სპასოპროებრაჟენსკის, ტროიცკის ტაძრებში, სადაც მათ ჰკიდებდნენ კედლებსა და კოლონებზე. ასეთი შენახვის პირობებში მრავალი ცვდებოდა და იკარგებოდა ქსოვილი, მათ ცვლიდნენ სხვა ქსოვილით და შესაბამისად იკარგებოდა პასპორტიზაცია, წარმომავლობის აღნიშვნით. ამიტომ უკვე ღირსშესანიშნაობათა დარბაზისა (Достопамятный зал) და არტილერიის ისტორიული მუზეუმის, ცარსკოსელსკის არსენალისა და სხვა ალწერებში მოცემულია ძალიან ზოგადი ხასიათის შენიშვნები – „აღმოსავლური დროშა“, „თურქული დროშა“ და ა.შ. ამიტომ შეიძლება მათ რიცხვში იყოს არაატრიბუტირებული „ავარეთის სახანოს“ და „დაღესტნელი მფლობელის ომარ-ხანის“ ნაალაფარი დროშებიც.

პატიმატ ტახნაევა

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,
რუსეთის მეცნიერებათა აკადემია

34 ЦИАГ. Ф. 1087. Оп. 2. Д. 222. Описание имущества хранящегося в Кавказском Военно-историческом музее “Храма Славы”. 13 ноября 1912 г.

35 Военная история аварцев. Махачкала, 2015. С. 372.

36 Вилинбахов Г.В. Русские знамена. СПб., 2006.

დიოგო ომიმის 1559 წლის შავი ზღვის პორტოლანი



სურ. 1 დიოგო ომიმის 1559 წლის შავი ზღვის პორტოლანი

დიოგო ომიმის 1559 წლის პორტოლანი ინახება პარიზში, საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (Bibliothèque nationale de France, Paris)¹. მისი ავტორი, დიოგო ომიმი (1521–1576) იყო ცნობილი პორტუგალიელი კარტოგრაფის ლოპო ომემის შვილი². სამართლებლივი დევნის გამო დიოგო ომიმს მოუწია პორტუგალიის

დატოვება და ცხოვრობდა ჯერ ინგლისში, შემდგომ კი ვენეციაში. მის მიერ შექმნილი კარტოგრაფიული პროდუქციიდან დღეისათვის შემორჩენილია რამოდენიმე პორტოლანი და ატლასი, რომლებიც გამოირჩევა ზღვების და ხმელეთის მოხაზულობების განსაკუთრებული სიზუსტით და შესრულების მაღალი ხარისხით.

1559 წლის შავი ზღვის პორტოლანის ზომაა 44სმ X 58,6 სმ. გეოგრაფიული სივრცე შემოსაზღვრულია დეკორატიული არშით.

1 Donald Wigal. Historic maritime maps 1290 – 1699. London, 2006.

2 Carl Moreland, David Banister. Antique maps. London, 1994.

Rusia

ipodolia

SEPTENTR

Capetria

valachia

Occidens.

TV
RQV
IA



O R I E N T A L I A



Tartaria.



Mongralia:

Asia minor

Capadocia

Armenia.



UNSTER

ოთხივე მხარეს გაკეთებულია ჰორიზონტის წერტილების აღმნიშვნელი წარწერები ლათინურად (Septentrio - ჩრდილოეთი, Oriens - აღმოსავლეთი, Auster - სამხრეთი, Occidens - დასავლეთი).

პორტოლანზე დატანილია შემდეგი ქვეყნები და გეოგრაფიული მხარეები (ჩრდილოეთიდან საათის ისრის მიმართულებით): Capestria (დიოგო ომიმის 1563 წლის პორტოლანზე აქ წერია - Campestria, რაც დაბლობს ნიშნავს), Tartaria (ტარტარია, თათრეთი, თათარ-მონღოლთა ქვეყანა, სავარაუდოდ ოქროს ურდო), Mengralia (სამეგრელო, დასავლეთ საქართველო), Asia Minor (მცირე აზია), Armenia (არმენია, კილიკიის არმენია, მე-16 საუკუნეში ოსმალეთის მხარე), Capadocia (კაბადოკია), თურქეთი (თურქეთი), Valachia (ვალახია, ვლახეთი, დაკიის ისტორიული მხარე), Rusia (რუსეთი, ალბათ იგულისხმება ისტორიული ქვეყანა - კიევის რუსეთი), Podolia (პოდოლია, წარსულში კიევის რუსეთის, მე-16 საუკუნეში კი პოლონეთის მხარე).

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ტერიტორიაზე (რუკაზე მხოლოდ დასავლეთ საქართველო ასახული) დატანილია Mengralia, რაც ევროპულ წყაროებში ხშირად მთელ დასავლეთ საქართველოს, ან მის ზღვისპირა მხარეს აღნიშნავს. მე-17 საუკუნის ავტორი ჯოანის ლუიტსი (Joannis Luyts) განმარტავს, რომ სამეგრელო, რომელიც არის ფართო გაგებით საქართველოს ერთ-ერთი ნაწილი, მოიცავს სამ პროვინციას - იმერეთს, გურიას, და უშუალოდ სამეგრელოს, ანუ ოდიშს³.

როგორც ყველა საზღვაო რუკაზე, 1559 წლის პორტოლანზეც დატანილია მხოლოდ ზღვისპირა ქალაქები და ნავსადგურები. საქართველოს შავიზღვისპირეთში წითელი შრიფტით აღნიშნულია ნაოსნობისთვის მნიშვნელოვანი შემდეგი პუნქტები: Pesonda (ბიჭვინთა), Sauastopoli (სებასტოპოლი), Faxio (ფაზისი), Lauati (ბათუმი).

რაც შეეხება პორტოლანზე დატანილ დროშებს და გერბებს. საქართველოს ტერიტორიაზე Mengralia-ს ზემოთ გამოსახულია თეთრი დროშა წითელი ჯვრით - ე.წ. წმინდა გიორგის დროშა.

ფაზისის სიახლოვეს დატანილია მწვანე დროშა ერთი ნახევარმთვარის და ლათინური C-ს ფორმის ნიშნებით, ასევე გერბი (ჰერალდიკური ფარი) მსგავსი ნიშნებით. ეს ნიშნები დამახასიათებელია ბიზანტიური ჰერალდიკისთვის. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ

ისინი ასახავს ცეცხლის დასანთებ ფოლადის ხელსაწყოს - კვესს (ტალ-კვესის შემადგენელი ნაწილი)⁴. აღნიშნული სიმბოლო ჯვრის ოთხივე მხარეს ბიზანტიის დროშაზე გაჩნდა ტახტზე პალეოლოგოების დინასტიის დამკვიდრების შემდეგ და თავდაპირველად მას ბერძნული ასო „ბეტას“ ფორმა ჰქონდა, თუმცა მოგვიანებით უფრო ლათინურ ასო C -ს დაემსგავსა. აღნიშნული სიმბოლოს გამოყენება ქართულ ჰერალდიკაში სხვა წყაროებით არ დასტურდება, თუ არ ჩავთვლით დიგოს მამის - ლოპო ომიმის პორტოლანს, სადაც საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი გერბია დატანილი. რაც შეეხება მწვანე დროშას, მისი ფერი იმერეთის სამეფოსთვის არ არის უცხო, თუმცა, მასზე დატანილი ნიშნები უფრო ბიზანტიურ და ოსმალურ სამყაროს უნდა უკავშირდებოდეს. აღსანიშნავია, რომ დიეგო ომიმის 1563 წლის პორტოლანზე საქართველოს ტერიტორიაზე კვლავ დატანილია მწვანე დროშა, ოღონდ ზემოთაღნიშნული ნიშნების გარეშე.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ წარწერა Mengralia და შესაბამისად ჰერალდიკური სიმბოლოები რამდენადმე ჩრდილოეთით არის დატანილი. თუ აღნიშნულს კარტოგრაფიულ უზუსტობად მივიჩნევთ და გავასწორებთ, გერბი უფრო სამხრეთით, ბიზანტიის ყოფილ პოლიტიკურ გეოგრაფიულ არეალში აღმოჩნდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წარმოდგენილ პორტოლანზე ერთადერთი ჰერალდიკური სიმბოლო, რომელიც ცალსახად უკავშირდება საქართველოს, არის თეთრი დროშა წითელი ჯვრის გამოსახულებით.

ბიოგრაფიული

3 გიორგი ლობაჯანიძე. ევროპული რუკები და საისტორიო წყაროები საქართველოს შესახებ: XVI-XVIII სს. თბილისი, 2010. (გვ. 39-40).

4 Soloviev, A.V. (1935). "Les emblèmes héraldiques de Byzance et les Slaves". *Seminarium Kondakovianum (in French)* 7: 119-164.

შავი ზღვისპირეთის ისტორიული ჰერალდიკა



სურ.1. იგორ ფომენკოს წიგნი „მსოფლიო სურათი ძველი პორტოლანების მიხედვით: შავი ზღვისპირეთი XIII-XVII სს.“

2007 წელს გამოცემლობა „ინდრიკმა“ დაბეჭდა რუსი მკვლევრის იგორ ფომენკოს ნაშრომი „მსოფლიო სურათი ძველი პორტოლანების მიხედვით: შავი ზღვისპირეთი XIII-XVII სს.“ (Фоменко И.К. Образ мира на старинных портоланах. Причерноморье. XIII-XVII вв. Выходные данные: М., Издательство “Индрик”, 2007. Редактор Е. И. Щербакова. Рецензенты: А. Л. Пономарев, кандидат исторических наук, кафедра истории средних веков МГУ; Р. М. Шукуров, кандидат исторических наук, кафедра истории средних веков МГУ). იგორ კონსტანტინოვიჩ ფომენკო შუა საუკუნეების მკვლევარია, მისი ინტერესების სფეროს წარმოადგენს შუა საუკუნეების კარტოგრაფია, ბიზანტინოლოგია, მართლმადიდებელი ცივილიზაციები. ამჟამად, იგორ ფომენკო მოსკოვის ისტორიის მუზეუმის კარტოგრაფიული განყოფილების მეცნიერ-მუშაკია.


ნაშრომში, რომელიც ძირითადად ეძღვნება შუა საუკუნეების შავი ზღვისპირეთს ევროპელი მოგზაურების პორტოლანებში, ფართოდ არის განხილული საზღვაო რუკები, მათი შემ-

დგენელი კარტოგრაფები, რა დანიშნულება და სტილისტური თავისებურებები აქვს საზღვაო რუკებს, შავი ზღვისპირეთის ტოპონიმია. ნაშრომს დართული აქვს როგორც ისტორიული რუკების, აღნიშვნების, დროშების, განმასხვავებელი ნიშნების საკმაოდ დიდი მასალა, ასევე ვექსილოლოგიური რუკა, რომელიც ერთგვარი მცდელობაა თანამედროვე რუკაზე სრული ისტორიული სურათის აღდგენისა.

ქართველი მკითხველისთვის, სამეცნიერო წრეებისთვის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია რუსულენოვან ლიტერატურაში მსგავსი ნაშრომების არსებობა. სამეცნიერო წრეების, მეტადრე, სახელმწიფო კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან საქართველოს, კავკა-

„ავოგაზია“ (აბაზგია)	1300		„დადიანის სათავადო“ (ოდიშის სამთავრო)
	1200		იმერეთის სამეფოს „სამეგრელოს სათავადო“ (ოდიშის სამთავრო)
	1561		
„სევესტოპოლი“ სეპასტოპოლისი (სოხუმი)	XIV ს-ის დასაწყისი 1320/1321		„დადიანის სათავადო“ (ოდიშის სამთავრო)
	1325/1330		საქართველოს სამეფო
	1327		„დადიანის სათავადო“ (ოდიშის სამთავრო)
	1339		
	XV ს-ის დასაწყისი 1428		
	1429		
ფასისი (ფაზისი)	1518		იმერეთის სამეფო
	1530		
„პესონდა“ (პიცუნდა)	1546		

სურ. 2. ქართული სამეფო-სამთავროებისა და ქალაქების აღმნიშვნელი დროშები



სურ. 3. აღდგენილი ვექსილოგრაფიული რუკა

სიისა და მთლიანად შავი ზღვისპირეთის ისტორიული სურათის აღდგენის მცდელობები. წერილის მიზანი არ არის ავტორისეული ხედვის კრიტიკული ანალიზი, რაც ალბათ, უფრო ისტორიისა და კარტოგრაფიის, ასევე ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის ვიწრო დარგების შემსწავლელი მეცნიერების საქმეა. ამ შემთხვევაში, მიმოვიხილავთ იგორ ფომენკოს ნაშრომის იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ ეხება საქართველოს, შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქების აღნიშვნებსა და მათ დროშებს, სხვადასხვა დროისა და ავტორის პორტოლანებისა და მათზე თანდართული განმარტებების მიხედვით.

წიგნი ისტორიული შავი ზღვისპირეთის „მსოფლიოს სურათს“ აღადგენს XIII-XVII საუკუნეების ევროპელ მოგზაურთა საზღვაო რუკების მიხედვით, სადაც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საზღვაო ნავსადგურად მონიშნულია „ორი ქართული ქალაქი“ — „სევასტოპოლი“ (სებასტოპოლისი) და ფაზისი (ფაზისი). მკვლევარი ხსენებული ორი საზღვაო დანიშნულების ადგილის დასახასიათებლად იმონებს სხვადასხვა დროის როგორც

ევროპულ, ისე არაბულ წყაროებს. კერძოდ, სებასტოპოლისის — სოხუმის, ისტორიული დიოსკურიადის შესახებ მოტანილი აქვს XIII საუკუნის საზღვაო სახელმძღვანელო „კომპასო“, სადაც სებასტოპოლისის შესახებ წერია: „ნავთსადგური დაცული იყო როგორც აღმოსავლეთ, ისე ჩრდილო-დასავლეთ ქარებისგან. ქალაქის თავზე აღმართული იყო ციხადელი. იქ შეიძლება ჩაადო ღუზა 20-30 ზღვის საჟენის სიღრმეზე, ხოლო კიჩოს ღუზა 3 საჟენის სიღრმეზე“. მოყვანილია არაბი ისტორიკოსის აბულფედას ცნობა, რომ თუ ტრაპიზონიდან იცურებ ჩრდილოეთით, „მოხვდები ქართულ ქალაქ სოხუმში“. აქვე დასძენს, რომ დასავლეთ საქართველო მონღოლების დროსაც ერთგვარი დამოუკიდებლობით სარგებლობდა, რაზეც მიუთითებს დროშების სიმრავლე, ამ მტკიცებულების გასამყარებლად იმონებს დავით ნარინის მოღვაწეობას დასავლეთ საქართველოში. გიორგი V ბრწყინვალის მეფობის შემდეგ, საქართველოს კვლავ დანაწევრებას სამ — ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოდ. ამ უკანასკნელის შემადგენლობაში შედიოდა საქართველოს საზღვაო სანაპირო — სამეგრე-



სურ. 4. ბატისტა ანეზი, საზღვაო ატლასი, 1525 წ., აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში გამოსახული მჯდომარე ფიგურა, წარწერით: „საქართველოს მეფე“ – „REX GEORGIANIAE“

ლოს სათავადოში და სებასტოპოლისი იყო მისი ერთ-ერთი ცენტრი, რასაც ადასტურებს მასზე აღმართული დროშების რაოდენობა.

მიხედვად იმისა, რომ იგორ ფომენკო უდავოდ მიიჩნევს და მრავალი წყაროს მოშველიებით ამყარებს სებასტოპოლისის ქართულობას, მოჰყავს ამონარიდი XVI საუკუნის ბატისტა ანეზის საზღვაო ატლასიდან: „ამ მიწაზე ცხოვრობენ ჩერქეზი ქრისტიანები, რომლებიც დიდი ფულის სანაცვლოდ დაკავებული არიან ხის მთლიან მორეხში ამოჭრილი ნაგებობის საშუალებით ტვირთების ერთი ადგილიდან მეორეზე გადაზიდვით“.

სხვადასხვა საზღვაო რუკაზე „სევესტოპოლზე“ აღმართული დროშების განხილვისას (იხ. ვექსილოლოგიური რუკა) გორ ფომენკო განიხილავს ორ შეხედულებას: პირველი მათგანის თანახმად, სებასტოპოლისზე აღმართული ხუთჯვრიანი დროშა მიუთითებს, რომ დასავლეთ საქართველო ქრისტიანული სახელმწიფოა. ხოლო სადაც გამოსახული დროშა გაკვეთილია ორად, ერთ ნაწილში ხუთჯვრიანი კომპოზიციით, ხოლო მეორე ნაწილში მწვანე, ლურჯი ან სხვა ფერის ზოლებით დიაგონალურად გააკვეთილი ველით, შესაძლოა აღნიშნავდეს „სასულთნოს არქისაეპისკოპოსოს“ ცენტრს. აქვე ასახელებს სებასტოპოლისის ერთ-ერთ პირველ ეპისკოპოსს, ბერნარდ მორეს, რომელიც 1330 წელს შეცვალა პაეტრო ჰერალდმა.

მეცნიერის აზრით, არსებობის უფლება

აქვს მეორე შეხედულებასაც, რომ სებასტოპოლისი არის უმსხვილესი სავაჭრო ქალაქი, სადაც მიმოქცევაშია სხვადასხვა ქვეყნის მონეტები, ხოლო ხუთჯვრიანი კომპოზიცია გამოსახულია ქართველ მეფეთა მონეტებზე. ამასთან, იგორ ფომენკოს მოჰყავს ქალაქს სივასის მაგალითი, სადაც არსებობდა წმინდა ფრანცისკის ორდენი და რუკებზე აღმართული დროშის ერთი განაკვეთი ჯვრიან კომპოზიციას წარმოადგენს, ხოლო მეორე ამ ქალაქში მოჭრილი დირჰემის რევერსს.

ამ თვალსაზრისით, იგორ ფომენკოსთვის ბოლომდე ნათელი არ არის, სებასტოპოლისის თავზე აღმართული ხუთჯვრიანი დროშა საეპისკოპოსოს აღნიშნავს, თუ იმდროისთვის საკმაოდ გავრცელებული იერუსალიმის „ხუთჯვრიანი“ კომპოზიციის საკუთარ ჰერალდიკაში გამოსახვა-დამკვიდრების მცდელობას წარმოადგენს ქართველ მეფეთა მხრიდან.

სებასტოპოლისის შემდეგ ნაშრომში განხილულია მეორე ქართული ქალაქი — ფასისი (ფაზისი), მაგრამ თუ ისტორიული ფოთის განხილვას გამოვტოვებთ და რუკაზე მოცემული ხუთჯვრიანი დროშის წარმომავლობის განხილვას განვაგრძობთ, იგორ ფომენკო ქალაქების შემდეგ მიმოიხილავს აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში დატანილ სხვა გამოსახულებებს დასავლეთ ევროპელი მოგზაურების პორტოლანებზე. კერძოდ, აღნიშნავს, რომ სხვა საზღვაო რუკებისგან განსხვავებით, აღ-

მოსავლეთ შავი ზღვისპირეთში ძალიან იშვიათია მეფეების სიმბოლური გამოსახულება. თუმცა, 1525 წლის ბატისტა ანეზეს საზღვაო ატლასში აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში გამოსახულია მჯდომარე ფიგურა, წარწერით „საქართველოს მეფე“ — „Rex Georgianiae“. მაკაკაცი წარმოდგენილია სამ მეოთხედში, შემოსილია სამეფო, უფრო აღმოსავლური, ვიდრე ევროპული სამოსით, ხელთ უჭყრია სკიპტრა და თავს ადგას გვირგვინი ფრიგიული ჩაჩის მახასიათებლებით. მეცენიერი გამოთქვამს ვარაუდს, რომ რადგან რუკაზე შავი ზღვის გარშემო სხვა არც ერთი სუვერენის გამოსახულება არ არის დატანილი, შესაძლოა ამით კარტოგრაფი მიუთითებს, რომ საქართველოს გარდა ამ დროს ყველა სხვა მიწები უკვე ოსმალეთის შემადგენლობაშია.

ფასისი, იგორ ფომენკოს აზრით, სებასტოპოლისთან შედარებით ნაკლები საზღვაო-სავაჭრო დანიშნულების მქონე ქალაქია თუ საზღვაო პორტოლანებისა და მათი აღწერილობებით ვიმსჯელებთ. მკვლევარს მოჰყავს სხვადასხვა მოგზაურის ამონარიდები და აღწერს, რომ რიონის გაშლილი ხეობა ძირითადად მეგრელებით არის დასახლებული; მოჰყავს ცნობა, სადაც 1474 წელს ფასისის შესახებ ვენეციელი მოგზაური ამბროჯო კონტარინი წერს: „პირველ ივლისს ჩვენ მივუახლოვდით ფასოს. გემთან მოცურეს მეგრელებმა. ჩვენ

ჩამოვედით გემიდან და მათი ნავით შევედით მდინარის სიღრმეში...“.

რაც შეეხება იმ მიწების დასახელებებს, სადაც განლაგებულია დასავლეთ ქართული საზღვაო ნავსადგურები — „სევესტოპოლი“ და ფასისი, კარტოგრაფები „სევესტოპოლის“ აღმოსავლეთით მიწებს უწოდებენ: ზიხია, ზარკასია (1351 წლის ანონიმური რუკა, 1508 წლის ანდრეა ბენინკაზას პორტოლანი, 1520 წლის იოანე კსენოდოხოსის პორტოლანი, 1561 წლის ჯორჯიო სიდერის კალაპოდა და მისთ.); ხოლო უშუალოდ ქალაქების მახლობლად მიწები დასახელებულია, როგორც ავაგოსია, მენგრელია (1508 წლის ანდრეა ბენინკაზას საზღვაო რუკა, 1542 წლის ბატისტა ანეზეს სანავიგაციო ატლასი, 1561 წლის ჯორჯიო სიდერი კალაპოდას პორტოლანები...).

შემდეგ ნაშრომში თხრობა გრძელდება უკვე ტრაპიზონის იმპერიის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნულია ქართველ მეფეთა, კერძოდ, თამარ მეფის როლი ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში, თუმცა ტრაპიზონის იმპერიის აღმნიშვნელი ჰერალდიკა სავსებით იმეორებს კომნენთა საგვარეულო სიმბოლიკას და შესაბამისად, საქართველოს სამეფოსთან მისი დაკავშირება არ ხერხდება.

მიმოხილვა მოამზადა
დავით ჩხეიძე



გიორგი ამოლაკის პორტოლანი. 1385 წ.

საქართველოსთან ლაკავშირებული ვაზის სიმბოლო სებასტიან მიუნსტერის „კოსმოგრაფიის“ მიხედვით

„კოსმოგრაფია“ არის ცნობილი გერმანელი მეცნიერის სებასტიან მიუნსტერის (Sebastian Münster)¹ პოპულარული ნაშრომი, რომელიც 1544 წლიდან 1628 წლამდე 24-ჯერ გამოიცა და მიჩნეულია პირველ გერმანულენოვან მსოფლიოს აღწერილობად.² XVI-XVII საუკუნეების სხვა ევროპული ცნობარების მსგავსად,³ „კოსმოგრაფია“ მოიცავს სხვადასხვა ქვეყნის გეოგრაფიის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებს. გარდა გერმანულისა, იგი გამოიცა ლათინურ, ფრანგულ, იტალიურ და ჩეხურ ენებზე.⁴

სებასტიან მიუნსტერის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების (1552 წ.) შემდეგ „კოსმოგრაფიის“ გამოცემას უძღვებოდა ჯერ მისი შვილობილი ჰენრიხ პეტრი (Heinrich Petri), შემდეგ კი ჰენრიხის შვილი სებასტიან ჰენრი (Sebastian Henri Petri). ახალი გამოცემების შევსება ხდებოდა თანამედროვე ავტორთა ცნობებით, რუკებითა და ილუსტრაციებით, რის ხარჯზეც „კოსმოგრაფია“ ათწლეულების განმავლობაში ინარჩუნებდა აქტუალობასა და მკითხველი საზოგადოების ინტერესს.⁵ ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილი მასალა ამოღებულია 1628 წელს ქალაქ ბაზელში დაბეჭდილი გერმანულენოვანი გამოცემიდან (გვ. 1491-1492). საქართველოსთან დაკავშირებით 1628 წლის „კოსმოგრაფიაში“ ორი გრაფიურაა წარმოდგენილი. პირველი, ეს არის ხეზე გაშვებული ვაზის ილუსტრაცია, ხოლო მეორე — მეფუტკრეთა და

ვაჭართა ყოფის ამსახველი სცენა. ვაზის გამოსახულება უფრო ადრეულ, 1548 წლის ფრანგულ გამოცემაშიც გვხვდება, ხოლო მეორე ილუსტრაცია გვიანდელი დანამატია. 1548 წლის გამოცემაში დღევანდელი ამიერკავკასიის ტერიტორია ანტიკური ტრადიციის შესაბამისად წარმოდგენილია კოლხეთის, იბერიისა და ალბანეთის სახით, ხოლო 1628



სურ. 1. ხეზე გაშვებული ვაზის ილუსტრაცია

1 Sebastian Münster (20 January 1488-26 May 1552) — ცნობილი გერმანელი კარტოგრაფი, კოსმოგრაფი და ებრაული ენის სპეციალისტი, რომელიც მოღვაწეობდა ბაზელის უნივერსიტეტში.

2 პირველი გამოცემის სრული სახელწოდება: Cosmographia. Beschreibung aller Lender durch Sebastianum Münsterum: in welcher begriffen aller Voelker, Herrschaften, Stetten, und namhafter Flecken, herkommen: Sitten, Gebreuch, Ordnung, Glauben, Secten und Hantierung durch die gantze Welt und fürnemlich Teütscher Nation (Getruckt zu Basel: durch Henrichum Petri 1544).

3 გიორგი ლობჯანიძე. ევროპული რუკები და საისტორიო წყაროები საქართველოს შესახებ (XVI-XVIII სს.). თბ., 2010.

4 გერმანულად გამოიცა — 1544, 1546, 1548, 1550, 1553, 1556, 1558, 1561, 1564, 1567, 1569, 1572, 1574, 1578, 1588, 1592, 1598, 1614 და 1628 წლებში; ლათინურად — 1550, 1552, 1554, 1559 და 1572 წლებში; ფრანგულად — 1552, 1556, 1560, 1565, 1568 და 1575 წლებში; იტალიურად — 1558 და 1575 წლებში, ხოლო ჩეხურად — 1554 წელს.

5 Carl Moreland, David Banister. Antique maps. London, 1994.

წლის გამოცემაში, მას ცვლის „სამეგრელო და საქართველო“ (Mengrelia & Georgia). აღსანიშნავია, რომ ეს ცვლილება არ განუცდია თანდართულ რუკას და ის კვლავ ანტიკური სამყაროს ამსახველი დარჩა.⁶ 1628 წლის გამოცემის ტექსტში, საქართველოსთან დაკავშირებით სებასტიან მიუნსტერი აღნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში მიღებულია ვაზის ხეზე გაშვება, მისი ნაყოფიერების გაზრდის მიზნით. საქართველოზე თხრობისას მიუნ-

6 ევროპული კარტოგრაფიის განვითარების მოცემულ ეტაპზე მიღებული იყო რუკების შედგენა ანტიკური ხანის ავტორების (სტრაბონი, პტოლემე და სხვ.) შრომების მიხედვით.



სურ.2. თავლის დამზადებისა და ვაჭრობის ამსახველი სცენა

სტერი წყაროდ ოგიერ ბუსბექის⁷ ცნობებს იმონებ. ვაზთან დაკავშირებით მსგავს ინფორმაციას ჩვენ ჟან შარდენის⁸ მოგზაურობის ჩანაწერებშიც ვხვდებით: „ხის ძირში დარგული ვაზი შემოეხვევა ხეს და კენწეროს აღწევს...“ „არ არსებობს ქვეყანა, სადაც იმდენს და ისეთ კარგ ღვინოს სვამენ, როგორც აქ [ქართლში]. ისევე როგორც კოლხეთში, აქაც ვაზები ხეებზეა გაშენებული“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მეღვინეობა-მევენახეობის შესახებ ცნობებს ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ავ-

ტორებთანაც ვხვდებით. ქსენოფონტე (ძვ.წ. V ს.),

სტრაბონი (ძვ.წ. I ს.) და პროკოფი კესარიელი (VI ს.) ხოტბას ასხამენ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებულ ღვინოს. XVI-XVIII საუკუნეების ევროპელი ავტორები ამ ტრადიციას არ არღვევენ და ფაქტობრივად ყველგან, სადაც საქართველოს აღწერა გვხვდება, ხაზგასმულია აქ წარმოებული ღვინის დიდი რაოდენობით ღვინო და მისი მაღალი ხარისხი.⁹

რაც შეეხება ვაზის ხეზე გაშვების ტრადიციას, ცნობილია, რომ საქართველოს იმ მხარეებში, სადაც მიწა ნოტიოა, ხოლო ყურძენს კი მცხუნვარე მზე სჭირდება დასამწიფებლად, ვაზის მაღალ ხეზე გაშვების ტრადიცია ოდითგანვე არსებობდა (ე.წ. მაღლარი ყურძენი). ეს ტრადიცია ნაწილობრივ დღესაც არის შენარჩუნებული დასავლეთ საქართველოში. სებასტიან მიუნსტერის მეორე

7 Augerius Gislenius Busbequius — XVI საუკუნის ფლამანდიელი მწერალი და დიპლომატი, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო ავსტრიის ელჩი ოსმალეთის იმპერიაში. 1581 წელს გამოაქვეყნა წიგნი „მოგზაურობა კონსტანტინოპოლსა და ამასიამი“ (Itinera Constantinopolitana et Amasiana).

8 ჟან შარდენი (Jean Chardin) — ფრანგი ძვირფასი ქვებით მოვაჭრე და მოგზაური. საქართველოში იმოგზაურა 1672-1673 წლებში. მოგზაურობის შესახებ მისი წიგნის პირველი ნაწილი გამოიცა ამსტერდამში 1686 წელს, სრული ვარიანტი კი 1711 წელს: *Voyages de monsieur le chevalier Chardin en Perse et autres lieux de l'Orient*, Amsterdam, 1711. იხ. „ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“. თბ., 1975.

9 გიორგი ლობჯანიძე. ევროპული რუკები და საისტორიო წყაროები საქართველოს შესახებ (XVI-XVIII სს.) თბ., 2010.



სურ. 3. კოლხეთის, იბერიის, ალბანეთისა და მიმდებარე ქვეყნების რუკა „კოსმოგრაფიის“ 1548 წლის გამოცემიდან

ილუსტრაცია ძველი საქართველოს სოფლის მეურნეობის ასევე უმნიშვნელოვანეს დარგს — მეფუტკრეობას ასახავს. არც ეს არის შემთხვევითი მოვლენა. უძველესი დროიდან ცნობილი იყო საქართველოში წარმოებული თაფლის განსაკუთრებული თვისებების შესახებ. არქანჯელო ლამბერტი¹⁰ აღნიშნავს, რომ კოლხური თაფლის შესახებ სტრაბონის ინფორმაცია მისი სიმწარის შესახებ მცდარი უნდა იყოს. მისი აზრით, აქ დამზადებული თაფლი საუკეთესოა.¹¹ „კოსმოგრაფიაში“ ილუსტრაციის თანმხლები ტექსტი განმარტავს მის შინაარსს: „ქართველები დიდი რაოდენობით თაფლს აწარმოებენ, რომელსაც ყიდიან ან ცვლიან სხვა პროდუქციაზე. ვაჭრობა იმართება სასახლეში, სადაც ვაჭრებს ღვინით უმასპინძლდებიან. ვაჭრობის შემ-

დეგ მათ მადლობის ნიშნად ღვინის სუფრაზე ეპატიუებიან, სადაც სიმღერით ირთობენ თავს“.

„კოსმოგრაფიაში“ განთავსებული რუკა ძირითადად ანტიკური ტრადიციების მიხედვით არის შედგენილი და ეფუძნება პტოლემეს¹² ცნობებს. რელიეფი მოცემულია პერსპექტიულ-პროფილური გამოსახვის მეთოდით. კავკასიისა (Caucasus) და მესხეთის (Moschici) მთებს (დღევანდელი დიდი და მცირე კავკასიონი) შორის განთავსებულია კოლხეთი (Colchis), იბერია (Iberia) და ალბანეთი (Albania). ღვინის ქედი დუბლირებულია, რის გამოც იბერიის ლოკალიზაცია არაზუსტია.¹³ დატანილია მდინარეები რიონი (ზასის), მტკვარი (Cyrus) და არაგვი (Aragus). კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილში ორი კარიბჭეა გამოსახული, რომელთაგან ერთი დარუბანდი უნდა იყოს, ხოლო მეორე — დარიალი. კავკასიონის ჩრდილოეთით სივრცე ძირითადად უკავია ტარტარიას,¹⁴ წარსულში სკვითეთს (Tartaria olim Scythia) და აზიის სარმატიას (Sarmatia Asiatica).

დასასრულ, გვსურს აღვნიშნოთ, რომ „კოსმოგრაფია“ დღეისთვის ცნობილი პირველი ნაბეჭდი გამოცემაა, სადაც ქართველთა ყოფის ამსახველი ილუსტრაციაა წარმოდგენილი. ხოლო ვაზი, რომელიც ადრეულ გამოცემებშიც გვხვდება (1548 წ.), საქართველოსთან დაკავშირებული ერთ-ერთი პირველი სიმბოლური გამოსახულებაა.

ბიოგრაფიული ლოკალიზაცია

10 არქანჯელო ლამბერტი (Arcangelo Lamberti) — იტალიელი მისიონერი, თეათინელთა ორდენის ბერი. 1630-1649 წლებში რომის კათოლიკური ეკლესიის მისიით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში, კერძოდ, ოდიშის სამთავროში.

11 არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. ალექსანდრე ყუონიას თარგმანი. თბ., 1938. გვ. 194.


12 პტოლემე (ლათ. Claudius Ptolemaeus; 87-165) — ალექსანდრიელი ასტრონომი, მათემატიკოსი და გეოგრაფი.

13 ეს არის საკმაოდ გავრცელებული შეცდომა აღნიშნული ეპოქის რუკებზე.

14 ტარტარია, თათრეთი — იგულისხმება ან ოქროს ურდო, ან ყირიმის სახანო.

ორთავიანი არწივი

XVIII საუკუნის დასაწყისი საქართველოს ისტორიაში ეროვნული თვითშეგნებისა და ქართული კულტურის აღმავლობით აღინიშნა. ამ დროს ღრმავდება ურთიერთობები როგორც რუსეთის სახელმწიფოსთან, ასევე ევროპის სხვა ქვეყნებთანაც. ბუნებრივია, ქართველი მეფეები ცდილობენ ევროპელ სუზერენებთან რანგით გათანაბრებას, რაც უპირველეს ყოვლისა, გერბში უნდა ასახულიყო. სახელმწიფო გერბი არ შეიძლებოდა სპონტანურად შექმნილიყო, არამედ მას უნდა ჰქონოდა ისტორიული საფუძველი. სწორედ ამ დროს იჩინა თავი ბაგრატიონთა საგვარეულოს ადრეულმა



გიორგი VI-ის ორთავიანი არწივი. 1681წ.

ნადილმა — გამხდარიყვნენ ბიზანტიის იმპერიის იდეოლოგიური მემკვიდრეები. ამას ხელს უწყობდა, ჯერ ერთი, ის გარემოება, რომ ქვეყანა ნამდვილად აღმავლობის გზაზე იდგა, მეორე ისიც, რომ საქართველო, თუნდაც ერთი გვირგვინის ქვეშ არ ყოფილა გაერთიანებული, იგი აზიაში ერთადერთ ქრისტიანულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ამას ისიც ერთვოდა, რომ რუსეთი მართლმადიდებლური სახელმწიფო იყო, რომელმაც XV საუკუნეში თავი ბიზანტიის სამართალმემკვიდრედ გამოაცხადა. იგი წარუმატებელ ბრძოლებს აწარმოებდა ჩრდილოეთ ევროპაში. ამ გარემოებებმა ქართველ მეფეებს საშუალება მისცა, ქრისტეს



დავით II იმამყული-ხანი. 1708 წ.

კვართის გამოსახულებასთან ერთად ბიზანტიური ორთავიანი არწივი გამოეყენებინათ.

ორთავიანი არწივის გამოსახულებას, როგორც კახეთის სამეფოს სიმბოლოს, ჩვენ ვხედავთ მეფე დავით II-ის (იმამყული-ხანის) (1703-1722 წწ.) მიერ ნინოწმინდის ეკლესიისადმი გაცემულ 1708 წლის წყალობის სიგელზე, სადაც არწივი ბიზანტიური წესის მიხედვით დამკვეთი ფრთებითა და ორი სამეფო გვირგვინით არის წარმოდგენილი. მას კლანჭებით მარცხნივ სამეფო ხმალი და მარჯვნივ პალმის რტო უჭირავს. მეორედ, ასევე ვერცხლის ხმლითა და მწვანე პალმის რტოთი შეიარაღებული ოქროს ორთავიანი არწივი, უკვე, როგორც ქართლის სამეფოს „ნიშანი“ 1712 წლით დათარიღებულ მეფე ვახტანგ VI-ის (ჯანიშინის) (1703-1716/1716-1724 წწ.) მიერ სიონის ტაძრის მხატვრის გიორგი სითარხნის სიგელზე ჩანს. აღნიშნულ დოკუმენტზე ორთავიანი არწივი ერთი გვირგვინით არის წარმოდგენილი, რითაც იგი ბიზანტიის იმპერატორების, პალეოლოგოსების გერბის იდენტურია. საფიქრე-




ვახტანგ VI-ის ორთავიანი არწივი. 1712 წ.

ბელია, რომ ვახტანგ VI-ის ორთავიანი არწივის მხატვრობა უნდა ეკუთვნოდეს სიგელის გადამწერს, სამეფო კარის მდივანმწიგნობარ დავით თუმანიშვილს — „დაინერა ბრძანება და ნიშანი აქვს... ხელითა თუმანიშვილის დავითისათა“. ანალოგიური ორთავიანი არწივი გამოსახულია სიონის საკათედრო ტაძრის კედლის რელიეფზე. ორთავიანი არწივის გამო-სახულებას ვხედავთ ქართლის მეფე ბაქარის


სახელმწიფო ბეჭედზე, რომელიც 1717 წელს დამზადდა. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ მართალია მეფე ბაქარის ბეჭედზე არწივი რუსული კანონიზაციის მიხედვით სამი გვირგვინით არის წარმოდგენილი, მაგრამ იგი შეუიარაღებელია და დაშვებული ფრთები აქვს, რითაც წინამორბედთა მსგავსად, ბიზანტიურ ხასიათს ამჟღავნებს.



ვახტანგ VI ორთავიან არწივიანი კვირთხით. ქართული მინიატურა. XVIII ს.



სიონის ტაძრის გარეულიეფი. XVIII ს.



ბაქარის ორთავიანი არწივი. 1717 წ.

როგორც ვხედავთ, ქართველ მეფეთა ორთავიანი არწივი წარმოდგენილია დაშვებული ფრთებით და იგი არა რუსულ, არამედ ბიზანტიურ ხასიათს ავლენს. რუსული ორთავიანი არწივის გამოსახულება, ანეული ფრთებითა და სამი გვირგვინით, მოსკოვის გერბის წმინდა გიორგის გარეშე, გვხვდება მხოლოდ მეფე ერეკლე II-ის მეფობის ხანაში, 1781-1786 წლებში თბილისის ზარაფხანაში მოჭრილ ბისტიან და ნახევრადბისტიან მონეტებზე. ამ ვითარებას გასაგები მიზეზები გააჩნია, რადგან სწორედ ამ პერიოდში ყველაზე მჭიდრო კავშირები ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის სახელმწიფოს შორის და იგი რუსეთის პოლიტიკურ გავლენაზე მიუთითებს.

1783 წლის 24 ივლისს რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის „გეორგიევსკის ტრაქტატი“ დაიდო, რომლის მიხედვითაც ქართლ-კახეთის მეფე რუსეთის იმპერატორისგან იღებს დამტკიცებას და სამეფო რეგალიებს: „ბოვრაცი, ანუ დროშა, ყოვლისა რუსეთისა ღერბითა, მქონებელი საშუალ თვისსა, ხსენებულთა სამეფოთა ღერბისა, ხრმალი, კუერთხი საბრძანებელი, მანტია, ანუ წარმოსასხმელი ყარყუმისა“ (არტიკული 3).



ერეკლე II-ის ბისტი ორთავიანი არწივით, 1781 წ.

აღნიშნულ ტრაქტატს, რის შემდეგაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის პროტექტორატის ქვეშ ექცევა, ერეკლე II 1784 წლის 24 იანვარს აძლევს რატიფიკაციას და რუსეთის

მეფის ერთგულებაზე იფიცებს. ამის შემდეგ სახელმწიფო გერბი ახალ რედაქტირებას განიცდის. კერძოდ, მეფე ერეკლე II-მ სამეფოს დიდ ბეჭედზე, 1782 წელს იმპერატრიცა ეკატერინე II-ისგან მიღებულ წმინდა ანდრიას ორდენთან ერთად რუსული ორთავიანი არწივიც დაიტანა, თუმცა იგი ჯერ გიორგი XII-მ (1794-1800 წწ.) და შემდეგ დავით გამგებელმა (1800-1801 წწ.) საკუთარი გერბებიდან ამოიღეს.

1789 წლიდან ქართულ მონეტებზე უკვე რუსული ორთავიანი არწივის ანალოგი ერთთავიანი არწივი გვხვდება. ჩვენი აზრით, მონეტებზე ერთთავიანი არწივის გამოყენება იმის მიმანიშნებელია, რომ ქართველები შესან-



ბიზანტიური ორთავიანი არწივი, საეკლესიო კედლის მხატვრობა. XIII ს.

იშნავად იცნობდნენ ჰერალდიკის ევროპულ კანონებს, სადაც მიჩნეული იყო, რომ ორთავიანი არწივი იმპერიის განსახიერებაა, ხოლო ერთთავიანი — სამეფოსი. ბუნებრივია, მეფე ერეკლე II მონეტებზე ერთთავიან არწივს გამოიყენებდა, რუსეთის იმპერატორისადმი მისი მდგომარეობიდან გამომდინარე.

1721 წელს შვედებთან ჩრდილოეთის ომის წარმატებით დამთავრებისა და ევროპაში „ფანჯრის გაჭრის“ შემდეგ, რუსეთში ორთავიანი არწივის იდეა კვლავ მყარ საფუძველს იძენს და ქართველი მეფეები უკვე საკუთარი ინიციატივით უარს ამბობენ მის გამოყენებაზე. თანდათან ქართული სახელმწიფო გერბის მთავარ ფიგურას ქრისტეს კვართის გამოსახულება წარმოადგენს. 1724 წელს მეფე ვახტანგ VI გარდაიცვალა. იგი ქალაქ ასტრახანის მიძინების ტაძარში დაკრძალეს. აქვე აღმოჩნდა მისი გერბი, სადაც ორთავიანი არწივის ნაცვლად ქრისტეს კვართს ვხედავთ. ასევე მეფე ბაქარი სახელმწიფო ბეჭედს ორთავიანი არწივის გამოსახულებით მხოლოდ 1717-1718 წლებში, გამგებლობის დროს იყენებდა, უკვე მეფობის — 1718-1721 წლების პერიოდის საბ-

უთებზე მხოლოდ მისი სახელობითი ბეჭედი ჩანს. აქვე ვიტყვით იმასაც, რომ მითური ფრინველის გამოსახულება მაინც გვხვდება ქართულ საგვარეულო გერბებში, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ჩრდილოეთიდან დახმარების მომლოდინე ქართველები კვლავ სულიერ მზადყოფნას აცხადებენ მართლმადიდებლობის დასაცავად. ეს ვითარება შესანიშნავად აისახა XVIII საუკუნეში საქართველოში აგებული თითქმის ყველა სასულიერო თუ საერო ნაგებობებზე ოთხსაფეხურიან კვარცხლბეზე (გოლგოთა) იერუსალიმის ჯვრის გამოსახვით.

ერთი შეხედვით საფიქრებელია, რომ არწივის ემბლემური გამოსახულება, როგორც სახელმწიფო სიმბოლო, პირველად თითქოს XVIII საუკუნეში გვხვდება. მაგრამ უნდა ვთქვათ,



პალეოლოგოსების საგვარეულო გერბი, ორთავიანი არწივი. მინიატურა. XV ს.

რომ არწივის ადეკვატური ქართული ფასკუნჯის ფრთები აქვს V საუკუნის იბერიის სახელმწიფო სიმბოლოს — ე. წ. „ბოლნურ ჯვარს“. თუ არწივის ფენომენს კიდევ უფრო ჩავუღრმავდებით, ვნახავთ, რომ ძველი მსოფლიოს ხალხებისთვის იგი მუდამ ღვთაებრივი შარავანდედით არის მოსილი და სამეფო ძლიერების სიმბოლოა (ბაბილონი, სპარსეთი, რომი და სხვ.) ხოლო კოლხებისთვის შეიძლება სახელმწიფო



რუსეთის ორთავიანი არწივი, ტიტულარნიკი. 1672 წ.

სიმბოლოსაც წარმოადგენდა. მეფე აიეტი, რომელიც „ოქროს პეპლოსიდან ათინათებული ელვარებით ჰელიოსის დარად ბრწყინავდა“, მზის შვილად არის გამოცხადებული. როგორც ვხედავთ, არწივს, რომელიც მუდამ მზის, სიცოცხლის, ძლიერებისა და სამეფო ღირსების სიმბოლოს წარმოადგენდა, თავისი ფესვები ქართულ ცნობიერებაშიც გააჩნია.

რაც შეეხება ორთავიანი არწივის სემანტიკას, რომელიც ადრეისტორიული ხანის ხეთების მონარქებისა და, შესაბამისად, მათი სახელმწიფოს სიმბოლოს წარმოადგენდა, იგი იგივეა, რაც ჩვეულებრივ ერთთავიანი არწივისა, იმ განსხვავებით, რომ, როგორც აღვნიშნეთ, იმპერიული ძალაუფლების განსახიერებაა და შუა საუკუნეებში, ამ სიმბოლოს გამოყენებით, სახელმწიფო რომის იმპერიის სამართალმემკვიდრედ აცხადებდა თავს. ასე იყო 1204 წელს, როცა იგი ტრაპიზონის იმპერიის დროშასა და გერბზე გამოჩნდა; 1320 წელს, როცა „რომის საღვთო იმპერიის“ იმპერატორ ლუდვიგ IV ბავარიელის (1328-1347 წწ.) მონეტებსა და შემდეგ კი ბურგუნდი ვურცბურგებისა და გრაფ სავოელთა გერბებზე. საქართველოში სახელმწიფო სიმბოლოდ ორთავიანი არწივის გამოჩენასაც (სამეფო ბეჭდებზე, დოკუმენტებზე, ეკლესიის ბარელიეფზე თუ სხვაგან) ამგვარი იდეური დატვირთვა აქვს.

დავით კლდიაშვილი

ჟერალდიკოსი

სჯულებათა¹: ნიშნებისათვის ანუ კავალერიისა და სხვათა ჯილდოთათვის



იოანე ბაგრატიონი (1768-1830)

გადასახალისებლად ხალხისა, მსახურებისათვის მამულისა განსხვავებისათვის გვამთა იყოს ნიშნები (კავალერიად წოდებულნი).

პირველი, რადგან წმინდისა ნინოს მიერ ვართ მოქცეული, იყოს ფინიკტზედ გამოწერილი წმინდის ნინოს სახე, კვართითურთ, სვეტიცხოვლით. ერთი ხელის გულის ოდენი და აქვანდეს ლენტი თეთრი, წითლის არშით, ვითარცა ჩვეულებითისა კავალერიისა იმ სიპტყე, მხარზე გადასაკიდებელი და ვარსკვლავიცა ამისივე შესაფერი, ჩართული ვარსკვლავის გულში წმინდა ნინო. და ესე იყოს პირველი კავალერია, მეორე ხარისხისა ისეთივე პატარა ხატი ყელზედ საკიდი იმავე ფერის მოწვრილოს ლენტით.

მეორე, კავალერია იყოს წმინდის დავით აღმაშენებელის მეფის სახე, წითლისა ლენტითა და თეთრის არშითა მხარზედ გადასაკიდე-

ბელი ვაჟკაცობისათვის და შემდეგი ყელზედ დასაკიდებელი, და მკერდზედ, მესამე პატარა დასაკიდებელი ამისივე ხატი. აქვანდეს ვარსკვლავი. აგრეთვე იყოს ვაჟკაცობისათვის წმინდათა მეფეთა არჩილ და ლუარსაბისა სახე მანათზედვე გამოსახული ჭრელის ლენტით.

მესამე, იყოს დედოფალთა, მეფეთ ასულთა, რძლებითა და დიდის კაცის ცოლებთა, წმინდის ქეთევან დედოფლის ხატი და ამისი ლენტი იყოს ყირმიზი, ყვითლის არშით, ან უარშით და ესე იყოს პირველი კავალერია ქალთათვის. ხოლო მეორე, მკერდზედ დასაკიდები კუალად ამავე ფერის ლენტით, პირველსა აქვანდეს ვარსკვლავი ჩვეულებითი.

მეოთხე. იყოს ვერცხლის ნახევარ მანათი, წმინდა გიორგის სახე, მდაბალთა ხალხთათვის, მამაცობისა გამო, ყვითლისა ბაფთითა, ანუ წითლისა ბაფთითა მკერდზედ დასაკიდებელი და ზურგზედ ეწეროს: „მამაცობისა და სიმხნისათვის“ და ის გლეხი არღა იგვემეზოდეს დანაშაულზედ.

დავით აღმაშენებელისაზედ ეწეროს: „მამულისა. სიმხნისა და თავდადებისათვის“. ვისაც მიეცემოდეს, წყალობის წიგნით ებოძებოდეს და მოიხსენებოდეს მისი სამსახური. აგრეთვე სამღვდელთა მიეცემოდეს ყელზედ დასაკიდებლად.

მეხუთე. იყოს ხმალი მჭედლი, ვის ვითარ უგენოდეს და ზედ ჩართული სახელი დავით აღმაშენებელისა ვადაზედ, და ეწეროს, ვითარცა ზემორე ჰსწერია.

იოანე ბაგრატიონი

¹ იოანე ბაგრატიონი. სჯულებათა (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი) // ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ.სურგულაძემ // სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1957 წ. გვ. 21-23.

ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ფულის ნიშნები (1923-1924 წწ.)

წინამდებარე სტატიით „ჰეროლდი“ აგრძელებს წერილების ციკლს თემაზე „ქართული ბონისტიკური ძეგლები“.

1923 წლის 10 იანვარს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის საკავშირო საბჭომ მიიღო დეკრეტი „ამიერკავკასიის ერთიანი ფულის ნიშნების გამოცემის შესახებ“, რომლის თანახმადაც დაიბეჭდა: 1, 5, 10, 25, 50, 100, 250, 500 ათასი და 1 მილიონი მანეთის ღირებულების ბონის კუპიურები. იმავე წელს დაიბეჭდა 5 და 10-მილიონიანებიც.

ამიერკავკასიის ფედერალური მანეთის კურსი გათანაბრებული იყო მანამდე მიმოქცევაში არსებულ საქართველოს სსრ-ის მანეთის კურსთან. იმავედროულად, ამიერკავკასიის სფსრ-ის 1 მანეთი უდრიდა 100 აზერბაიჯანულ მანათსა და 150 სომხურ რუბლს.

1923 წელს გამოშვებული ამიერკავკასიის ფედერალური ბონების ნაწილი დაიბეჭდა მოსკოვში, სსრ კავშირის ზარაფხანაში. თბილისში დაბეჭდილი ბონებისგან ისინი იმით გამოირჩევა, რომ მათ რევერსზე გვხვდება არასწორი ქართული წარწერები. მაგალითად, სიტყვა „საქართველოს“ ნაცლად წერია „საქართველო“, სიტყვა „უდრის“ ნაცვლად წერია „უდრის“, ე. ი. „ლ“-სა და „დ“-ს ნაცვლად დაბეჭდილია „ლ“.

ბონების ავერსზე არის ამიერკავკასიის სამოკავშირეო საბჭოს პრეზიდიუმის წევრების: ბუდუ მდივნის, ნარიმან ნარიმანოვისა და ალექსანდრ მიასნიკოვის ფაქსიმილეები რუსულ ენაზე. იქვე მითითებულია ბონების ორი ერთნაირი სერია რუსული ასოთი და ხუთნიშნა ნომერი არაბული ციფრებით. რევერსზე აღნიშნულია მათი გამოშვების თარიღი – 1923 წელი.

1923 წლით დათარიღებული ამიერკავკასიის ფედერალური ბონები მხატვრული თვალსაზრისით, უმნიშვნელო ტრანსფორმირების მიუხედავად, იდენტურია საქართველოს სსრ-ის 10 ათასმანეთიანი ბონის კუპიურისა. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ამიერკავკასიის ბონებზე შეცვლილია

წარწერები, ხოლო საქართველოს საბჭოთა გერბის ადგილი უკავია ფედერაციის გერბს – ხუთქიმიანი ვარსკვლავის გარემოცვაში მოქცეულ, კავკასიონის ფონზე აღბეჭდილ ნამგლის, უროს, ვარსკვლავისა და ნახევარ-მთვარის კომპოზიციას.

ამიერკავკასიის ფედერალური ბონების ნაწილი დაბეჭდილია არაჭვირნიშნა ქალაქებზე, ხოლო ნაწილზე გვხვდება ვარსკვლავის ფორმის ჭვირნიშნები. ვინაიდან ზუსტად ასეთივე სახის ჭვირნიშნები საბჭოთა რუსეთის დაახლოებით იმავე პერიოდში გამოშვებულ ფულად ნიშნებზედაც გვხვდება, ნათელი ხდება, რომ ფედერალური ბონების ნაწილი მოსკოვშია დაბეჭდილი. გამორიცხული არ არის, რომ ამ ფულის ნიშნების ზოგიერთი ნომინალი თბილისშიც დაიბეჭდა, მაგრამ მოსკოვიდან ჩამოტანილ ჭვირნიშნა ქალაქებზე.

ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ბონების ნაწილი იბეჭდებოდა თბილისში, თავისუფლების მოედანზე მდებარე ყოფილი სამხედრო შტაბის შენობაში მოთავსებულ ფულის საბეჭდო ექსპედიციაში, სადაც მანამდე დაიბეჭდა ამიერკავკასიის კომისარიატისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფულის ნიშნები და ვალდებულებები.

აღსანიშნავია, რომ გაყალბებისგან დაზღვეული არც ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ბონები ყოფილა.

ეს მოვლენა აისახა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაშიც. კერძოდ, კონსტანტინე გამსახურდიას მოთხრობაში „დიდი იოსები“ გადმოცემულია ტრაგიკული ყოფა რაჭიდან თბილისში გადმოსახლებული მეკურტნე იოსებისა, რომელიც ყალბ ფედერალურ ბონებს ავრცელებდა.

ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის არსებობის თოთხმეტწლიანმა (1922-1936) ისტორიამ დაადასტურა, რომ ამ ნაძალადევად შეკონინებულმა კონგლომერატმა არა მხოლოდ არაფერი შემატა მასში შემავალ ქვეყნებს,



1 000-მანეთიანი აზიერკავკასიის ფედერალური ბონი, 1923 წელი (აპერსი)



1 000-მანეთიანი აზიერკავკასიის ფედერალური ბონი, 1923 წელი (რეპერსი)



ამიერკავკასიის ფედერალური გონი, 1923-1924 წწ. (აპერსი)



ამიერკავკასიის ფედერალური ბოჭი, 1923-1924 წ. (რეპერსი)



10 000 000-მანეთიანი ამიერკავკასიის ფედერალური ბონი, 1923 წელი (აპერსი)



10 000 000-მანეთიანი ამიერკავკასიის ფედერალური ბონი, 1923 წელი (რევერსი)



25 000 000-მანეთიანი აზიერკავკასიის ფედერალური ბონი, 1924 წელი (აპერსი)



25 000 000-მანეთიანი აზიერკავკასიის ფედერალური ბონი, 1924 წელი (რეპერსი)




50 000 000-მანეთიანი ამიერკავკასიის ფედერალური ბონი, 1924 წელი (აპერსი)



50 000 000-მანეთიანი ამიერკავკასიის ფედერალური ბონი, 1924 წელი (რეპერსი)




25 000-მანეთიანი აზიერკავკასიის ფედერალური ბონი, 1923 წელი (აპერსი)



25 000-მანეთიანი აზიერკავკასიის ფედერალური ბონი, 1923 წელი (რაპერსი)



75 000 000-მანეთიანი ამიერკავკასიის ფედერალური ბონი, 1924 წელი (აპერსი)



75 000 000-მანეთიანი ამიერკავკასიის ფედერალური ბონი, 1924 წელი (რეპერსი)



100 000 000-მანეთიანი აზიერკავკასიის ფაღარალური ბონი, 1924 წელი (აპერსი)




100 000 000-მანეთიანი აზიერკავკასიის ფაღარალური ბონი, 1924 წელი (რევერსი)



250 000 000-მანეთიანი ამიერკავკასიის ფაფარალური ბონი, 1924 წალი (აპერსი)



250 000 000-მანეთიანი ამიერკავკასიის ფაფარალური ბონი, 1924 წალი (რეპერსი)



ერთი მილიარდმაგნეთიანი ამიერკავკასიის ფედერალური ბონი, 1924 წელი (აპერსი)



ერთი მილიარდმაგნეთიანი ამიერკავკასიის ფედერალური ბონი, 1924 წელი (რევერსი)

არამედ ის მოჩვენებითი სუვერენობაც კი ჩამოართვა, რაც დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკებს გააჩნდათ. ფედერალური ფულის შემოღებამაც ვერ მოახდინა პოზიტიური გავლენა ამ ფედერაციულ გაერთიანებაში შემავალი ქვეყნების ეკონომიკაზე, რასაც დაბეჯითებით ამტკიცებდნენ ფინანსური უნიფიკაციის ინიციატორი ბოლშევიკები. პირიქით, გაღრმავდა ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი, ინფლაცია თანდათან ჰიპერინფლაციაში გადაიზარდა და ფასებმაც ქაოსურად დაიწყო ზრდა. სწრაფად მატულობდა საერთაშორისო ვალუტის (ინგლისური გირვანქა სტერლინგი, აშშ-ის დოლარი და სხვ.) საბაზრო ღირებულება.

ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ბონების ბეჭდვა 1924 წლის დასაწყისშიც გაგრძელდა. კერძოდ, მიმოქცევაში გამოვიდა: 25, 50, 75, 100, 250-მილიონიანი და 1 და 10-მილიარდიანი ბონის კუპიურები.

ზემოთ ჩამოთვლილი ბონების ყველა ნომინალი, გარდა 75 და 250-მილიონიანი, აგრეთვე 1 და 10-მილიარდიანი კუპიურებისა, გარეგნულად თითქმის ანალოგიურია 1923 წელს გამოშვებული ფედერალური ბონებისა. შეცვლილია მხოლოდ გერბი, რომელზედაც აღარ გვხვდება ისლამური რელიგიის ატრიბუტი — ნახევარმთვარე.

ფედერალური ბონების 1924 წლის სერიაზე ავერსზე დატანილია ამიერკავკასიის სამოკავშირეო საბჭოს პრეზიდიუმის წევრების: ბუდუ მდივნის, ნარიმან ნარიმანოვისა და ალექსანდრ მიასნიკოვის ფაქსიმილეები რუსულ ენაზე.

ზემოხსენებული ბონების ნაწილი დაბეჭდილია მოსკოვში. მათზე აღარ გვხვდება არასწორი ქართული წარწერები, რასაც ადგილი ჰქონდა 1923 წელს გამოშვებულ ბონებზე.

ამიერკავკასიის სფსრ-ის 1 და 10-მილიარდიანების ავერსზე იგრძნობა რუსეთის იმპერიის სახელით 1912 წელს გამოშვებული „სახელმწიფო საკრედიტო ბილეთის“ მხატვრული ზეგავლენა.

სსრ კავშირის ხელისუფლების ჩაგონებით, ამიერკავკასიის ფედერაციის მესვეურებმა მიიჩნიეს, რომ მტკიცე საკავშირო ვალუტის — ჩერვონცის (რომელიც შემოიღეს 1923 წლის მაისიდან) არსებობის პირობებში არავითარ საჭიროებას აღარ წარმოადგენ-

და ამიერკავკასიის სეპარატული ფინანსური სისტემის შენარჩუნება. მით უმეტეს, რომ 1924 წლის დასაწყისიდან ფედერალური მანეთის კურსის დაცემამ კატასტროფული ხასიათი მიიღო.

საკავშირო მთავრობის დავალებით, 1924 წლის 4 აპრილის დეკრეტით, ამიერკავკასიის ხელისუფლება ფულადი რეფორმის განხორციელებას შეუდგა. 14 აპრილიდან შეწყდა ბონების ბეჭდვა, ხოლო 15 აპრილიდან — მათი მიმოქცევაში გამოშვება. დაიწყო მათი გადაცვლა საკავშირო ვალუტაზე. 125 მილიარდი ფედერალური მანეთი იცვლებოდა 1 ჩერვონცზე.

ამიერკავკასიის სფსრ-ის სახელით გამოშვებული ბონების საერთო რაოდენობა შეადგენდა — 16.183.952.656.345.000 ფედერალურ მანეთს.

ადგილობრივი ვალუტის ჩანაცვლებას საერთო-საკავშირო ვალუტით ქართველი საზოგადოებრიობის პატრიოტულად განწყობილი ნაწილის უარყოფითი რეაქცია მოჰყვა.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ ერთა ლიგის 1924 წლის სექტემბრის ასამბლეისადმი წარდგენილ მემორანდუმში სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, გულისტკივილით იყო აღნიშნული, რომ ეროვნული სუვერენიტეტის ერთ-ერთი ძირითადი სიმბოლო — „ქართული ფული — რუსული ფულით შეიცვალა“. აქ „ქართულ ფულში“ იგულისხმებოდა ამიერკავკასიის სფსრ-ის ვალუტა, რომელიც სავსებით სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს ქართულ ფულადაც.

ამიერკავკასიის სფსრ-ის ფულის ნიშნების მიმოქცევა შეწყდა 1924 წლის 30 ივნისს, ხოლო მათი გადაცვლა საერთო-საკავშირო ვალუტაზე გრძელდებოდა იმავე წლის 1 აგვისტომდე.

1924 წლის 1 ივლისიდან საქართველოში ერთპიროვნულად გაბატონდა სსრ კავშირის ფული, რომელიც თითქმის შვიდი ათეული წლის განმავლობაში, კერძოდ, 1993 წლის 5 აპრილამდე ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ერთადერთ საგადასხდელო საშუალებას წარმოადგენდა.

ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ღღემლე უსნოზი ღალამლვის სახე თამარის ახალაღმოჩენილ მონეტაზე

XII საუკუნეში თურქ-სელჩუკების განდევნის შემდეგ, ამიერკავკასიის ხალხთა გაერთიანების პროცესი იწყება, რომელსაც საქართველო და ქართველი მეფეები ედგნენ სათავეში. ბუნებრივია, ასეთი დიდი და გლობალური საქმე ქვეყანას საგანგებო ღონისძიებათა გატარების გარეშე არ შეეძლო. ამ ღონისძიებებს განეკუთვნება დავით აღმაშენებლის ცნობილი სამონეტო პოლიტიკა — რომლის მიხედვითაც ქართულ მონეტებზე ჩნდება არაბული ზედწერილები, რის მიხედვითაც ისინი აღმოსავლურ-მუსლიმური მონეტების სახეს დაუახლოვდა. ამ დროს მეფეთა პოლიტიკური ძალაუფლება ქვეყნის სიმდიდ-

ხელი შეუწყო „სავაჭრო ერის“ ჩამოყალიბებას და ქვეყანაში გაიზარდა დიდვაჭართა გავლენაც, რომელთაც მეფეები იყენებდნენ უცხო ქვეყნებში პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობებისას. ქვეყანაში გაიზარდა ქალაქების რაოდენობა. უკვე „ქალაქად“ იწოდებოდა ყველა ის დასახლებული პუნქტი, სადაც ვაჭრობა და ალექ-მიცემობა წარმოებდა. ამ ქალაქებში მნიშვნელოვანი სიმდიდრე გროვდებოდა, ამიტომაც ბევრი ფეოდალი ცდილობდა მათ ხელში ჩაგდებას. თუმცა დიდი ქალაქები მეფეთა ხელში რჩებოდა და მათი მართვა-გამგეობა მეფის ვაზირს — მეჭურჭლეთუხუცესს ევალებოდა, რომელიც



რის ზრდას ემყარებოდა და დიდ ფინანსურ სახსრებსაც მოითხოვდა. არსებულმა ვითარებამ ხელი შეუწყო ქალაქების ზრდას და ვაჭრობის განვითარებას. ქვეყანაში დაიგო ახალი გზები, რომელიც ხელს უწყობდა ქართული და უცხოური სავაჭრო ქარავნების ბევრად სწრაფ მიმოსვლას. ყოველივე ამან



თბილისში, ქუთაისში, ატენსა და უჯარმაში განაგებდა მეფის საჭურჭლეს. ამ პერიოდში ფულზე მოთხოვნილების მკვეთრმა ზრდამ გამოიწვია ის, რომ საქართველოში და ბევრ აღმოსავლურ ქვეყნებში ვერცხლის მონეტის სინჯი საგრძნობლად დაეცა და ფაქტობრივად სპილენძის მონეტად იქცა. ეს გარე-

მოება კარგად ჩანს თამარ მეფის (1184-1213 წწ.) სპილენძის მონეტებზეც, რომელზეც — „იქიდა ვერცხლი ესე“ ეწერა.

ჩვენი წერილის ძირითად მიზანს თამარ მეფის მონეტებზე დასმული დამლები და მათი კლასიფიცირება წარმოადგენს. დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ ამ ეპოქის მონეტები იჭრებოდა ორ პარალელურ — „ნესიერი“ და „უნესო“ ჭედვის მწკრივად და შესაბამისი ნიშნებით, მათ შორის ე.წ. „წერტილიანი“ და „უწერტილო“ ასომთავრული „დონის“ ნიშნიანი დამლით იდამლებოდა, მაგრამ სხვადასხვა ჯგუფის მონეტაზე სხვადასხვა სახის სიქა-პუნსონებს იყენებდნენ. მონეტების დადამლვის შემოღება დაკავშირებული იყო ძირითადად რაიმე ეკონომიკურ კრიზისთან და მონეტის გაცოცხლებისა და მისი ხელახალი ბრუნვაში გაშვების მიზნით ხდებოდა.

მონეტა, რომელსაც სრულიად შემთხვევით მივაკვლიეთ, უნესოდ მოჭრილთა რიგს განეკუთვნება და ერთი კონეკრეტული თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას. თამარის ამგვარ მონეტებზე ყველაზე გავრცელებულია ორივე სახის ასომთავრული „დონით“ დადამღვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარ უნესო მონეტების შუბლზე მხოლოდ ერთი დამღის გამოყენების ფაქტებია ცნობილი. ჩვენს მონეტაზე კი აღნიშნული დამღების (ნერტილიანი და უნერტილო ასომთავრული „დონის“ ნიშნები) ერთდროულად ორივე ვარიანტს ვხვდებით, რაც უიშვიათეს გამონაკლისს წარმოადგენს და პირველადაა აღმოჩენილი. შესაძლებელია, საქმე გვექონდეს რაიმე ტექნიკურ დარღვევასთან, მაგრამ ამ მონეტასთან დაკავშირებით ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგან მონეტის შუბლზე დარტყმული ორივე დამღა სხვადასხვაა. ასევე შესაძლებელია, რომ ეს დამღები თამარის მეფობის სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნებოდეს, თუმცა ზემოთ ხსენებული დამღები დღემდე გაუშიფრავია და დანამდვილებით ამის თქმა არ შეიძლება. ცალსახად უნდა ითქვას, რომ დადამღვა შესრულებულია მეფე რუსუდანამდე, რადგან ცნობილია თამარის ცალდამლიანი მონეტები, რომლებზეც ზემოდანაა გადარტყმული რუსუდანის პერიოდისთვის დამახასიათებელი დამღა. აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ განხილული თამარის მონეტის ორმაგი დადამღვა მოიცავს პერიოდს 1187 წლიდან, როდესაც უშუალოდ დაიწყო თამარის სახელით მონეტების მოჭრა.

— 1226 წლამდე, როცა სულთანმა ჯალალედინმა თბილისი დაიკავა და მეფე რუსუდანი დასავლეთ საქართველოში გადავიდა. საყურადღებოა ის ფაქტიც რომ, შემდგომში თეიმურაზ II და ერეკლე II თავიანთ დამლებს იყენებდნენ არა მარტო საკუთარი სახელით მოჭრილ, არამედ უკვე მიმოქცევიდან გამოსული მონეტების გასაცოცხლებლად.

განხილული მონეტის შინაარსი:

შუბლი — წნული ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია თამარის ხელრთვა. ორნამენტის გარშემო ასომთავრული ზედწერილი:

ተሰይሞ ገፋር በፋርገታ ዘርፍ ስር ገንዘብ ሥነ ምግባር
ፋኩልቲ ተብሎ

სახელითა ღვთისათა იქნა ქედაი ვერ-
ცხლისი ამის ქორონიკონსა 407(=11876.),
სხვა ვარიანტებზე მოთავსებულია თარიღი
430(=12106.)

სამწუხაროდ, მონეტის სიქაზე წარწერის არმობევედრის გამო თარიღი არ ემჩნევა

ზურგი — ხუთსტრიქონიანი არაბული
ზედწერილი:

المعظمة الملكية

والدين الذن يا جلال

کے یورپی بنات امار

الامسديح ظهیر

ان صارہ اللہ اعز

დედოფალი დიდებული, დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, მესიის მიმდევარი, განადიდოს ღმერთმან ძლევენი მისნი.

ირგვლივ რკალი და არაბულადვე გარშემოვლებული მეორე ზედწერილი:

اق بالها واي دظلالها ومدّ جلالها الله ضاعف

განადიდოს ღმერთმან დიდება მისი, განაგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი.

ეზგენი ჭანიშვილი

საქალაქო ჰერალდიკა და საფეხბურთო კლუბების ემბლემები

ჰერალდიკა და სპორტი, ერთი შეხედვით, ორი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული დარგია, მაგრამ თურმე მათაც ჰქონიათ საერთო. ამა თუ იმ მხარის, ქალაქის გერბი თუ დროშა განსახვავებული სახით გვხვდება მრავალი საფეხბურთო კლუბის სიმბოლიკაში. კლუბების ემბლემებზე გამოყენებული ფერები კი აისახება ცნობილი გუნდების ფორმებზე. ასე რომ, ჰერალდიკა და სპორტი არცთუ ისე დაშორებული ყოფილა ერთმანეთისგან. განვიხილოთ რამდენიმე შემთხვევა, თუ როგორ გავლენას ახდენს ამა თუ იმ ქალაქის გერბი ამ ქალაქთან დაკავშირებულ საფეხბურთო გუნდის ემბლემაზე: მთავარი საგერბე ფიგურის ან ფარის მტვირთველთა გადმოტანით, ფერების გამეორებით...

1878 წელს ინგლისში დაარსებული „მანჩესტერ იუნაითედი“ („Manchester United“) მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო საფეხბურთო გუნდად მიიჩნევა, თავად ინგლისში კი ტიტულებითა და ისტორიით საუკეთესოა. „მანჩესტერ იუნაითედი“ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქ მანჩესტერში, ლანკაშირისა და იორქშირის საგრაფოების დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზის სამმართველოს მუშებმა დააარსეს. ამ გუნდის დამსახურებად მიიჩნევა ის ფაქტი, რომ ამ ქალაქის სახელი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში იცის დიდმა თუ პატარამ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მასობრივობით ფეხბურთი სპორტის ყველა სხვა სახეობას აღემატება. ამ გუნდისა და ქალაქ მანჩესტერის გერბი ერთმანეთს ახლაც უკავშირდება, თუმცა სანყის ეტაპზე მათ შორის უფრო დიდი მსგავსება არსებობდა მა-

ნამდე, სანამ საფეხბურთო გუნდის მენამულსა და ოქროში გადანყვეტილ ემბლემას მენამულ ემპაკს და ამატებდნენ.

ქალაქ მანჩესტერის საგერბე ფარი: ძველ-გოთური ფარი გადაკვეთილია. მისი ქვედა ნაწილი გამოსახავს მენამულ ველს, რომელიც დიაგონალზე იკვეთება სამი ოქროს ზოლით. ზედა ნაწილზე გამოსახულია ზღვის ტალღები და იალქნებგაშლილი გემი. ფარის გვირგვინი წარმოადგენს ვერცხლის ჩაჩქანს ოქროსა და მენამული ფოთლების შემკულობით, ზედ მოთავსებული დედამიწის სფეროთი და მასზე დატანილი ფუტკრებით.

ფარის მტვირთველები: წარმოდგენიდან მარჯვნივ — ვერცხლის ჰერალდიკური ანტილოპა მენამული ენით, რომელსაც ყელსა და ზურგზე შემოხვეული აქვს ოქროს ჯაჭვი. წარმოდგენიდან მარცხნივ — ოქროს მცველი ლომი მენამული გვირგვინითა და ენით. თითოეულ ფარის მტვირთველს მხარზე აქვს მენამული ვარდი. საგერბე ფარის სადევიზე წარწერაა: Concilio et Labore.

ჰერალდიკური სიმბოლოების მნიშვნელობა: გერბი დაარსდა 1842 წლის 1 მარტს. ოქროსა და მენამული ფერები მომდინარეობს „მანჩესტერის ლორდის“ გერბიდან, რომელიც მართავდა ქალაქს 1301 წლამდე. იალქნებგაშლილი მცურავი გემი არის ვაჭრობისა და მენარმოების სიმბოლო. ფუტკრებით დაფარული დედამიწა წარმოადგენს მსოფლიოს, რომლის ყველა ნაწილსაც მიეწოდება ქალაქ მანჩესტერში წარმოებული საქონელი. საქმიანობისა და აქტივობის სიმბოლოა ფუტკრები. ფარის



ქალაქ მანჩესტერის გერბი



„მანჩესტერ იუნაითედი“ ემბლემა



„მანჩესტერ იუნაითედის“ ძველი ემბლემა

მტვირთველები: ანტილოპა და ლომი მომდინარეობს ჰენრი IV-ის — ლანკასტერის ჰერცოგის გერბიდან. სადევრიზე წარწერა: სიბრძნითა და შრომით, მომდინარეობს ზირაქის სიბრძნე-დან: დასაბამი ყველა საქმისა განსჯაა, ყოველგვარ საქმეზე უწინარესი კი — რჩევა (სიბრძნე ზირაქისა. 37:16).

გასული საუკუნის 80-იან წლებამდე ქალაქის გერბი გამოიყენებოდა თასის ფინალებზე. ოფიციალურ გუნდურ ბლეზიერებზე (სპორტულ ქურთუკებზე) იგი დღესაც გვხვდება. უკვე 1973 წლიდან გამოჩნდა მეწამული ემბლემა. მეწამული ემბლემის გამოსახვა გუნდის ემბლემაზე განაპირობა გუნდის მეტსახელმა „წითელი ემბლემა“.

„მანჩესტერ იუნაითედის“ გერბმა გადმოიღო ქალაქის გერბის ფერები, კერძოდ, მეწამული და ოქრო. აფრებიანი გემი და ფარი დიაგონალზე სამი ზოლით გადაკვეთილი, რომელიც 1970 წლიდან შეცვალა მეწამულმა ემბლემა (სამკაპიტო) და ფეხბურთის ბურთის ორი ჰერალდიკური გამოსახულება ფარის მარჯვნივ



და მარცხნივ — წარწერით: „Manchester United“.

„ნიუკასლ იუნაითედი“ (Newcastle United) დაარსდა 1892 წელს. ქალაქ ნიუკასლის სახელწოდების სიტყვასიტყვით თარგმანია „ახალი ციხე“. შესაბამისად, ქალაქის საგერბე ფარზე გამოყენებულია ციხესიმაგრეები სამ-სამი გოდოლით. გოდოლი ასევე გვხვდება კლუბის ემბლემის გვირგვინის ადგილას. კლუბის ემბლემა იმეორებს ფარის მტვირთველი ზღვის ცხენების და გვირგვინზე აღმართული წმინდა გიორგის დროშის მტვირთველი ლომის მოტივებსაც. „ნიუკასლ იუნაითედის“ ემბლემა შექმნილია ტაინის ნიუკასლის გერბის მიხედვით. ორი ზღვის ცხენი წარმოადგენს მდინარე ტაინის ნაპირებზე განსახლებული ქალაქის მჭიდრო კავშირს ზღვასთან, ხოლო ციხესიმაგრეები ქალაქის ნორმანდიულ წარსულს.

დროშა არის ქალაქის გვირგვინის იდენტური. წმინდა გიორგის ჯვრის ვერსია და ფარი, რომელიც გამოხატავს კლუბის თეთრ და შავ-ზოლიან მაისურს. გაერთიანებული



ქალაქ ნიუკასლის გერბი




„ნიუკასლ იუნაითედის“ ემბლემა

ნიუკასლის მოქმედი გვირგვინი, იყო პირველად გამოყენებული 1988-1989 წლებში. გუნდი ოთხჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი, ექვსჯერ მოიგო ქვეყნის თასი და ერთხელ „კომუნითიშილდი“ (თანამეგობრობის ფარი)

ქალაქ ნიუკასლის გერბის ოფიციალური ბლაზონია: მენამულ ველზე დატანილი ვერცხლის სამი სამგოდოლიანი ციხესიმაგრე. საგერბე ფარის ბიბილო წარმოადგენს ვერცხლის ჩაჩქანს, მენამული და ვერცხლის ფოთლების წნულის შემკულობით. ჩაჩქანზე აღმართუ-

განმარტება შემდეგია: ციხესიმაგრის მოტივი სათავეს იღებს ძველ დროში. სახელი მომდინარეობს უილიამ დამპყრობლის მიერ 1080 წელს აგებული „ახალი ციხესიმაგრიდან“ („New Castle“). ციხესიმაგრე ამოტვიფრულია XII საუკუნის ბეჭედზე. მენამულ ველზე დატანილი სამი ციხესიმაგრის უძველესი გამოსახულება შემორჩენილია 1400 წლიდან, კერძოდ, წმინდა იოანეს სახელობის ტაძრის კანცელარიის ფანჯარაზე. ციხესიმაგრის მოტივი გამეორებულია საგერბე ფარის ბიბილოს ადგილასაც. გოდოლი



ბარსელონა



კატალონია



„ბარსელონა“

ლია ვერცხლის გოდოლი, ხოლო გოდოლზე — მცველი ვერცხლის ლომი. იგი ოქროს დროშის ტარით იტვირთავს წმინდა გიორგის ორწვერა ალამს. საგერბე ფარის ორივე მხარეს აღმართულია ფარის მტკირთველი: ორი ოქროს-ფაფრიანი ზღვის ცხენი.

ბლაზონის ჰერალდიკურ სიმბოლოთა

აღმართულია XV საუკუნის სტილის მენამული და თეთრი ფოთლების წნულზე. ფარის მტკირთველები — მითური მწვანე ზღვის ცხენები ოქროს ფარფლებით, ფაფრებითა და კუდებით მიუთითებს იმაზე, რომ ნიუკასტლი საზღვაო ნავსადგურია. ორივე, როგორც ფარის მტკირთველები, ისე ბიბილო საგერბე ფარს



1899



1910



1920



1936



1939



1946



1960



1974



1975



2002

საფეხბურთო კლუბ „ბარსელონა“ ემბლემის განვითარების გზა

დაემატა 1575 წელს. სადევიზე წარწერა: „Fortiter Defendit Triumphans“ („მამაცი თავდაცვით გამარჯვებული“) მიღებულია 1644 წელს სამოქალაქო ომის დროს შოტლანდიელთა ალყის შეუპოვარი მოგერიების შემდეგ.

საფეხბურთო გუნდი „ბარსელონა“, იგივე „ბარსა“ დაარსდა 1899 წელს. კლუბი ესპანეთის ავტონომიური გაერთიანების, კატალონიის



ქალაქ პალენსიის გერბი



„პალენსიის“ ემბლემა



არაგონის სამეფო გვირგვინი

ერთ-ერთ მთავარ სიმბოლოდ იქცა, საიდანაც მომდინარეობს კიდევ მისი სადევიზე წარწერაც „Més que un club“ — „უფრო მეტი, ვიდრე კლუბი.“

დღეისთვის „ბარსა“ ესპანეთის ყველაზე ტიტულოვანი გუნდია ოფიციალური ჯილდოების მიხედვით. კერძოდ, იგი ფლობს 65 ტიტულს, რაც ალბათ უკვე თავისთავად ყველაფერზე მეტყველებს. ხოლო მენამული ზოლები ოქროს ველზე ყველასთვის ნაცნობი და შესამჩნევია, როგორც კატალონიის დროშასა და გერბზე,



ქალაქ მადრიდის გერბი

ასევე ქალაქ ბარსელონასა და საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ გერბებზე.

ქალაქ ბარსელონას გერბზე ჩვენ ვხედავთ გვირგვინს, ოქროს ველზე დატანილ ოთხ მენამული ზოლს, ასევე წმინდა გიორგის ჯვარს. კლუბის ემბლემაზე კი გადმოტანილია მენამული და ოქროს ზოლები და წმინდა გიორგის ჯვარი. საწყის ეტაპზე კლუბი ქალაქის გერბსაც იყენებდა.

დროთა განმავლობაში კლუბის ემბლემამ ცვლილებები განიცადა. დაარსების პირველივე დღეებიდან „ბარსას“ აქვს საკუთარი კლუბის ემბლემა, რომელსაც მოთამაშეები ამაყად ატარებენ თავიანთ მაისურებზე. თავდაპირველად კლუბის ემბლემა იყო ქალაქ ბარსელონას გერბი — ოთხად გაყოფილი რომბისებური ფარი ოქროს გვირგვინითა და ლამურით, შემკული ორი — დაფნისა და პალმის — რტოთი. 1910 წელს კარლოს კომალამ, რომელიც 1903-1912 წლებში თამაშობდა გუნდში და იმავდროულად ეუფლებოდა მედიცინას, ემბლემა, რომელიც დღემდე გამოიყენება, მცირე სახეცვლილებით. ცვლილებები ძირითადად შეეხო ემბლემის მოყვანილობას. ხშირად სპორტული ჰერალდიკური ნიშნებიც კი განიცდიან პოლიტიკურ გავლენას და ამისი ნათელი მაგალითია „ბარსას“ ემბლემა, რომელსაც ფრანცისკო ფრანკოს დიქტატორობის წლებში შეაცვლევინეს ინიციალები, დაატანინეს ისინი ესპანურად, ხოლო ემბლემაზე გამოსახული კატალონიური დროშის ოთხი მენამული ზოლი შეცვალეს ორით. პოლიტიკური რეჟიმის ცვლილებასთან ერთად 1974 წელს გუნდის ემბლემა აღადგინეს 1910 წლის მიხედვით. თანამედროვე, საბოლოო ემბლემის ავტორია კლარეტ სარიამა, რომელმაც 2002 წელს შეიტანა რამდენიმე უმნიშვნელო სტილისტური ცვლილება. კერძოდ, საინიციალო ასოებს შორის გაქრა წერტილები, მენამული ზოლები სტილიზებამ კი ემბლემა გაამარტივა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ბარსას“ საწყის ემბლემაში, 1899-1910 წლებში, საგერბე ფარის გვირგვინს ამშვენებდა ლამურა, რომელიც



„ატლანტიკო მადრიდის“ ემბლემა



ქალაქ ბილბაოს გერბი

უკავშირდება ასევე მეორე ესპანურ გუნდს — ქალაქ ვალენსიას საფეხბურთო კლუბ „ვალენსიას“. ამ გუნდს მეტსახელად „ლამურებსაც“ უწოდებენ. „ვალენსია“ დაარსდა 1919 წელს და მისი ემბლემის ფარი დაგვირგვინებულია ღამურით, რაც ქალაქ ვალენსიის საგერბე ფარიდან მომდინარეობს — არაგონის სამეფო გვირგვინზე იყო გამოსახული — და შესაბამისად, არაგონის სამეფოს ქალაქების გერბებისთვის იყო და არის დამახასიათებელი. ამ ჰერალდიკური ტრადიციის საფუძველზე ღამურა სხვადასხვა საფეხბურთო გუნდმაც გამოიყენა საკუთარ ემბლემებზეც და ასეთია, მაგალითად, „ვალენსია“. „ვალენსია“ როგორც ესპანეთში,



„ატლეტიკი ბილბაოს“ ემბლემა

1903 წელს დააარსა მადრიდში მცხოვრებმა სამმა ბასკმა სტუდენტმა. სტუდენტები ამით ბასკეთში გატარებულ თავიანთ ბავშვობას იხსენებდნენ, სადაც ჰქონდათ გუნდი „ატლეტიკ ბილბაო“. თავიდან ბლეიზერები იყო ლაჟვარდოვანი და თეთრი ფერის, მაგრამ მოგვიანებით შეიცვალა მენამული და თეთრი ფერებით, რასაც სხვადასხვა მიზეზი გააჩნდა.

ქალაქ მადრიდის გერბი შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს, მაგრამ ოფიციალურად მიღებულია 1947 წელს. 2004 წლის ლოგო იდენტურია ქალაქისა და ქალაქის საკრებულოს გერბისა. ფარი ვერცხლისაა, სევადის დათვი მიყრდნობილია ხემაწყვას, რომელსაც ასხია მენამული ნაყო-



ქალაქ ბენუსის გერბი


ასევე მთლიანად ევროპაში, არის საკმაოდ ანგარიშგასაწიფი სპორტული კლუბი და მადრიდის „რეალისა“ და „ბარსელონას“ შემდეგ ესპანეთში ერთ-ერთ უძლიერესი გუნდია.

ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში არის ძალიან საინტერესო კლუბი, რომელიც იმის მიუხედავად, რომ არ მიიჩნევა ქალაქის პირველ გუნდად, მაინც აღწევს დიდ წარმატებას. ეს გუნდია „ატლეტიკო მადრიდი“, რომელიც



„ბენუსის“ ემბლემა

ფი. ლაჟვარდის არშიაზე დატანილია შვიდი ვერცხლის ექვსქიმიანი ვარსკვლავი. ფარს ადგას ოქროსა და ძვირფასი ქვების ღია სამეფო გვირგვინი, რვა როზეტის (ხუთი ხილული) და რვა მარგალიტის ძვირფასი ქვით. აღნიშნული გვირგვინი ხშირად გამოიყენება ესპანურ მუნიციპალურ და ტერიტორიულ ჰერალდიკაში. ხემაწყვა და დათვი ასევე წარმოადგენს „ატლეტიკო მადრიდის“ მთავარ საგერბე გამოსახულებებს.



ბავარიის მხარის გერბი

„ატლეტიკი“ დაარსებულია 1898 წელს ქალაქ ბილბაოში. გუნდი 1928 წლიდან გამოდის „პრიმერა დივიზიონში“. მადრიდის „რეალთან“ და „ბარსელონასთან“ ერთად იგი არის კლუბი, რომელსაც დაარსებიდან არასოდეს დაუტოვებია „პრიმერა დივიზიონი“. 8-ჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი და 24-ჯერ მოიპოვა ესპანეთის თასი. კლუბი ცნობილია თავისი კონსერვატიული პოლიტიკით. „ატლეტიკიში“ თამაშობენ მხოლოდ ადგილობრივი (ბასკი) ფეხბურთელები. კლუბში ასევე იწვევენ ისეთ ფეხბურთელებს,



„ბაიერნის“ ემბლემა

რომლებიც შეიძლება დაიბადნენ სხვა ქვეყნებში, თუმცა აქვთ ბასკური ფესვები.

გერბის წარმომავლობა და მნიშვნელობა: კლუბის ემბლემა იმეორებს ქალაქის ტრადიციულ გერბს და წარმოადგენს წმინდა ანტონის ტაძარსა და მდინარე ნერვიონზე მდებარე ძველ ხიდს (რომელიც XX საუკუნეში დაანგრიეს და სანაცვლოდ ააგეს ახალი). ხიდზე ორი მგელი ბილბაოს დამაარსებლის — დონ დიეგო ლოპეს დე ჰაროს საგვარეულო ჰერალდიკური ნიშანია. სწორედ მან აღჭურვა ბილბაო ქალაქის



1906-1919



1923-1938



1938-1945



1945-1954



1954-1961



1961-1965



1965-1970



1970-1979



1979-1996



1996-2002



2002-

საფეხბურთო კლუბ „ბაიერნის“ ემბლემის განვითარების გზა



ქალაქ ფრანკფურტის გერბი

უფლებებით. მეელი დაკავშირებულია დიეგო ლოპესის სახელთან, რადგან გვარი ლოპეს მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „Lopus“, რაც მეელს ნიშნავს.

განხილული ქალაქის გერბებიდან და საფეხბურთო კლუბის ემბლემებიდან ცხადი ხდება, რომ ხშირად სპორტული სიმბოლიკა სესხულობს საქალაქო მუნიციპალური ჰერალდიკის როგორც მთავარ საგერბე გამოსახულებებს, ისე დიდი გერბების ცალკეულ ატრიბუტიკას. არის მუნიციპალური სიმბოლიკის პირდაპირ გადმოტანის შემთხვევები. მაგალითად, ქალაქ გენუის საფეხბურთო კლუბს მთავარ სიმბოლოდ აღებული აქვს არა გვირგვინის ღამურა, ან საგერბე ფარის ხემაწყვას მიყრდნობილი დათვი, არამედ ფარის მტკირთველი გრიფონი, თუმცა საკუთარ სიმბოლიკაში იყენებს გენუის რესპუბლიკის მფარველი წმინდანის — წმინდა გიორგის — დროშას.

სპორტულ ჰერალდიკაში საკმაოდ ხშირია ის-



აინტრახტის ემბლემა

ვიტელსბახების საგვარეულო სახლის სიმბოლოა 1247 წლიდან და დღეს ბავარეთის მცირე გერბადაც გამოიყენება.

ბავარეთის საფეხბურთო კლუბის „ბაიერნის“ ემბლემის ისტორიაშიც ადვილად შესამჩნევია პოლიტიკურ-ნაციტური დიქტატურის რეჟიმის გავლენა სპორტულ ჰერალდიკაზე.

ტრადიციული ისტორიული ჰერალდიკური ნიშნის გამარტივების სანიშნო მაგალითია მეორე გერმანული საფეხბურთო კლუბის — ფრანკფურტის „აინტრახტის“ ემბლემა. მენამულ ველზე დატანილი ვერცხლის იმპერიული ერთთავიანი არწივი გადატანილია კლუბის სიმბოლიკაში სრულად, ოღონდ შედარებით ლაკონური მინიმალური სტილით. მეორდება ფერები — მენამული და ვერცხლის, არწივის გამოსახულება, მაგრამ მრგვალი ფორმის ვერცხლის ფარზე (რომელსაც გარს უვლის ორი მენამული არწივი). მასზე დატანილია მენამული არწივის გამოსახულება ვერცხლის საგუნდო ინიციალის



„აინტრახტის“ ემბლემის განვითარების ისტორია 1999 წლამდე

ტორიული ჰერალდიკის არა ცალკეული ნიშნის, გამოსახულების პირდაპირ გადმოტანის, არამედ მთლიანად გათანამედროვეების, მინიმალურ სტილში გადანყვეტის შემთხვევები. გერმანიის ყველაზე ცნობილი გუნდის, „ბაიერნის“ ემბლემა ტრადიციული გერბიდან სესხულობს მხოლოდ ფარზე დატანილ მცირე ზომის ლაჟვარდოვან და ვერცხლის ფერად რომბისებურად დაყოფილ ფარს, რომელიც ბოგენის საგრაფოს მფლობელი

ლათინური „E“-ის გამოსახულებით მკერდზე, რაც აღნიშნავს „აინტრახტს“ (Eintracht). ამჯერადაც, ისევე, როგორც „ლამურებისა“ და „ნიტელი ეშმაკების“ შემთხვევებში, გუნდმა შეიძინა მეტსახელი „არწივები“.

მოამზადა

ლევან პატრიაშვილი

თანამედროვე ქართული მუნიციპალური სიმბოლიკა

გურია


ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გერბი

გერბის ფარი გაყოფილია 4 არათანაბარ ნაწილად. I ნაწილი – მენამულ ველზე გამოსახულია ოქროს შველი და ვერცხლის ცხრაქიმიანი ვარსკვლავი. II ნაწილი – ზურმუხტოვან ველზე გამოსახულია ზეღმართული ოქროს ხელები ლელოს ოქროს ბურთით. III ნაწილი – ვერცხლის ველზე გამოსახულია ზურმუხტოვანი მთები. IV ნაწილი – ლაჟვარდოვან ველს მარჯვნიდან მარცხნივ გადაკვეთს ვერცხლის შვიდი ტალღოვანი სარტყელი. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის), ნახევრად ღია კარიბჭით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მენამული ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია დევიზი – „ლანჩხუთი“



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დროშა

დროშა ვერტიკალურად თანაბრად გაყოფილია მენამულ და ზურმუხტოვან ველებად. მენამულ ველზე, ზედა მარჯვენა კუთხეში გამოსახულია ვერცხლის ცხრაქიმიანი ვარსკვლავი. დროშას ჰორიზონტალურად გადაკვეთს ვერცხლის შვიდი ტალღოვანი სარტყელი. დროშის პროპორციაა 2/3.




დამტკიცებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №11 დადგენილებით, 25. 06. "2014 წ.



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გერბი

გერბის ფარი გაკვეთილია ორ ნაწილად – მწვანე და მენამულ ველებად. ფარის თავსა და ძირში სამ-სამი ვერცხლის ტალღისებური შემცირებული სარტყელია მოთავსებული. სარტყელებს შორის ვერცხლის ფიგურა – განწყვეტილთასმიანი ხიზით, ბაზიერის საბუხარზე მჯდარი, ვერცხლის მიმინო, რომელსაც თავი მარცხნივ, ვერცხლის რვაქიმიან ვარსკვლავისკენ აქვს მიმართული. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი — სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის), ნახევრად ღია ჭიშკრით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მენამული ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია გერბის დევიზი – „ჩოხატაური“.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დროშა



დროშა ვერტიკალურადაა გაყოფილი ორ ნაწილად. I ნაწილში მწვანე ველზე ვერცხლის ფიგურა – განწყვეტილთასმიანი ხიზით, ბაზიერის საბუხარზე მჯდარი, ვერცხლის მიმინო, რომელსაც თავი მარცხნივ, ვერცხლის რვაქიმიან ვარსკვლავისკენ აქვს მიმართული. II ნაწილი წარმოადგენს მენამულ ველს. დროშის პროპორციაა 2:3.

დამტკიცებულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №189 დადგენილებით, 17. 11. 2009 წ.



ოზურგეთის თემის მუნიციპალიტეტის გერბი

გერბის ფარი გადაკვეთილია და ზემოთ გაკვეთილი. იყოფა 3 (სამ) ნაწილად. I ნაწილი: მენამულ ველზე ვერცხლის ჯვარი; II ნაწილი – ზურმუხტის ველზე ვერცხლის ხე გარშემოხვეული ოქროს ვაზით, რომელსაც აქვს ოქროს მტევნები და ფოთლები. III ნაწილი – შავი ველი (სიმაღლით ფარის 1/3), რომელსაც ზემოდან გასდევს ტალღოვანი სარტყელი; გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი. სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის), ნახევრად ღია კარიბჭით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მენამული ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავით ჩანერილია გერბის დევიზი – „ოზურგეთი“.



ოზურგეთის თემის მუნიციპალიტეტის დროშა

დროშა გაყოფილია ვერტიკალურად ორ, მენამულ და მწვანე ველებად. მენამულ ველზე დატანილია თეთრი ჯვარი. სიმაღლით დროშის 1/2; დროშის პროპორციებია 2:3

დამტკიცებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №28 დადგენილებით, 05. 08. 2015 წ.

აჭარა

ქედას მუნიციპალიტეტის გერბი

გერბის ფარი გაკვეთილია და იყოფა ორ ნაწილად. I ნაწილი – მენამული ველის თავში მოთავსებულია ჰერალდიკური ოქროს ჯვარი, მის ქვემოთ ოქროს ხიდი, რომლის კიდეები ეხება ველის მარჯვენა და მარცხენა კიდეებს, ხიდის ქვემოთ სამი შემცირებული ოქროს სარტყელი. II ნაწილი – ზურმუხტოვან ველზე ოქროს ვაზი ფესვებით, სამი ნაყოფით (ყურძნის მტევნით) და სამი ფოთლით. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის), ნახევრად ღია კიბურით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მენამული ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია დევიზი – „ქედა“.



ქედას მუნიციპალიტეტის დროშა

დროშა ვერტიკალურადაა გაყოფილი მენამულ და მწვანე ველებად. მენამული ველის ზედა ნაწილში გამოსახულია ჰერალდიკური ოქროს ჯვარი, რომელიც ზომით დროშის სიმაღლის 2/7-ია და ზედა კიდე დაშორებულია 1/7-ით. დროშის პროპორციაა 2:3.

დამტკიცებულია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-28/62 დადგენილებით, 31.10. 2011 წ.



ქობულეთის მუნიციპალიტეტის გერბი



გერბის ფარი გაკვეთილი და გადაკვეთილია ოთხ ნაწილად. გერბის ფარის ცენტრში მოთავსებულია მენამული ჰერალდიკური ფარი, რომელზეც გამოსახულია ვერცხლის შველი და ვერცხლის ცხრაქიმიანი ვარსკვლავი. I ნაწილი – ზურმუხტოვან ველზე გამოსახულია ვერცხლის ჰერალდიკური ჯვარი, რომლის ქვემოთაც გამოსახულია ვერცხლის თაღოვანი ხიდი და სამი შემცირებული ვერცხლის ტალღისებური სარტყელი. II ნაწილი – ლაჟვარდის ველს მარჯვნიდან მარცხნივ დიაგონალურად კვეთს სამი ვერცხლის სარტყელი. III ნაწილი – ლაჟვარდის ველს მარჯვნიდან მარცხნივ დიაგონალურად კვეთს სამი ვერცხლის სარტყელი. IV ნაწილი – ზურმუხტოვან ველზე გამოსახულია ვერცხლის ციხესიმაგრე, რომლის ქვემოთაც მოთავსებულია სამი შემცირებული ვერცხლის ტალღისებური სარტყელი. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის), ნახევრად ღია კარიბჭით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-ზურმუხტის ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია დევიზი – „ქობულეთი“.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის დროშა



დროშა ვერტიკალურად გაყოფილია ორ ნაწილად. I ნაწილი – ზურმუხტოვანი ველი, რომელიც დროშის 1/3-ია. II ნაწილი – ლაჟვარდის ველი, რომელსაც ჰორიზონტალურად კვეთს სამი ვერცხლის სარტყელი. ზურმუხტისა და ლაჟვარდის ველებს შორის მოთავსებულია მენამული ჰერალდიკური ფარი, ისე რომ მისი ნახევარი ზურმუხტის ველს ფარავს, ნახევარი კი – ლაჟვარდისას. მენამულ ჰერალდიკურ ფარზე გამოსახულია ვერცხლის შველი და ვერცხლის ცხრაქიმიანი ვარსკვლავი. ფარს გარსშემოუყვება ვერცხლის კანტი. დროშის პროპორცია 2/3.

დამტკიცებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №10 დადგენილებით, 29. 11. 2013 წ.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გერბი

გერბის ფარი გაკვეთილ-გადაკვეთილია და იყოფა 4 ნაწილად (ველად); I და III ნაწილი გადაკვეთილია ტეხილად; I ნაწილი – მენამულ ველზე მოთავსებულია გადაჯვარედინებული ორი ოქროს თოფი; II ნაწილი – ზურმუხტოვან ველზე ზედა ნაწილში ოქროს საწმისი, ქვედა ნაწილში ოქროს ციხესიმაგრე; III ნაწილი – ზურმუხტოვან ველზე ზედა ნაწილში ოქროს თაღოვანი ხიდი, ქვედა ნაწილში ვერცხლის სამი შემცირებული ტალღოვანი სარტყელი; IV ნაწილი – ლაჟვარდის ველს მარჯვნიდან მარცხნივ კვეთს სამი ვერცხლის ყანიმი. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის), ნახევრად ღია კარიბჭით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-ზურმუხტოვანი ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია დევიზი „ხელვაჩაური“.



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დროშა

დროშა ვერტიკალურად გაყოფილია ორ თანაბარ ნაწილად; პირველი ნაწილი ჰორიზონტალურად ტეხილად არის გაყოფილი თანაბარ ნაწილებად: მენამულ და ზურმუხტოვან ველებად. მეორე ნაწილის ლაჟვარდოვან ველს ჰორიზონტალურად ყოფს სამი ვერცხლის სარტყელი. დროშის პროპორციაა 2:3.




დამტკიცებულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №18 დადგენილებით, 29. 08. 2012 წ.



შუახვევის მუნიციპალიტეტის გერბი

გერბის ფარის ზურმუხტოვან ველს სამ ნაწილად ყოფს ვერცხლის ქობაშემოვლებული ლაჟვარდის ორთითასებრი ჰერალდიკური ჯვარი, რომელზეც მოთავსებულია მცირე ფარი -მენამულ ველზე ოქროს სამკოშკიანი ციხესიმაგრე. შუა კოშკი ოდნავ მაღალია, ციხესიმაგრის ქვევით გამოსახულია ოქროს ხიდი. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის), ნახევრად ღია ჭიშკრით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-ზურმუხტოვანი ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია დევიზი – „შუახვევი“.



შუახვევის მუნიციპალიტეტის დროშა

დროშას სამ ნაწილად ყოფს მარჯვნივ გადაბრუნებული ვერცხლის ქობაშემოვლებული ლაჟვარდის ორთითასებრი ჰერალდიკური ჯვარი. დროშის მარჯვენა ნაწილი – მენამული, დროშის დანარჩენი ორი ველი მწვანეა. დროშის პროპორციაა 2:3.

დამტკიცებულია შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №1 დადგენილებით, 28.02. 2013 წ.

ხულოს მუნიციპალიტეტის გერბი

გერბის ფარი გაკვეთილია და იყოფა მწვანე და მენამულ ველებად. გერბის ფარის ზედა ნაწილს კვეთს კუთხოვანი ვერცხლის სარტყელი, ხოლო ქვემოთ მოთავსებულია ოქროს გორაზე შემოდგარი ერთკოშკიანი ოქროს ციხესიმაგრე, რომლის ქონგურებზე, კოშკის ორივე მხარეს აღმართულია თითო დროშა. მარჯვენა დროშა ტარით მარცხნივ, მარცხენა დროშა ტარით მარჯვნივ. მარჯვენა დროშაზე ჰოროზონტალურადაა გამოსახული მენამული მახვილი თანმხლები ორი მენამული ვარსკვლავით ვერცხლის ველზე. მენამული მახვილის პირი მიმართულია მარჯვნივ; მარცხენა დროშაზე – სამი ვერცხლის სარტყელი ლურჯ ველზე. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხესიმაგრის ფორმის), ნახევრად ღია ჭიშკრით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მწვანე ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია გერბის დევიზი „ხულო“.



ხულოს მუნიციპალიტეტის დროშა

დროშა ვერტიკალურად არის გაყოფილი მწვანე და მენამულ ველებად. დროშის ცენტრში გამოსახულია ჰერალდიკური ფარი, რომელიც გაკვეთილია და იყოფა ვერცხლის და ლურჯ ველებად. ვერცხლის ველზე გამოსახულია მენამული პირით ზემოთ აღმართული მახვილი, თანმხლები ორი მენამული ვარსკვლავით. ლურჯ ველს კვეთს სამი ვერცხლის სარტყელი. დროშის პროპორციაა 2:3.



დამტკიცებულია ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს №23 დადგენილებით, 29. 04. 2011 წ.

სახსრკულასიო და საიუბილეო მონეტები
(მოქმედი და პროექტები)



მოჭრილია 2006







პროექტები 1999




მოჭრილია 2008

პროექტები 2008 - 2010



მოჭრილია 2005



პროექტები 2008



© მონეტების ესკიზების ავტორი, მხატვარი-ჰერალდიკოსი **მამუკა გონგაძე**

SUMMARIES IN ENGLISH

THE CORNERSTONE OF VEXILLOLOGY AND HERALDRY

ALFRED ZNAMIEROVSKI

The cross as heraldic depiction appears from the beginning of IV century. The first symbols of a new faith are found on Byzantine golden coins. For centuries the cross becomes the main heraldic sign which is seen in European decorative art, market places, ships, on the flags of cities, nations and religious orders. Through centuries, the cross has been changing forms and colors and today the heraldic map of Europe, as the article illustrates, is mainly the map of different kinds of Crosses, each having its own tradition, history and identity.

STANDARDS IN MEDIEVAL GEORGIA

MAMUKA TSURTSUMIA

On the base of the iconography and written historical sources, the present study discusses the forms and types of standards widespread in medieval Georgia.

Special attention is paid to the purpose and use of the standards. Because of their ease of identification from afar, standards had a multiple function: being a powerful symbol, the flag indicated the ownership (of the city, castle) and the authority (position).

In addition to their symbolic significance, standards were intensively used during military campaigns. Flags were crucial in battles as they marked the position of each regiment on the battlefield, served as checkpoints during the battle and were indicating troop movements, direction of attack, etc. Standards could also be used for military signalling.

HOW THE COAT OF ARMS WERE DEPICTED (ART STYLES THROUGH HISTORY USED TO DEPICT HERALDIC ART)

ZAKHARY KIKNADZE

This article is concentrated on the artistic aspect of heraldry. The author elaborates different artistic styles in which coats of arms were depicted from the beginning of heraldry to our days. The article starts by describing the earliest examples of proper heraldry depicted in the Romanesque style, then describes the importance of the period of Gothic style to the development of “classical” heraldic art. Then we continue to late Gothic and Renaissance, specifically mentioning heraldic art created by the great triad of artists of the German High Renaissance such as Albrecht Durer, Hans Holbein the Younger and Lucas Cranach the Elder.

Then we move to tell that how Mannerism, Baroque and Rococo art styles contributed to develop highly decorative, very elaborate and richly depicted coat of arms. Next, we talk about great heraldic art created by the Austrian artists Hugo Gerhard Strohl and German Otto Hupp in the period of “the last great revival of heraldry” from the mid 19th century to the early 1900s. Lastly, we mention art depicted by the contemporary heraldic artists such as Czech Jiri Louda and British John Ferguson and Dan Escott.

TO THE HISTORY OF A HERALDIC SYMBOL OF AVAR KHAGANATE

PATIMAT TAKHNAEVA

The article addresses the issue of ensign and emblem of Avar Khaganate, one of the major military-political states of medieval Dagestan. An attempt to answer the question, whether Vakhushti Bagration's well-known painting "lekisa dagistanisa" (1735) is the ensign of Avar Khanate or it is an emblem. Avar ensign - trophy, which has been taken by Russian army in the battle on Iori (1801) and became museum piece - the only, apparently, which has been preserved and kept in collection of eastern ensigns of the Hermitage Museum (Saint-Petersburg).

SYMBOLIC IMAGE OF VINE ATTRIBUTED TO GEORGIA ACCORDING TO SEBASTIAN MÜNSTER'S COSMOGRAFIA

GEORGE LOBZHANIDZE

Cosmografia is a popular work of a famous German scholar Sebastian Münster, which was published 24 times from 1544 to 1628 and is considered to be the first German description of the world. 1628 edition of Cosmografia (pages 1491-1492) includes two engravings attributed to Georgia. The first picture is a symbolic image of a grapevine, while the second one depicts the scene of life of beekeepers and merchants.

The accompanied text describes Georgia as a country of profound winemaking. Like the other authors of the time (Arcangelo Lamberti, Jean Chardin, etc.), Münster praises wine produced here. He refers to Augerius Gislenius Busbequius, when giving some facts about Georgia.

The text also describes beekeeping and honey trade in Georgia. It gives some details about daily life of honey merchants, how they celebrate the successful trade day with a wine and singing.

In conclusion, Cosmografia is the first printed book known today, which includes an illustration depicting the life scene of Georgians. And the vine image, which is also found in the early editions of the book (1548), is one of the earliest symbolic images of Georgia in European printed editions.

ABOUT FLAGS OF MEDIEVAL GEORGIAN SEA PORTS IN OLD PORTOLAN CHARTS

DAVID CHKHEIDZE

The article reviews a book by Igor Fomenko - The World image in old portolan charts: the Black Sea region between the late 13th and the 18th century [Fomenko, Igor' Konstantinovich - *Obraz mira na starinnykh portolanakh: Prichernomor'e, konets XIII-XVII v.*]. Among other cartographic and heraldic issues author of the book discusses medieval Georgian sea ports: Seuastopoli and Fassio. Igor Fomenko draws attention to Flags posted by medieval cartographers on Seuastopoli, mainly five cross flag. Author states two scientific opinions: (1) five cross flag on the Georgian sea port is some kind of hint for European sailors that the nation is Christian and (2) five cross flag is the state flag - heraldic symbol - of the Georgian Monarchy assumed from Jerusalem Cross to show devotion towards Christian values.

THE CURRENCY OF THE TRANSCAUCASIAN SOVIET FEDERATIVE SOCIALIST REPUBLIC (1923-1924)

NIKO JAVAKHISHVILI

On January, the 10th 1923, the Union Council of the Transcaucasian Soviet Federative Socialist Republic (TSFSR) adopted a decree on the issue of currency. Under the decree, Republic emitted 1 million rubles of 1, 5, 10, 25, 50, 100, 250, 500, 1000 banknotes, names as “Bons”. That same year, Republic emitted 5 and 10 million rubles more. Part of the Transcaucasian federal currency banknotes was printed in Tbilisi, part in Moscow in the State Mint of the Soviet Union.

The banknotes of the Transcaucasian Federal Republic show many similarities with the 10 ruble banknotes of the Georgian SSR. Unlike the latter, the Transcaucasian Bon has different scripts, the coat of arms of the TSFSR which is a composition of Caucasian mountains, sickle, hammer, star and crescent within a five-pointed star.

The currency of the Transcaucasian Soviet Federative Socialist Republic failed to have a positive impact on the economy of the countries of the Federation. The reverse was the case: the financial-economic crisis deepened gradually, inflation developed into hyperinflation and the prices began to soar chaotically. The market price of foreign currencies also grew rapidly. However, the main cause of the abolition of the TSFSR's currency, along with its unprecedented depreciation, was an active pressure of the leaders of the USSR on the Transcaucasian Federal Government. The Government of the USSR was determined to implement - at any cost - financial unification of the USSR in 1924. The circulation of TSFSR banknotes was suspended on June 30, 1924, and exchange of currency lasted into August 1 of the same year.

UNKNOWN HALLMARKING ON THE COIN OF KING TAMAR

EUGENI CHANISHVILI

Hallmarking with Georgian Mtavruli “doni” is the most widespread on the coins of King Tamar. There are two types of hallmarking – with point and no point. Coins, which was accidently discovered by us has the both types of the hallmark, this is the rare exception and was discovered for the first. The review allows us to get more information about the system of hallmarking during this period. We dated this case of the years 1187-1226.